25 აპრილი, ხუთშაბათი, 2013 წ. №5

გაზეთის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპეციალური ნომერი



„უე“ — სახელმწიფო ცენზურისადმი „მორჩილების“ ნიშნად... გვ. 8

თან პრესა და თან პრესი... გვ. 22

გაზეთს „დემოკრატიულ მედია-კუნძულად“ მივიჩნევდით გვ. 22

ნოდარ ხადური: გაზეთით სტუდ-კავშირის თავ-მჯდომარეობისას დავინტერესდი გვ. 24

ზურაბ ჭიაბერაშვილის პირველი მცდელობა პოეზიაში გვ. 21

უნივერსიტეტის გაზეთის ისტორია — უნივერსიტეტის მემატიანე გვ. 2

აკაკი შანიძე და ზაალ ჟვანია გაზეთზე მუშაობისას

გვ. 25

გვ. 24

გვ. 26

გვ. 25

თაობები



გისურვებთ თავისუფლებას, რაც ჯერ კიდევ მისაღწევია გვ. 11

დემოკრატიულ საზოგადოებაში PR იყენებს გაზეთს, როგორც პროგლემების პრეზენტაციის ინსტრუმენტს გვ. 11

„მავნებლობიდან“ აკადემიურობამდე — გზა, რომელიც გაზეთმა გაიარა გვ. 4

ვინ და როდის იდგა მოვლენების ეპიცენტრში? გვ. 6

გაზეთის ყოფილი რედაქტორები და დღევანდელი რედაქცია გვ. 13-16

ინტერვიუ მწერლებთან

მწვანე აუდიტორია უნივერსიტეტის ბაღში გვ. 19-21



უნივერსიტეტის გაზეთის ისტორია — უნივერსიტეტის მემატიანე

ნინო კაკულია

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ისტორია 85 წლის წინ დაიწყო. მანამ, ვიდრე მას ამ სახელით გაიცნობდა საზოგადოება, გაზეთმა ოთხჯერ გამოიცვალა სახელი. ყველა მათგანი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ წინამორბედია.

მკვლევართა გადმოცემით, 1918 წელს, პირველი სამეცნიერო კრებულის — „თბილისის უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემასთან ერთად, უნივერსიტეტის დამფუძნებლებს მრავალტირაჟიანი პერიოდული ორგანოს დაარსებაც სურდათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა.

1926 წლის სექტემბერში უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა რეჟიმის ერთგულმა მსახურმა, ფედერალისტობიდან ბოლშევიკად ფერნაცვალმა თევდორე ღლონტმა შეცვალა (ეს ის თედო ღლონტია, რომელმაც ივანე ჯავახიშვილს მეფეთა და ეკლესიათა ისტორიის მკვლევარი უწოდა და რომელსაც მიაჩნდა, რომ უნივერსიტეტის დამაარსებლები მას „შუა საუკუნეების კულტურისკენ მიაქანებდნენ“. უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე მან 1928 წლამდე იმუშავა. შემდეგ კიდევ დიდ ხანს ემსახურა საბჭოთა იდეოლოგიას, მაგრამ 1937 წელს „ხალხის მტრის” ბრალდებით დახვრიტეს). თევდორე ღლონტი თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული პროფესურის განადგურების იმედს პროლეტარული რევოლუციის იდეებით შეპყრობილი სტუდენტობის ნაწილში ხედავდა. ბოლშევიკთა მთავარი სტრატეგია იყო ანტისაბჭოთა ელემენტებისგან უნივერსიტეტის გათავისუფლება. ამ ამოცანების უპირობო შესრულებისთვის ისინი აუცილებლად თვლიდნენ საუნივერსიტეტო სტუდენტური გაზეთის დაარსებას. საარქივო მასალები არაფერს გვეუბნება, კონკრეტულად თუ ვის ეკუთვნოდა უნივერსიტეტში გაზეთის გამოცემის იდეა, მაგრამ უნივერსიტეტის ჟამთააღმწერელი სერგო ჯორბენაძე გვაწვდის ცნობას პირველი საუნივერსიტეტო გაზეთის 1927 წლის იანვარში დაარსების შესახებ. გაზეთს „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ ერქვა, რომელიც აღმასრულებელი ბიუროს, კომპარტიისა და კომკავშირის ბეჭდვითი ორგანო გახლდათ.

უნივერსიტეტის გაზეთის გამოცემის ამავე პერიოდს ეხება ი. ხაინდრავა წიგნში „ნახევარი საუკუნე თეთრ ტაძარში“, რომელშიც ნათქვამია, რომ „პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ სარედაქციო კოლეგია „დღენიადაგ იღვწოდა გაზეთის სრულყოფისათვის. მას აქტიურად ეხმარებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფესორ აკაკი შანიძის როლი, რომელიც სისტემატურად თანამშრომლობდა ამ გაზეთში. თანამედროვეთა გადმოცემით, გაზეთის ფორმისა და შინაარსის სრულყოფისათვის თურმე ათასნაირ ხერხს მიმართავდნენ. რუსეთიდან სტუმრად ჩამოსული სტუდენტი საფრონოვიც კი გამოიყენეს გაზეთის სათაურის დასახატად.

გაზეთის პირველ ნომრებს ხელს აწერს აპოლონ ნუცუბიძე — სტუდენტი, რომელიც თავს ლენინელად მოიხსენიებდა. ისტორიული წყაროს ცნობით, სწორედ იგი გახლდათ გაზეთის პირველი რედაქტორი. პირველი გაზეთების სახელწოდება, სლოგანები, სტატიების სათაურები და, შესაძლოა, ტექსტებიც ხელითაა შესრულებული და ამ სამუშაოს თურმე კარგი ხელწერის მქონე პირი — იმჟამად სტუდენტი, შემდგომში კი ცნობილი მეცნიერი, ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებელი ილია აბულაძე ასრულებდა. 1928 წლისთვის გაზეთი „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ უკვე ლითოგრაფიაზე დაბეჭდილი ჩვეულებრივი გაზეთის სახით გამოდიოდა. 1930 წელს გამოცემულ გაზეთს დევიზად გასდევს სიტყვები: — „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ გაზეთი გმობდა უნივერსიტეტის აპოლიტიკურობის იდეას და იღვწოდა უნივერსიტეტში მარქსისტულ-ლენინური იდეებისადმი ერთგულთა ჰეგემონიის დასამყარებლად. ამ სულისკვეთების სტატიების გვერდით გაზეთში ჩნდება აკაკი შანიძის, შალვა ნუცუბიძის, ნიკო მუსხელიშვილისა და კორნელი კეკელიძის წერილებიც, რომლებშიც საუნივერსიტეტო სწავლების მეთოდოლოგიაზე არის საუბარი.

1930 წლის 13 თებერვლიდან გაზეთი გამოვიდა შეცვლილი სახელწოდებით და მას „საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა” ერქვა. 1930 წლიდან 1933 წლამდე დაუდგენელი მიზეზების გამო გაზეთი არენაზე არ ჩანს. უნივერსიტეტის გაზეთის ბეჭდვა განახლდა 1933 წელს და მისი დასახელება გახლდათ „ბოლშევიკური კადრებისათვის“. სახელწოდებების ცვლილება არ ცვლიდა მისი შინაარსის პათოსს. ამ წლებში გამოსული გაზეთები ისტორიისთვის მხოლოდ იმით არის საინტერესო, რომ მასში დაბეჭდილი სტატიები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის გაზეთსაც ჰქონდა გადადებული ის სენი, რაც ქვეყანას მაშინ სჭირდა. უნივერსიტეტიდან პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტებისგან გაწმენდის პროპაგანდით შეიარაღებული გაზეთი ე.წ. „ხალხის მტრების“ სიას აქვეყნებდა. ასეთ მტრებად დასახელებულნი იყვნენ ფილოლოგიური სკოლის დამფუძნებელი გრიგოლ წერეთელი და იურიდიული მეცნიერების ფუძემდებელი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. გაზეთი ამკვიდრებს ახალ აქსიომასაც — ის, რაც არ არის მარქსიზმი, არ არის მეცნიერება“. ამ იდეების წინააღმდეგ გალაშქრება მეცნიერებასთან გამომშვიდობებასთან ერთად სიცოცხლისათვის საფრთხესაც წარმოადგენდა. ალბათ ამიტომ, 30-იანი წლების ჭეშმარიტად ღვაწლმოსილი მეცნიერებები იძულებულნი გახდნენ — უნივერსიტეტის გაზეთში კომუნისტური იდეოლოგიის მიმღებლობა დაედასტურებინათ.

ივანე ბერიტაშვილი 1936 წლის გაზეთში აქვეყნებს სტატიას, რომელშიც საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციას უწოდებს. 1936 წლის 8 თებერვლის ნომერში კი იბეჭდება სტალინისადმი ხოტბაშესხმული მიმართვა, რომელსაც ხელს 100–მდე მეცნიერი აწერს, მათ შორის ივანე ჯავახიშვილიც. ეს ის პერიოდია, როდესაც ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ წითელი პროფესურის ფართომასშტაბიანი შეტევა დასრულებულია, ივანე ჯავახიშვილი კი — უნივერსიტეტიდან საერთოდ გაძევებული. 1930–1936 წლების სამარცხვინო დისკუსიის შესახებ, რომელიც უნივერსიტეტში ჯავახიშვილის სკოლის გამათრახებისთვის მოეწყო, გაზეთი არაფერს წერს. როგორც ჩანს, გაზეთის რედაქტორმა სტალინის ჩრდილქვეშ ივანე ჯავახიშვილის მოქცევის დამადასტურებელი ხელწერის აღნუსხვა არჩია უნივერსიტეტში გამართული ე.წ. სასამართლო პროცესის გაშუქებას.

1939 წელს უნივერსიტეტის ბოლშევიკური გაზეთი არსებობას წყვეტს და მას შემდეგ, 1952 წლამდე, იგი აღარ გამოსულა.

1952 წელს უნივერსიტეტის რექტორის, ნიკო კეცხოველის დიდი მეცადინეობითა და მონდომებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება თბილისის უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთის დაარსების შესახებ, რომელსაც „ახალგაზრდა სტალინელი“ დაერქვა. „ჩვენი გაზეთი მოწოდებულია ასახოს უნივერსიტეტის ცხოვრების ყველა მხარე — სასწავლო, სამეცნიერო, ორგანიზაციული, სპორტული, საყოფაცხოვრებო და ა. შ. გაზეთში უნდა ითანამშრომლოს ყველამ – სტუდენტმაც და მასწავლებელმაც, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჩვენი გაზეთი“, — ასეთი იყო მაშინდელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისადმი მოწოდება, რაც განახლებული გაზეთის ფურცლებზე აისახა.

მოწოდება საქმედ იქცა. ნიკო კეცხოველის რექტორობის პერიოდში გაზეთი წერდა ახალი ფაკულტეტების გახსნის, ახალი კადრების დაარსების, მეცნიერების არაერთი დარგის განვითარების შესახებ. მაშინ უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების პირველ სამეულში შევიდა მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტებთან ერთად. ეს იყო საბჭოთა უნივერსიტეტის გამარჯვება, რასაც თავის მიღწევად თვლიდა უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორთა ყველა თაობა, უკვე განურჩევლად. უნივერსიტეტის გაზეთის მთავარ ფუნქციას აღარ წარმოადგენდა საბჭოთა იდეოლოგიის უხეში და აგრესიული პროპაგანდა — რადგან ამის აუცილებლობა აღარ იდგა. გაზეთი მხოლოდ ქართული მეცნიერული წიაღსვლების ეტაპებს განიხილავდა და მჩქეფარე საუნივერსიტეტო ცხოვრების ფერხულს მისდევდა. კომკავშირელ სტუდენტებს თავისთან ყამირი იხმობდა და გაზეთიც ფართოდ აშუქებდა ყაზახეთისა და ციმბირის უსაზღვრო ველებისკენ მიმავალ მოხალისეთა ლაშქრობას. ამ დროისთვის გაზეთი გვამცნობს უნივერსიტეტის ეზოში ილია ჭავჭავაძის ძეგლის გახსნასაც. იმ პერიოდში ფართოდ ყოფილა განვითარებული მხატვრული, ლიტერატურული თვითშემოქმედებაც. გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა 1947 წელს ნიკო კეცხოველის თაოსნობით დაარსებულ მწერალთა წრის ახალგაზრდა შემოქმედთა ნამოღვაწარის ბეჭდვას. უნივერსიტეტის გაზეთის მაშინდელი რედაქტორი — ტარიელ კვანჭილაშვილი თავის მოგონებებში წერს: „როგორც ჩანს, ახალგაზრდა მწერლების მასალების ბეჭდვა ცოტა ზედმეტი გამოგვივიდა, რის გამოც რექტორის შენიშვნაც კი დავიმსახურე — ეს გაზეთი ლიტერატურულ გაზეთად ნუ გადამიქციეთო. თუმცა, „ახალგაზრდა სტალინელის“ მთელი ხიბლი სწორედ ის იყო, რომ ამ გაზეთმა გამოიყვანა ასპარეზზე შემდგომში ცნობილი მწერლები და პოეტები. ესენი იყვნენ: ნოდარ დუმბაძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ტარიელ ჭანტურია, ჯანსუღ ჩარკვიანი, არჩილ სულაკაური, ვახტანგ ჯავახაძე და სხვანი...

გაზეთი 1962 წლიდან კვლავ იცვლის სახელწოდებას და გამოიცემა, როგორც „თბილისის უნივერსიტეტი”. ისტორიკოსების ვარაუდით, ეს სახელწოდება იმაზე მიუთითებდა, რომ უნივერსიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელობას სურდა ხაზგასმა იმისთვის, რომ უნივერსიტეტი მაშინ უკვე აღარ ატარებდა სტალინის სახელს და რომ მას მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტი ერქვა.

65 წლიდან გაზეთში რედაქტორად მოვიდა ზაალ ჟვანია, რომელიც რედაქტორის სვეტში წერდა: „ყველა თბილისელის ღვიძლი საქმე — ეს არის უნივერსიტეტის გაზეთი”.

გაზეთში პერმანენტულად ქვეყნდებოდა სერგო ჯორბენაძის ინფორმაციული ხასიათის წერილები და ბიოგრაფიული ცნობები უნივერსიტეტის დამფუძნებლებსა თუ მათი საქმიანობის გამგრძელებლებზე.

ვრცელი წერილი ეძღვნება იენის უნივერსიტეტთან ურთიერთობის საფუძვლის ჩაყრას, რაშიც დიდი ენერგია ჩადო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა ილია ვეკუამ. საბჭოთა უნივერსიტეტი ფრთებს შლიდა კვლავაც ერთი მიზნის გარშემო, რასაც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა ერქვა. შესაძლოა სწორედ ამ ამპლუაში დიდოსტატობისთვის უნარჩუნებდნენ მას „მარჯვენას”, რომელსაც სულ უფრო და უფრო მაღლა სწევდა. როგორც ჩანს, არც სტუმრები აყოვნებდნენ უნივერსიტეტის მაშინდელი კადრების ყოველი შემთხვევისთვის გადამოწმებას — თუ რა ხდებოდა საქართველოს რესპუბლიკის ერთერთ პოლიტიკურ ცენტში. ასეთ სტუმრად 1966 წელს უნივერსიტეტს თავად ბრეჟნევი მოევლინა, რომელსაც კარგი ფეხი აღმოაჩნდა. სულ მალე უნივერსიტეტს საოქტომბრო ჯილდოდ სამახსოვრო დროშა გადაეცა.

გაზეთს ზაალ ჟვანიას მოულოდნელი გარდაცვალების გამო ეცვლება რედაქტორი და მას უკვე 1978 წლიდან გივი შეყილაძე რედაქტორობს. უნივერსიტეტის ბეჭდვითი ორგანო სასტარტო მიმართულებას ინარჩუნებს და სწორხაზოვან რელსებზე საქართველოს საბჭოთა იდეოლოგიურ მონაპოვარს მიაქანებს. მერე რა, რომ დადგა 1978 წლის 14 აპრილი... ვიღაცამ თვალი დახუჭა ან ვიღაცას გამოეპარა, რომ უნივერსიტეტის პროფესურის ნაწილი სტუდენტებს საქართველოს ისტორიის შესახებ მალულად სიმართლეს უყვებოდა. პროფესურის ამ ნაწილში 1937 წლების რეპრესირებულთა შვილებიც ერივნენ, მაგრამ ისინი მაინც რისკავდნენ... შვილივით ნაზარდმა ვაზმა, როგორც ჩანს, გაამართლა და უნივერიტეტში აგორდა ტალღა ქართული ენის დასაცავად. მთავლიტი ჯერ კიდევ მთავლიტობდა და სახელმწიფო ცენზურა ადამიანთა ფსიქიკას კვლავ რეჟიმში ამუშავებდა — 1978 წლის 14 აპრილის გაზეთი წერდა, თუ როგორ დაიწყო უნივერსიტეტში შრომითი სემესტრისთვის საქმიანობა და როგორ ემზადებოდა უნივერსიტეტი ლენინური შაბათობისთვის. 14 აპრილს გაზეთის რედაქციის თანამშრომლები უნივერსიტეტის ეზოში მიტინგზე იდგნენ, გაზეთს კი მაჯა კვლავაც ძველრიტმულად ესინჯებოდა...

მართალია, ქართული უნივერსიტეტის იდეის თავანკარობა საბჭოთა ეპოქამ მწარედ გათელა, მაგრამ მას თურმე სიკვდილი არ ეწერა... 1988 წელს უნივერსიტეტში სტუდენტთა პრეს-კლუბი დაარსდა. პრეს-კლუბელ სტუდენტთა ნაწილმა „სტუდენტური ფურცლის” გამოცემა დაიწყო, რომელიც უნივერსიტეტის გაზეთის საშუალებით ვრცელდებოდა. სულ გამოვიდა „სტუდენტური ფურცლის” 15 ნომერი. მასში სტატიებს აქვეყნებდნენ დათო ტურაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, ირმა რატიანი, ნიკო ნიკოლოზიშვილი, მედეა იმერლიშვილი, თამარ თითმერია, ქეთევან გვაზავა და სხვები. მათ კოორდინირებას უწევდა მაშინდელი პრორექტორი ვახტანგ გოგუაძე.

ხელისუფლების ლიბერალიზაციის ფონზე იატაკქვეშეთიდან სამზეოზე გამოსული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა უნივერსიტეტის გაზეთშიც ცვლის კომუნისტურ სულისკვეთებას. ტაბუ ეხსნება ეროვნულ საკითს. აკაკი ბაქრაძე გაზეთის ფურცლებზე სუვერენიტეტის თემას ეხება და საზოგადოებას ხელისუფლების აბსოლუტური მორჩილებისაგან გათავისუფლებისკენ მოუწოდებს.

1988 წელს ივნისის ნომერში პირველად ჩნდება ინფორმაცია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაულზე. თბილისში გამართული დემონსტრაცია უნივერსიტეტის ეზოდან დაიწყო. 26 მაისს უნივერსიტეტის გუმბათზე ეროვნული სამფეროვანი დროშა აფრიალდა.

გაზეთი ბედავს და ბეჭდავს მანამდე აკრძალულ ლექსებს: კოტე მაყაშვილის ლექსს — „მარო მაყაშვილს“ და კოლაუ ნადირაძის „25 თებერვალი, 1921 წ.“; აქვეყნებს ისტორიულ ფაქტებს 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, თუმცა ვერ ბედავს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის თანამედროვე ეპიზოდებზე წეროს.

ეროვნული მოძრაობის გამარჯვების შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდშიც გაზეთი ვერ ამბობდა უარს მმართველი ძალის ბერკეტების გამამყარებლის ფუნქციაზე. „ასრულდა ხალხის ნება” — ასეთი ფრაზებით ეგებება უნივერსიტეტის გაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს სამივე პრეზიდენტის არჩევას.

1992 წლის თბილისის სისხლიანი მოვლენების ხსენებისას გაზეთი უნივერსიტეტის ოფიციალურ პოზიციას მეტ-ნაკლებად ავლენს: „ამჟამად ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა უაზრო სიჯიუტე, ერის სასიცოცხლო ინტერესების არად ჩაგდება, ახალი მასშტაბების ნგრევისა და ხანძრის საშიშროებას გვიქადის. ქართველებო, შეჩერდით. სამოქალაქო ომი ჩვენი გადაშენების წინა დღედ იქცევა. სიმშვიდე, მიტევება, ურთიერთის სიყვარული თუ გვიხსნის ახლა“ — წერს გაზეთი 1992 წლის იანვრის ნომრის პირველსავე გვერდზე და სამძიმარს უცხადებს ძმათა ომში დაღუპულთა ოჯახებს. იანვრის გაზეთის რამდენიმე ნომრის გამოსვლის შემდეგ, მასში შუქდება ედუარდ შევარდნაძის უნივერსიტეტში სტუმრობა, რომელსაც უნივერსიტეტი ოვაციებით შეხვდა.

მე-3 გვერდზე

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ — ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

მეორე გვერდიდან

კორუფციის ჭაობად და სტაგნაციის ხანად შეფასებულ შევარდნაძის მმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა არ დაპირისპირებია — ეს სულისკვეთება ჩანს სწორედ უნივერსიტეტის გაზეთში 2002-2003 წლებში, როდესაც საერთოდ არ არის გაზეთის ფურცლებზე საუბარი მაშინდელი რეფორმატორების — სააკაშვილის, ჟვანიასა და ბურჯანაძის პოლიტიკურ კამპანიაზე. შევარდნაძის მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე უკონტროლო დემოკრატიის პირობებში გამოცემულ უნივერსიტეტის გაზეთს აშკარად ემჩნევა გათამამება.

ვარდების რევოლუციის პირველივე დღეებში უნივერსიტეტში შემოჭრილი ორგანიზაცია „კმარა" და მისი ორგანიზატორი თითს უქნევდა „დეკნებს". საუნივერსიტეტო საზოგადოება მღელვარებამ მოიცვა, რომლის დასაშუშმინებლადაც უნივერსიტეტში მოსული მიხეილ სააკაშვილი ასეთ პირობას დებს: „უნივერსიტეტი არის დამოუკიდებელი ავტონომიური ერთეული, არის თავისუფალი და მე ვიქნები ამ თავისუფლების დარაჯი. ე.წ. ბოლშევიზმი, ხუნვეიბინობა და მიხტომები აღარ იქნება. თუ კვლავ იქნება „კმარასნაირი" შემოჭრები, შემატყობინეთ და ცოცხით თვითონ მე გავხვეტავ". მიხეილ სააკაშვილს მაშინ შეახსენეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომია ჯერ კიდევ 1990 წლის 8 თებერვალს აღდგა, — ასე ასახა 2003 წლის ნოემბრის მოვლენების

ქრონიკა უნივერსიტეტის გაზეთმა. გაზეთის რედაქცია თავისუფლებას ზეიმობდა, საუნივერსიტეტო საზოგადოება კი კიდევ ერთხელ ანგარიშგასაწევ ძალად საკუთარი თავის დემონსტრირებას. უნივერსიტეტმა მაშინ რექტორი შეინარჩუნა.

ჯერ კიდევ 1994 წელს დაწყებულ უმაღლესი განათლების რეფორმას, რაც სამსაფეხურიან სწავლებაზე გადასვლას ითვალისწინებდა (გაზეთში ამის შესახებ ფართო დისკუსია იყო გაშლილი), მოჰყვა საუნივერსიტეტო რეფორმა, რომელიც საკადრო ცვლილებებსაც გულისხმობდა. ამ ფაქტს გაზეთი არ ეხმაურება. გიორგი ხუბუას უნივერსიტეტში რექტორად მოსვლის შემდეგ, 2006 წლის მაის-ივნისში, უნივერსიტეტიდან პროფესორთა ნაწილი დაითხოვეს, ნაწილმა კი პროტესტის ნიშნად აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში არ მიიღო მონაწილეობა. ამ პერიოდში გაზეთი მხოლოდ ბრძანებებისა და კონკურსების პირობების გამოქვეყნებით შემოიფარგლა. „მეამბოხე" პროფესურის გამოსვლები, სიტუაციის განსამუხტად უნივერსიტეტის ეზოში პოლიციის დასადგურებაც გაზეთის ფურცლებს მიღმა დარჩენილი ისტორიაა.

2006 წლის სექტემბრიდან რექტორმა გაზეთის ჯერ კონსულტანტად, შემდეგ კი რედაქტორად ნინო კაკულია მოიწვია. ახალი რედაქტორის რეკომენდაციით, რედაქციაში სამუშაოდ კონკურსის წესით შეირჩნენ ჟურნალისტები, რომლებიც გაზეთის ძირითადი აქტორები გახდნენ. გაზეთმა შეინარჩუნა სახელწოდებად „თბილისის უნივერსიტეტი" და ახალი კონცეფციის შედეგად იცვალა სახე, მიმართულება და სტილი.

ᲩᲔᲛᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲪ ᲕᲘᲚᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ...

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ

— როდის დაიწყეთ მუშაობა უნივერსიტეტის გაზეთში?

— უნივერსიტეტის გაზეთში სამუშაოდ 2006 წლის ივნისში ყოფილმა რექტორმა გიორგი ხუბუამ მომიწვია. მანამდე, 2005 წლიდან გაზეთ „24 საათის" ჩანართს — „რეგიონის დროით" ვრედაქტორობდი, რომელიც ა/ო „საქართველოს რეგიონული მედია ინიციატივების ინსტიტუტის" მიერ შემუშავებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის ეგიდით გამოიცემოდა. ამ გაზეთის ჩანართზე მუშაობისას ხშირად მიწევდა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ექსპერტის რანგში გიორგი ხუბუას ჩაწერა, რომელიც არაჩვეულებრივად გახსნილი და მუდამ დასაბუთებული არგუმენტებით შემტევი რესპონდენტი იყო. გიორგი ხუბუა ჩვენი გაზეთის — „რეგიონის დროით" აქტიური მკითხველი გახლდათ და ამ გაზეთში თამამად წარმოჩენილი პოზიციების გამო ხშირად კომპლიმენტებით მავსებდა. მალე იგი

უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს და რამდენიმე თვის შემდეგ დამირეკა და მთხოვა — უნივერსიტეტის გაზეთის „თბილისის უნივერსიტეტი" რედაქტორად დამეწყო მუშაობა და გაზეთის კეთებასთან ერთად საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსობაც შემეთავსებინა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც უნივერსიტეტში მწვავე საკადრო რეფორმა გატარდა და როდესაც განაწყენებული თუ აბუნტებული პროფესურა გარეთ პერმანენტულ აქციებს აწყობდა. მეტწილად, ამ ვითარების გამო ვთქვი უარი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსობაზე და გადავწყვიტე, მხოლოდ უნივერსიტეტის გაზეთი გამეკეთებინა, რადგან მაშინ გიორგი ხუბუა დამპირდა, რომ სრულ შემოქმედებით თავისუფლებას მომცემდა. ასე მოვედი უნივერსიტეტში და გაზეთში ჯერ კონსულტანტად და შემდეგ კი რედაქტორად დავიწყე მუშაობა.

რედაქციაში 3 თანამშრომელი დამხვდა, რომელთაგანაც გამოვარჩევდი ყოფილი რედაქტორის მოადგილის ამპლუაში მომუშავე მანანა ჯურხაძეს, რომელმაც ძალიან თბილად მიმიღო და რედაქციაში ჩემი მისვლის დღიდან უნივერსიტეტში სულ მეგზურობას მიწევდა. ჩემს მისვლამდე, მანანა, რედაქციაში 25 წელი მუშაობდა და, როგორც უნივერსიტეტის მრავალჭირნახული, თავის გამოცდილებას უშურველად მიზიარებდა. მისი „მასპინძლობა" მართლაც რომ დამეხმარა — უნივერსიტეტში „გავშინაურებულიყავი", რაც ჩემთვის ძალიან ძნელი იყო.

რექტორი ყოველმხრივ ცდილობდა რედაქციის მატერიალურ აღჭურვას და გაზეთის გამოსაცემად თანამშრომლების ფინანსურ უზრუნველყოფას.

მაშინ ჭორები დადიოდა უნივერსიტეტში, რომ თითქოს მე გია ხუბუას ცოლის და ვიყავი, რადგან მისი ცოლის დაც ნინო კაკულიაა. ეს ჭორი პრესასაც საკმაოდ დიდხანს ჰქონდა ატაცებული და სანამ გაზეთ „ალიას" კორესპონდენტს ჩემი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ ვაჩვენე, მანამდე უნივერსიტეტის ამბებზე დანერილ თავის სტატიებში სულ გიორგი ხუბუას ცოლის დად მომიხსენიებდა. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ხშირად მაწუხებდა იმაზე ფიქრი, რომ რადგანაც ვერ შევძელი უნივერსიტეტში პროტესტით სავსე პროფესორთა ღირსეული ნაწილის პოზიციები გაზეთში უფრო მკაფიოდ წარმომეჩინა, მავანს არ დაეჯერებინა, რომ მე ამას შეგნებულად ვაკეთებდი, თითქოსდა გია ხუბუასთან ნათესაური კავშირის გამო. მე რეალურად მაწუხებდა უარყოფითი საზოგადოებრივი შეფასებები უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე და ვცდილობდი — ჩავწვდომოდი იმ რეალურ მიზეზს, რამაც, ჩემი აზრით, მაშინდელი რექტორი აიძულა — მსგავსი საკადრო რეფორმა გაეტარებინა.

— თქვენ ახსენეთ, რომ გაზეთში მკაფიოდ არ შეგეძლოთ წარმოგეჩინათ იმ პროფესორთა პოზიციები, რომლებიც რექტორის საკადრო პოლიტიკას აპროტესტებდა. საინტერესოა, გაზეთში თქვენი რედაქტორად მოსვლის შემდეგ რა ვითარება იყო რედაქციაში? მოგეცათ თუ არა რეალურად შემოქმედებითი თავისუფლების საშუალება და არსებობდა თუ არა ცენზურა?

— სანამ კონსულტანტად დავიწყებდი მუშაობას, გაზეთს მანამდე ბატონი გივი შეყილაძე რედაქტორობდა. რედაქციის თანამშრომლები, ძირითადად, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ მოწოდებული მასალების ბეჭდვას უზრუნველყოფდნენ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე საინფორმაციო ხასიათის სტატიასა და ინტერვიუს, რომელსაც ერთი თუ ორი ჟურნალისტი წერდა. რედაქციაში ჩემი მოსვლისთანავე გამოვაცხადეთ კონკურსი და სტატიებზე სამუშაოდ შევარჩიე 4 ჟურნალისტი. ჩემი პრინციპი იყო, რომ გაზეთში ჟურნალისტების მიერ მოპოვებული და შექმნილი მასალები დაბეჭდილიყო და პროფესორ-მასწავლებლებსა თუ სტუდენტებს მასში, უმეტესწილად, რესპონდენტის როლი დაკისრებოდათ. ვფიქრობდი, რომ გაზეთში ჟურნალისტების ჩაბმით იგი უფრო საინტერესო და პროფესიონალური გახდებოდა და თან, მეტი შემოქმედებითი თავისუფლების საშუალებაც მოგვეცემოდა... მკითხველს უყვარს ინტრიგა და საინტერესო აქცენტებით მიწოდებული სტატიები, რასაც, ვთვლიდი, რომ ჟურნალისტები უკეთ გაართმევდნენ თავს. შემოვიღეთ ახალი რუბრიკები: „რექტორთან პირისპირ", „ინტელექტუალთა ბანკი", „სტუდენტის თვალით", „ექსპერტის პოზიცია" და ა.შ. კორპუსებში განვათავსეთ ყუთები წარწერით — „შეკითხვა რექტორატს", სადაც სტუდენტებს შეეძლოთ ჩაეყარათ წერილები, რომელიც მოიცავდა ისეთ შეკითხვებსაც, რაზეც მათ პასუხი აინტერესებდათ. ამ ხერხმა არ გაამართლა, რადგან ყუთის გახსნისთანავე ხელში შეგვრჩებოდა ხოლმე ფურცლები, რომელზეც სტუდენტთა ქილიკი და ლანძღვა-გინება იყო აღბეჭდილი. სტუდენტთა შორის გაზეთთან ყველაზე მეტად სტუდენტური თვითმმართველობის წევრები თანამშრომლობდნენ და ჩვენც ხშირად მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და ინიციატივებს ვაშუქებდით. ვწერდით უნივერსიტეტის ცხოვრებაზე, მიმოვიხილავდით იმ სიახლეებს, რაც უნივერსიტეტში ყოველდღიურად ხდებოდა... შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს რიგებში ცენზურის ნაცვლად თვითცენზურა უფრო „მოქმედებდა", რაც თამამი გაზეთის გაკეთების საშუალებას ნამდვილად არ გვაძლევდა. შიგადაშიგ ვცდილობდი, გავცილებოდი უნივერსიტეტის ფარგლებს და ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების კვალდაკვალ უნივერსიტეტელთა პოზიციები წარმომეჩინა. ერთხელ, 2007 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ, როცა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიცია მძვინვარებდა, დავით მაღრაძე იყო უნივერსიტეტში მოსული და რექტორი — გიორგი ხუბუა სტუდენტებთან შეხვედრისას უწმაწური სიტყვებით მოიხსენია. გაზეთში დათო მაღრაძის საუბრები მაინც გავაშუქე, რექტორისადმი მიძღვნილი მისი უკმეხი სიტყვები სტატიაში არ გამოვიყენე, თუმცა მისი ვიზიტი უნივერსიტეტში დადებით კონტექსტში მოვიხსენიე, რადგან უაღრეს პატივს ვცემ. როგორც ჩანს, რექტორი გააღიზიანა დათო მაღრაძის სტუდენტებთან შეხვედრის ამსახველმა ჩვენმა წერილმა. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ჩავთვალე, რომ იგი განაწყენებული იყო. ასეთი შემთხვევები კიდევ უფრო ზრდიდა თვითცენზურის მოტივაციას, რაც, ჩემი აზრით, მაინც სამწუხარია... რადგან, როცა ჟურნალისტი ხარ, უნდა იცოდე, რომ შეიძლება ბევრი გაანაწყენო, მაგრამ ამან ფაქტის დამახინჯებისკენ არ უნდა გიბიძგოს. ვფიქრობ, ბევრს სწორად არ ესმის – რა მოვალეობა აკისრია ჟურნალისტს, რა ფუნქცია აქვს გაზეთს და, საერთოდ, რა პასუხისმგებლობას გძენს მკითხველი, რომელიც შენგან სიმართლეს ელოდება. ჟურნალისტისთვის კრიტიკა არ უნდა იყოს თვითმიზანი და იგი არც ეთიკის ნორმებს უნდა არღვევდეს, მაგრამ მასში კრიტიკული აზროვნების უნარის ჩახშობა და რეალობის ასახვის აკრძალვა არ შეიძლება.

რამდენჯერმე მიმითითეს, რომ უნივერსიტეტის გაზეთი უწყებრივი გაზეთია და მასში უნდა წერო ის, რასაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დაგიკვეთავსო. მითხრეს ისიც, რომ საიმიჯო სტატიები უნდა მებეჭდა სულ, რათა მხოლოდ უნივერსიტეტის „პიარი" მეწარმოებინა. ამ მითითებებს შინაგანად ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი, რადგან ვთვლიდი და დღესაც ასე მიმაჩნია, რომ გაზეთი, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ეგიდით არ გამოდის, თავის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, ანუ უნდა ემსახურებოდეს რეალობის ასახვას ყველასა და ყველაფრის შესახებ; უნდა წამოჭრას პრობლემური საკითხები და მკითხველს მისი გადაჭრის გზები შესთავაზოს; უნდა წარმოაჩინოს ყველას პოზიცია, რათა ყველა უნივერსიტეტელს თავის გაზეთად მიაჩნდეს „თბილისის უნივერსიტეტი". მე, პირადად, ამ პრინციპის დაცვის მომხრე ვარ და ამ ფუნქციის შესანარჩუნებლად უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ბრძოლაც დამჭირდა.

ᲒᲕ-14 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

„მავნებლობიდან“ აკადემიურობამდე — გზა, რომელიც გაზეთმა გაიარა

გაზეთი „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ (1927-1930 წწ.)

მარქსის „კაპიტალის“ თანხლეგით

„პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ პირველი ნომერი, რომელიც ბიბლიოთეკებში იძებნება, 1927 წლის 7 ნოემბრითაა დათარიღებული. აშკარად ჩანს, რომ მისი სათაური, სლოგანები, სტატიების სათაურები და ტექსტები ხელითაა შესრულებული.

პირველ გვერდზე, სათაურის ფონზე, სიმბოლურადაა გამოსახული მშენებარე სახელმწიფო — ჩანს ქარხნის მილები, ელექტრობოძები და ხარაჩოები. მათ ფონზე კი დგას სტუდენტის უნიფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა — ხელში მარქსის „კაპიტალით“. გაზეთის გაფორმების ეს ელემენტი — საკმაოდ მდარე მხატვრული ხერხებით შესრულებული ნახატი, მიუთითებს, რომ ქვეყნის მშენებლობაში სტუდენტობას და მარქსის „კაპიტალზე“ დამყარებულ საუნივერსიტეტო ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

გაზეთის სახელწოდების ქვეშ მითითებულია, რომ იგი იყო ტფილისის უნივერსიტეტის აღმასბიუროს, კომპარტიის და კომკავშირის გამოცემა.

„პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ პირველი ნომერი 500 ტირაჟით გავრცელებულა. მასში 15 საგაზეთო მასალა იბეჭდება და კომუნისტურ პარტიის ქება-დიდების გარდა, მოცემულია ცნობები, როგორ ვითარდებოდა უნივერსიტეტი. მასალები გვაწვდის ისტორიულ ინფორმაციას, რომ ამ პერიოდში უნივერსიტეტში სწავლობდა 6790 სტუდენტი, ხოლო მათი სწავლებით დაკავებული იყო 330 პროფესორ-მასწავლებელი.

გაზეთის დანიშნულების შესახებ საინტერესო მასალა იბეჭდება „პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ მერვე ნომერში, რომელიც 1928 წლის 1 იანვრით თარიღდება. გაზეთის პირველი გვერდი ეთმობა სარედაქციო წერილს: „ჩვენი გაზეთი“, რომელშიც ნათქვამია, რომ „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ ჯერ ისევ კედლის გაზეთის სტატუსით გამოდის, თუმცა ის „ლიტოგრაფზე“ მრავლდება: „ცოტა ხნის „მიძინების“ შემდეგ ჩვენი გაზეთი კვლავ „იღვიძებს“. მიზეზები, რომლებმაც დროებით შეაჩერა უნივერსიტეტში გაზეთის გამოცემა, ბევრი იყო. ერთერთი ძირითადი მიზეზი — სტუდენტთა მასის და მუშა-მოსამსახურეების არა საკმარისი დაინტერესება იყო.

გაზეთის ამოცანა იყო მისი გადაქცევა უნივერსიტეტის ყოველმხრივი ცხოვრების სარკედ. „გაზეთის ძირითადი, მთავარი ამოცანაა თავის გვერდებზე გადმოშალოს პროლეტარული სტუდენტობის ყოფაცხოვრება, მათი მდგომარეობა, ნაკლი და მიღწევები; უნივერსიტეტის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა; უნივერსიტეტის საერთო აკადემიური ცხოვრება; მეცნიერული წრეების მუშაობა და სხვ. და სხვ. ამ ამოცანის გადაჭრა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ პროლეტარულ სტუდენტთა მასა და უნივერსიტეტის და მის სხვა დაწესებულებების (კლინიკების, ლაბორატორიების და სხვ.) მუშა-მოსამსახურეები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას... არ არის სათაკილო, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, კედლის გაზეთში მონაწილეობა“, — იწერება გაზეთში.

ამავე გაზეთში ვხვდებით რედაქტორის, აპოლონ ნუცუბიძის წერილს „ახალი წელი და სტუდენტობა“, რომელიც ჩვენთვის იმით აღმოჩნდა საინტერესო, რომ მასში კონკრეტულადაა ჩამოწერილი, რა ფუნქციებს აკისრებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უნივერსიტეტს. ამ ჩამონათვალში არსადაა ნახსენები სწავლება, სამაგიეროდ მითითებულია, რომ ეს ფუნქციები ყოფილა: „1) უნივერსიტეტის პროლეტარიზაცია; 2) უნივერსიტეტის სტუდენტთა იდეოლოგიური გარდატეხა; 3) სტუდენტთა პოლიტიკური დაპყრობა; 4) საბჭოთა დემოკრატიზმი“.

უნდა ითქვას, რომ გაზეთში „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ აგრესიული საბჭოთა პროპაგანდა ჯერ კიდევ არ ჩანდა. გვხვდებოდა მხოლოდ მოწოდებები და აღწერა, რა საამური დრო დადგა საბჭოთა მუშის, გლეხის და სტუდენტის ცხოვრებაში.

„საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა“ (1930 წ.)

„ის, რაც არ არის მარქსიზმი, არ არის მეცნიერება“

1930 წლის 13 თებერვალს გამოვიდა „პროლეტარულ სტუდენტთა ხმის“ მემკვიდრე გაზეთი „საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა“, რომელმაც ამ სათაურით ძალიან ცოტა ხანს იარსება. ამ დროისთვის უნივერსიტეტის რექტორი იყო კომუნისტური იდეების ერთგულებით ცნობილი მალაქია ტოროშელიძე (1928 წლის სექტემბრიდან 1930 წლის სექტემბრამდე), რომელიც იმავე საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხის მოღალატის სახელით დახვრიტა 1937 წელს.

გაზეთის პირველ გვერდზე იბეჭდება რედაქციის საპროგრამო წერილი — „ჩვენი ამოცანები“, რომელშიც ნათქვამია, რომ გაზეთმა უნდა იბრძოლოს „მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის განმტკიცებისათვის, აქტუალური საკითხების სისტემატური გაშუქებისათვის“, რაშიც ხელი უნდა შეუწყონ „მეცნიერების მუშაკებმა და სტუდენტთა ფართო მასებმა“.

წერილში დაგმობილია უნივერსიტეტის აპოლიტიკურობის იდეა. „უმაღლესი სასწავლებელი არ არის შექმნილი ზეციური ჰანგებისათვის. მოუთმენელია და გაუგებარი ჩვენთვის „მეცნიერება მეცნიერებისათვის“, ისე, როგორც „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ეს ფრაზა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც გვახსოვს საბჭოთა რეალიზმის პრინციპები და ბრძოლა სწორედ ამ ლოზუნგების წინააღმდეგ დევიზით „ხელოვნება ხალხისათვის“, — ნათქვამია წერილში.

აქვე ვხვდებით ძალიან საინტერესო მოწოდებას: „ჩვენ არ ვმალავთ უმთავრეს ჩვენ ამოცანას: უნივერსიტეტი უნდა დაიპყროს სავსებით მარქსისტულ–ლენინურმა იდეოლოგიამ. ჩვენ ამას ქვეყნის გასაგონად ვამბობთ, ვინაიდან ღრმად გვწამს, რომ ისტორიული სიმართლე და სიმართლის ლოგიკა ჩვენს მხარეზეა.“ ამავე წერილში საზოგადოების დაყოფის ერთ მცდელობას „ან ჩვენთან ან ჩვენს წინააღმდეგ“, ემატება მეორე: „ის რაც არ არის მარქსიზმი, არ არის მეცნიერება“.

„საბჭოთა უნივერსიტეტის ხმის“ 1930 წლის 22 აპრილის ნომრის შემდეგ უნივერსიტეტის გაზეთის გამოცემა შეწყდა და იგი მხოლოდ 1933 წელს განახლდა

.

„ბოლშევიკური კადრებისათვის“ (1933-1939 წწ.)

„გაზეთმა გახურებული შანთით უნდა აღმოფხვრას სტუდენტობაში ყოფა-ცხოვრების გახრწნილობის იოტისოდენა გამოვლინებაც კი...“

ამ სათაურით უნივერსიტეტის გაზეთმა 1933-1939 წლებში იარსება. გაზეთი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა და სრულად ასახავდა რეპრესიების იმ ათწლეულს, რომელმაც გასული საუკუნის 30-იან წლებში არაერთი ინტელექტუალი გაანადგურა. ამ პერიოდში (1933 წლის აპრილიდან 1935 წლის ივლისამდე) უნივერსიტეტს რექტორობდა ლევან აღნიაშვილი, რომლის დროსაც უნივერსიტეტში გამომცემლობა დაარსდა. ლევან აღნიაშვილმაც წინამორბედების ბედი გაიზიარა. იგი 1937 წელს დახვრიტეს, როგორც არასანდო ელემენტი.

1933 წლის 24 ოქტომბერს გამოვიდა „ბოლშევიკური კადრების“ პირველი ნომერი, რომლის მოწინავე წერილში: „ჩვენი გაზეთის საბრძოლო ამოცანები“, განსაზღვრულია გაზეთის სამოქმედო გეგმა. ნათქვამია, რომ გაზეთის პირველი ამოცანაა, „შეუნელებელი მუშაობა ცაკ-ის დადგენილებათა რეალიზაციისათვის, ბრძოლა სწავლების მაღალი ხარისხისათვის, მეცნიერების დაუფლებისა და მეცნიერული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნიზმის, დიდმპყრობელური და ადგილობრივი შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებათა განადგურებით...“

ამავე წერილში მიუთითებენ გაზეთის როლზე იმჟამად უნივერსიტეტში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად: „ჩვენი გაზეთის ამოცანაა, დაუყოვნებლივ შეებრძოლოს მახინჯ მოვლენებს, უნდა ამხილოს ზარმაცები და მზის სინათლეზე უნდა გამოფინოს ყველა ის, ვინც ვერ შეძლო ან არ ისურვა თავისი მუშაობის გარდაქმნა საკავშირო ცაკ-ის დადგენილებათა საფუძველზე... ჩვენმა გაზეთმა გახურებული შანთით უნდა აღმოფხვრას სტუდენტობაში ყოფა-ცხოვრების გახრწნილობის იოტის ოდენა გამოვლინებაც კი (ლოთობა, აზარტული თამაში, ხულიგნობა და სხვა, რომელსაც ნაწილობრივ ადგილი ჰქონდა საბ. აღმშენებლობის და სამართლის ფაკულტეტზე)“.

წერილი ასევე მოიცავს ცნობებს, რომ იმ დროს უნივერსიტეტში 5000 სტუდენტი სწავლობდა და 500 პროფესორი მუშაობდა.

წერილი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს პროფესურას, რომლებიც მათთვის მიუღებელნი იყვნენ თავიანთი მრწამსისა და იდეურ-პოლიტიკური პოზიციის გამო. ეჭვმიტანილი ლექტორები, როგორც ჩანს, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ექცეოდნენ. „ამ შემთხვევაში მთავარი ფიგურა ისევ ცოცხალი ადამიანი — ლექტორია, ეს კი ზოგ დისციპლინებში ჩვენი მუშაობის სუსტ მხარეს წარმოადგენს. გასულ წელს ჩატარებულმა ზოგ ლექტორების ლექციების დასტენოგრამებამ ცხადყო, რომ ზოგი ნებით და ზოგიც უნებლიეთ სასტიკათ ამახინჯებს რიგ დისციპლინებს, რყვნის მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, აცლის მას სულსა და გულს — რევოლუციურ დიალექტიკას. ზოგი პროფესორის თავხედობა იქამდისაც კი მიდის, რომ აცხადებს: „ვიყავი, ვარ და ვიქნები ჰეგელიანელიო... ზოგიც კიდევ გულს იმშვიდებს, „ჩვენ თავად აღვადგინეთ ძველი უნივერსიტეტი, ძველს უფლებებშიო“.... — წერს გაზეთი და აქვე მოცემულია გაზეთის მთავარი სტრატეგიაც: „ჩვენმა გაზეთმა თავის ფურცლებზე უნდა გამოააშკარაოს იდეოლოგიურ ფრონტზე დამახინჯებების კონკრეტული მატარებელნი და ბოლშევიკურად დაარტყას მას!“ — ნათქვამია წერილში.



უაღრესად საინტერესოა ამ პერიოდში რედაქტორების ცვალებადობისთვის თვალის მიდევნება. ამ ცვალებადობის მიხედვით იცვლება გაზეთის სტილი და მიმართულებაც და აშკარად ჩანს, რომ გამძაფრებულია რეპრესიული მანქანის მუშაობა.

ნიღაბჩამოგლეჯილი რედაქტორები

1936 წლის 20 ივნისამდე გაზეთს კონკრეტული პირი, როგორც რედაქტორი, ხელს არ აწერს. პირველი „პ/მგ. რედაქტორი“, რომლის ხელმოწერაც გაჩნდა გაზეთზე, არის ს. გეგენავა, რომელიც ამ პოსტზე ამავე წლის 1 ოქტომბერს შეცვალა პ. ხობუამ. დიდხანს არც ხობუას მოუწია თანამდებობაზე მუშაობამ — ის უკვე 7 თვის შემდეგ იცვლება და მის ნაცვლად გაზეთს ხელს აწერს ვ. მ. ცინცაძე.

1937 წლის 25 სექტემბერს, როცა გაზეთს უკვე სხვა პირი — ი. შელეგია აწერს ხელს, იბეჭდება წერილი „ჩვენი გაზეთი“, რომელიც არის ნიმუში, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა დაკარგოს ღირსება და სახე ხელისუფლების რეპრესიული მანქანის მუშაობის ქვეშ. წერილს ხელმომწერი არ ჰყავს. მასში ნათქვამია, რომ „ბოლშევიკურ კადრებში“ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ამსახველი

მე-5 გვერდზე

„მავნებლობიდან“ აკადემიურობამდე — გზა, რომელიც გაზეთმა გაიარა

მეოთხე გვერდიდან

პუბლიკაციები საერთოდ არ იბეჭდებოდა, და თუ იბეჭდებოდა, კრიტიკის ავტორი ზენოლის ქვეშ ექცეოდა.

მასალა შემდეგი აბზაცით იწყება:

„სამგზის წყეულმა და საზიზღარმა, ფაშიზმის აგენტმა, აწ გამომჟღავნებულმა და ნიღაბჩამოგლეჯილმა ხალხის მტრებმა: ხობუამ, ორაგველიძემ, შ. ცინცაძემ, გ. ჯანელიძემ და სხვებმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში შენიღბულად მოქმედებდნენ უნივერსიტეტის ყველა უბანზე, მოხდენილად გამოიყენეს ჩვენი გაზეთი თავიანთი ავტორიტეტის ამაღლებისა და ურთიერთ მლიქვნელური ხოტბის შესასხმელად“.

პუბლიკაციის თანახმად, ერთი ორი შემთხვევა იყო, როცა კეთილმოსურნე ამხანაგებმა დროულად ამხილეს მტრის მავნებლური მუშაობის ფაქტები, თუმცა „წყეულმა რედაქტორმა ხობუამ კინწისკვრით გამოყარა ასეთი კორესპონდენტები თავისი კაბინეტიდან, რადგან „საინტრიგანოთ არ გვცალიაო“.

გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობთ რედაქტორ ცინცაძის „განაჩენზეც“: „ჩვენი გაზეთის ავტორიტეტი ცოტათი როდი შელახა ყოფილმა, უკაცრავად პასუხია, რედაქტორმა ვ. ცინცაძემ, ამ კითხვის ნიშანმა ადამიანმა, რომელმაც მოატყუა პარტია და დაუმალა მას თვისი ბნელი წარსული. ცინცაძის ინიციატივას ეკუთვნის პრესის ისტორიაში ჯერ არ გაგონილი, გაზეთის თავიდან ბოლომდე რედაქტორის მიერ წერის პრაქტიკა. ჩვენი სტუდენტები, იმ დროს გამოშვებულ გაზეთის ნომრებს სამართლიანად ეძახდნენ „ცინცაძის გაზეთს“.

სამართლიანი იყო უნივერსიტეტის ყველა მუშაკის აღშფოთება, როცა მტერმა ხობუამ „ბოლშევიკური კადრებისათვის“ რედაქტორად დასვა გაზეთის საქმეში ნერაკითხვის უცოდინარი ხალხის მტერი, ხობუას და ორაგველიძის დამქაში, მავნებელი გოზალიშვილი, რომ გაზეთში არ გაპარულიყო არც ერთი სიმართლე, კრიტიკა და თვითკრიტიკის არც ერთი სიგნალი, მტრების გამჟღავნების არც ერთი ფაქტი“.

მასალის ბოლოს ნათქვამია, რომ „მავნებელთა და ცოფიან ძაღლთა ბუდე განადგურებულია“ და რომ უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა შეძლოს გაზეთის რეაბილიტირება, რათა „ბოლშევიკური კადრებისათვის“ უნივერსიტეტის ყველა სამეცნიერო კადრის საყვარელი გაზეთი იყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. შელეგიას დროს გაზეთის წერილების სათაურები ზუსტად მიანიშნებს რედაქტორის მცდელობაზე — როგორმე ასცდეს 1937 წლის რეპრესიას და საკუთარი თავი „რომის პაპზე მეტ კათოლიკედ“ — ანუ უკეთეს კომუნისტად წარმოაჩინოს. ამ პერიოდში გაჩნდა გაზეთში სათაურები: „სიკვდილი ცოფიან ქოფაკებს“, „ხალხის მტერი ეკონომიკის კათედრაში“, „დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს“, „ხალხის უბოროტესი მტრები, სამშობლოს გამყიდველები, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტები გასრესილნი არიან“ და სხვ.

როგორც არქივი მიანიშნებს, არც ი. შელეგიას „დაუფასდა“ კომუნისტების მსახური — 1938 წლის 10 თებერვალს გაზეთს უკვე გ. გელბახიანი აწერს ხელს და გაზეთში აგრესიაც იკლებს.

1939 წლის 1 მაისს, როცა მას ისევ სხვა რედაქტორი — გრ. ხურცილავა ხელმძღვანელობს, გაზეთის ბოლო გვერდზე გაჩნდა მინაწერი: „ბოლშევიკური კადრებისათვის“ ა.წ. 5 მაისიდან სწყვეტს გამოსვლას“. მინაწერს არ ახლავს ახსნა, რატომ გადაწყვიტა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გაზეთის გაუქმება. ფაქტი ერთია — 1939 წლის 7 მაისს გაზეთის უკანასკნელი ნომერი გამოვიდა და უნივერსიტეტში გაზეთის გამოცემა 1952 წლამდე შეწყდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი „ბოლშევიკური კადრებისათვის“ კომუნისტური პარტიის ყველა გადაწყვეტილების გამოხმაურება შეიძლება მოიძებნოს. ამ გაზეთში ხელის გულზეა გადაშლილი საბჭოთა იმპერიალიზმის, კომუნისტური იდეოლოგიის ისტორია, რომლის ერთერთ ელემენტადაც აქციეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — როგორც „ბოლშევიკური კადრების სამჭედლო“.

„ახალგაზრდა სტალინელი“ (1952-1962 წწ.)

ლიტერატურულ გაზეთად ქცეული უნივერსიტეტის გაზეთი

1945 წელს უნივერსიტეტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ქართველი მეცნიერი ნიკოლოზ კეცხოველი. სწორედ მისი ინიციატივით აღდგა უნივერსიტეტის გაზეთი 1952 წელს და მას „ახალგაზრდა სტალინელი“ დაერქვა, რადგანაც იმ პერიოდში უნივერსიტეტი სტალინის სახელს აღარ ატარებდა.

აი, როგორ იხსენებს ამ პერიოდს მისი რედაქტორი ტარიელ კვანჭილაშვილი: „რექტორმა, აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა იმდენი იმეცადინა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება თბილისის უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთის დაარსების შესახებ. ამ დადგენილებით განისაზღვრა გაზეთის ფორმატი, პერიოდულობა, ტირაჟი, რედაქციის სტატიები. ბუნებრივი იყო, რომ უნივერსიტეტში ხანგრძლივ პერიოდში უგაზეთობის გამო „ახალგაზრდა სტალინელი“ დაარსდა არა „ბოლშევიკური კადრებისთვის“ გაგრძელებად, არამედ ახალ გაზეთად. ამიტომ ნუმერაციაც ახალი დაიწყო. დადგენილება 1951 წლის მაისში იქნა მიღებული“.

როგორც გაზეთის რედაქტორი, ტარიელ კვანჭილაშვილი იხსენებს, ბატონი ნიკო კეცხოველი იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა გაზეთის პირველი ნომრის გამოშვებას, რომ მისთვის ახლად დაბეჭდილი გაზეთი მატარებლის სადგურის ბაქანზე მიურთმევიათ: „ამხანაგები დავიხმარე, ვიწვალე და როგორც იქნა გაზეთის პირველი ნომერი მოვამზადე. ივნისის დასაწყისში რექტორი მოსკოვს გაემგზავრა უმაღლესი განათლების სამინისტროში (მაშინ საქართველოში ეს სამინისტრო არ არსებობდა). როცა მისი დაბრუნების დღე გავიგე, მოვიწადინე, რომ გაზეთის პირველი ნომერი დამეხვედრებინა, ასეც მოხდა. მატარებელზე დავხვდი რექტორს და გაზეთის პირველი ნომერი მივართვი. ერთი გენახათ, რა სიხარულით და აღტაცებით გადაათვალიერა მან იქვე პერონზე.. როგორ იღიმებოდა, სიხარულს ვერ მალავდა“, — წერს ტარიელ კვანჭილაშვილი.

რედაქციას გვერდში ედგნენ არჩილ სულაკაური, ზურაბ ჭუმბურიძე, მაგალი თოდუა, რეზო თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, ნოდარ დუმბაძე, სხვები და სხვები. დაარსდა შტატგარეშე განყოფილებები, განაწილდა ფუნქციები, შეიქმნა კორესპონდენტთა ქსელი, ჩაერთო ყველა დეკანატი, ფაკულტეტების პარტიული ბიუროები, კომკავშირული ბიუროები, პროფესორ-მასწავლებლები. გაზეთი ყოველ ოთხშაბათს დღის პირველ საათზე იყიდებოდა მთავარი კორპუსის ვესტიბიულის კიბესთან, სადაც ახლაც ჟურნალ-გაზეთები იყიდება...

გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებას. ცნობილია, რომ ნიკო კეცხოველმა 1947 წელს დააარსა ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომლის ალმანახის — „პირველი სხივის“ — პირველი ნომერი 1950 წელს გამოვიდა. მაშინ ეს წრე ძალიან ძლიერი შემადგენლობისა იყო. „ცისკარი“ არ არსებობდა, ახალგაზრდა ავტორები სხვაგან ვერ ბეჭდავდნენ, ამიტომ უნივერსიტეტის გაზეთში მათი ნაწარმოებების გამოქვეყნება დიდი სიხარული იყო. ნოდარ დუმბაძე ჯვებე დუმბავას ფსევდონიმით ბეჭდავდა თავის ფელეტონებს. მუხრან მაჭავარიანი, არჩილ სულაკაური და მრავალი სხვა აქვეყნებდნენ თავიანთ ლექსებს. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მწერლების მასალების ბეჭდვა ცოტა ზედმეტი გამოგვივიდა, რის გამოც, ორჯერ დავიმსახურე რექტორის შენიშვნა: ერთხელ, როცა მორის ფოცხიშვილის „ენკი-ბენკი“ დავბეჭდეთ, მეორედ კი მაშინ, როცა მეორე კურსის სტუდენტის ოთარ ჭილაძის ლექსებს მთელი გვერდი დავუთმე. ბატონმა ნიკომ დამიძახა, კოპები შეიკრა და მითხრა, ეს გაზეთი ლიტერატურულ გაზეთად ნუ გადამიქციეო, თვითონ მწერალი იყო, ახალგაზრდა მწერლებზე ამდენს ზრუნავდა, ყველაფერ ამას ჩემი თვალით ვხედავდი და უფრო ამიტომ გამიკვირდა ეს შენიშვნა. მეორე დღეს დერეფანში შემხვდა, გამიცინა და მომეფერა, თანაც მითხრა, ნუ გეწყინება ჩვენს გაზეთს სხვა ამოცანები აკისრიაო“, — წერს ტარიელ კვანჭილაშვილი.

იმ წლებში უნივერსიტეტში ფართოდ განვითარდა მხატვრული თვითშემოქმედება, ფიზკულტურა და სპორტი. სტუდენტთა ძალებითა და მაესტრო ალექსანდრე ნასიძის ხელმძღვანელობით დაიდგა ოპერა „დაისი“. იდგმებოდა დრამატული სპექტაკლები. შეიქმნა მომღერალთა დიდი გუნდი. რ. ჭოხონელიძემ ჩამოაყალიბა მოცეკვავეთა საუკეთესო ანსამბლი. ყოველივე ამის გამო ალაპარაკდა რესპუბლიკის პრესა. ამაზე დაწვრილებით წერდა „ახალგაზრდა სტალინელიც“.

1953 წლის დეკემბერში გაზეთის რედაქტორობა დაევალა ირაკლი ვეშაპიძეს, რომელიც გაზეთს 10 წელი ხელმძღვანელობდა.

გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი“ იყო რექტორატის, პარტიული კომიტეტის, კომკავშირისა და პროფკავშირის ბეჭდური ორგანო, რომელსაც პირველ გვერდზე წამძღვარებული ჰქონდა ლოზუნგი „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მასში, ძირითადად, უნივერსიტეტის მიღწევები და წარმატებები აისახებოდა, ასევე, იბეჭდებოდა ზემდგომი ორგანოების უმნიშვნელოვანესი დავალებები და ზოგჯერ კრიტიკული მასალებიც... თუმცა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორიც იყო 1956 წლის 9 მარტის მოვლენები და ახალგაზრდობის (მათ შორის, სტუდენტების) მასიური დახვრეტა თბილისში, არაფერია ნათქვამი.

მიუხედავად ამისა, მასალების გაცნობის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ „ახალგაზრდა სტალინელი“ მოწოდებული იყო — „აესახა უნივერსიტეტის ცხოვრების ყველა მხარე — სასწავლო, სამეცნიერო, ორგანიზაციული, სპორტული, საყოფაცხოვრებო და ა. შ.

7 ოქტომბერი, 1956 წ. № 8. ახალგაზრდა სტალინელი 3

ლიტერატურული გვერდი

ნოდარ დუმბაძე

ყარილობას უსმენს მთელი სამყარო

ბალ ვეფხვიან ტრიალი,
სახმილი,
ხიტვა და ოინი,
ვეფხი მოიდგიის ტანსაცმა და ლენინის
ეიბეფილი.
ბეკიდგა ენოდან ფენინის და ხეკალინის
ფიროში
ასე, მიეფიდი კომენიტები.
ბოკა, ჩვენს ვეფხში უკიდეფეს ბეგანეფი
ბიდეკ,
ალეკ ფალეკს და ფიდეკ მოიკიდნენ
ეკალი.
არ ფიდეკეფლეფარ.
ვაფიარეკეკეკ ასეკ, რადგან
ენიმ ბიკეკიდეფი ფალეკ კალ.
ასეკ, რიდესაც ეკეფეკალეფი ბენეკის ხარ,
ეფანიფეში ეკეფიდეკის ხეკი მიეკიდ.
ვიანეკ არ ვეკეკარ, ვიდეკ-ფიფინ ანიბეი
ნარეი
და ეკ კომენიეს ფიკანიანეი ვიალკ-
ფიფინდ.
ეკალკ ეკალკს ვანალეს,
ბალეკი ბალეს,
კომენიტები ენიმ ბიკეკიდარ ანეკ და ანეკ.
ენიეს ენიალეს კომენიეს კარანეკეს ალეს
და ამ ბიკეკეკალან ლენინიე ანეკეს.
ფიდეს ხარანეკეს ალეკალეს ფარეკეი
ეენიხ,
ანეკეკ ფიკეს, კომენიეს ეროი ბიკარ,
ენიალან. ეანეს
ეეეიდალეს,
ეეეკალეს,
ენიალეს ეანეს ბიკეკ ალეკარ.

ტარიელ ჩანტურია

მრავალქამიერ

რომ ბაწყინა ბალიეს ალეანიან,
გეგონეფა და ეიკოალა ბიეკეს,
ჩვენ ეანიეკეკეკ სალის მეარბიდან
ბიილია, რომ ნიკო კეცხოველმა 1947 წელს დააარსა ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომლის ალმანახის — „პირველი სხივის“ — პირველი ნომერი 1950 წელს გამოვიდა. მაშინ ეს წრე ძალიან ძლიერი შემადგენლობისა იყო. „ცისკარი“ არ არსებობდა, ახალგაზრდა ავტორები სხვაგან ვერ ბეჭდავდნენ, ამიტომ უნივერსიტეტის გაზეთში მათი ნაწარმოებების გამოქვეყნება დიდი სიხარული იყო. ნოდარ დუმბაძე ჯვებე დუმბავას ფსევდონიმით ბეჭდავდა თავის ფელეტონებს. მუხრან მაჭავარიანი, არჩილ სულაკაური და მრავალი სხვა აქვეყნებდნენ თავიანთ ლექსებს. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მწერლების მასალების ბეჭდვა ცოტა ზედმეტი გამოგვივიდა, რის გამოც, ორჯერ დავიმსახურე რექტორის შენიშვნა: ერთხელ, როცა მორის ფოცხიშვილის „ენკი-ბენკი“ დავბეჭდეთ, მეორედ კი მაშინ, როცა მეორე კურსის სტუდენტის ოთარ ჭილაძის ლექსებს მთელი გვერდი დავუთმე. ბატონმა ნიკომ დამიძახა, კოპები შეიკრა და მითხრა, ეს გაზეთი ლიტერატურულ გაზეთად ნუ გადამიქციეო, თვითონ მწერალი იყო, ახალგაზრდა მწერლებზე ამდენს ზრუნავდა, ყველაფერ ამას ჩემი თვალით ვხედავდი და უფრო ამიტომ გამიკვირდა ეს შენიშვნა. მეორე დღეს დერეფანში შემხვდა, გამიცინა და მომეფერა, თანაც მითხრა, ნუ გეწყინება ჩვენს გაზეთს სხვა ამოცანები აკისრიაო“, — წერს ტარიელ კვანჭილაშვილი.

ეკალ ეანეკ

კრემლის კურანტები

მე ბახსოეს ეუსმენდი ეუბმოდ, ეკერანდლებით,
გეიაბლოვდებოდა გრიგალი, ეკეენი.
რეკავდნენ,
რეკავდნენ კრემლის კერანტები
მიწას აღეთქმენდნენ ძლერი გეგეენით.
ეაბლოვდებოდა მოსკოეს ქარიშხალი,
სტალინგრადს დაატყდა დამე ნისლიანი.
— სისხლი სისხლისა წილ!
— თვალი თვალისა წილ!
რეკავდნენ,
რეკავდნენ ზარები ზრიალით.
დაკარეს,
შეუტიეს ეერაგს გულანთებით,
მიწას მოეელინა სხივები მზისა�.
რეკავდნენ,
რეკავდნენ კრემლის კერანტები:
— წინ, ბერლინისაკენ! წინ, ბერლინისაკენ!
რაიხსტაგს ალმართეს დროშა გულდგმამ,
დროშა გამარჯვების და თავისუფლების.
რეკავდნენ,
რეკავდნენ კრემლის კერანტები
და იფანტებოდა ზეციდან ლრეგბლები.
ხელახლა შეეფდა შრომას თავდადებით
ეიეკაცი ბრძოლაში თე ომში ნაქმები.
რეკავდნენ,
რეკავდნენ კრემლის კერანტები,
ფერფლიდან დგებოდნენ მთელი ქალაქები...
მე ვეესმენ ისევე ეხმოდ, ეკერანდლებით,
მიწას ალეთქმენ...

თამაზ ჩილაძე

კომუნისტი

არ აბინეფდა მტრის ინერეა,
სიკვდილისაკე პირში გაეეანეფდა —
— ვაზ. ანიან ანელი, ბაკრან ბერლინში
ენდა ბიეიდეი ალეიანელად.
ენდა ბიეიდეი!..
ბიკვდეი კოდეკ
და ხახარეკლ ვერ ვნახეი კიდე...

— ფიბერეფდ კალეკს ბენეეა ენდა...
ალეეის ანეკეკეა ალანის პარალეკნი.
და ვაბოეეეი ინეკენეა ხენოკეკა,
ფიბერეფის ბიხალეკდნენ ალიკენ ფანეკრანი.

— ხაკეეა ანელი, — იტეკდა ბიეკ —
ბაკრან ანელი ბეკეეა ბეკეხა...
და ვალარეკეკ ეალანის ენა
ბერე ბნდეეიდა ანალი ბალეი.

ის ბენეეიან ალეკ ალეკეკენ, კარში,
ანეკის ალეკეკ ეკარალი ალალენ.

ეკანარ ფიალეკ ალალი ნენარალ,
ვარ ბალენეეის ეკარი ალეკეკ,
ის ბანარი ვალეკეკ ანე ვალეკარალ,
ალ ბანარი ვალეკეკ ბალეკ პარალ.

ნანიალეკ ეკალეკის ეალალ ბანარეკ,
ალენანალ ბანე და ბანე ალანანეკ;
ბენეალალეკ და ბის ლრანა ალალეკენ
ალანანალეკ ბანალალ ბანიანეკ.

ალეკ ბის ანეკეკანი ბალეკ პარალ ვანალეკ,
ბის ენან ეკალალეკ ეანეკი ენალეკ.
და ბენენ ენარეკენენ —
ამ ალალეკ ერალალ
ალალ ალალეკენ არ არის ანელ!

ოთარ ფალალაბარიძე

„ბერლინის დაცემა“ მთაში

ეკალეკს ალალეკი ბანიალეკარალ,
ეკალეკს ბენალალეკ ეკალარ ბალეკალ;
ალეკ ენარალეკალეკს ალალეკანი ეკალეკ,
ალეკ ალ ბალეკალ ალალეკ ეკალეკ —
ალ ალ ბალეკალ ალალეკ ალ ალ ალ ალ.
ეკალეკალეკ ბალეკალ ბალეკ ბალეკ ეკალეკ,
ეკალეკალეკ ბალეკ ბალეკ ეკალეკ,

„თბილისის უნივერსიტეტი“ (1962 წლიდან — დღემდე)

უნივერსიტეტის გაზეთი — უნივერსიტეტის მემატიანე

1962 წელს გაზეთს კვლავ შეეცვალა დასახელება და მას „თბილისის უნივერსიტეტი“ ეწოდა. გაზეთის რედაქტორი მცირე ხნით ზაურ ბოლქვაძე იყო, შემდეგ კი იგი ზაალ ჟვანიამ შეცვალა, რომელიც გაზეთს 1976 წლამდე ხელმძღვანელობდა. „თბილისის უნივერსიტეტის“ სარედაქციო პოლიტიკა იგივე დარჩა, რაც მის წინამორბედ გაზეთს ჰქონდა — მასში უნდა ასახულიყო უნივერსიტეტის ცხოვრების ყველა მხარე — უნივერსიტეტის კავშირები; სამეცნიერო და სასწავლო პროცესი; სტუდენტური ცხოვრება... გაზეთის ძირითადი ხაზი კი კვლავ უნდა ყოფილიყო საბჭოთა იდეოლოგიის

პროპაგანდირება და კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებათა კვალდაკვალ სიარული. ერთერთ ნომერში დაბეჭდილ რედაქტორის სვეტში ზაალ ჟვანია წერს: „ჩვენი გაზეთი ქართული უნივერსიტეტის მემატიანეა. რედაქცია ცდილობს, უყურადღებოდ არ დატოვოს უნივერსიტეტის ცხოვრების არც ერთი მოვლენა, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი. შეგიძლიათ გადაფურცლოთ ჩვენი გაზეთის კომპლექტები და მისი მიხედვით აღიდგინოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე. ყველაზე პირველად და ყველაზე სრულად მის ფურცლებზე ისახება ქართული უნივერსიტეტის მთელი სასწავლო, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა, თითოეული ფაკულტეტის, კათედრის, ლაბორატორიის, თითოეული აკადემიური ჯგუფის წარმატებებისა თუ დროებითი ჩამორჩენილობის ამბები. ამასთან, სასურველია, გაზეთი უფრო ქმედითი, მებრძოლი, მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყოს“.

ამ დროისთვის გაზეთს ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: „პარტიულ კომიტეტში“, „რექტორატში“, „პროფკავშირული ცხოვრება“, „კომკავშირული ცხოვრება“, „ჩვენი ფრიადოსნები“, „უნივერსიტეტი — წარმოებას“, „სანიმუშო წესრიგისთვის უნივერსიტეტში“, „ჩვენი რეიდი“. მასში იბეჭდებოდა კროსვორდებიც.

1967 წლის 5 ნოემბერს პირველი ფერადი (ორ ფერში, წითელი და შავი) ნომერი გამოიცა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს მიეძღვნა.

60-იანი წლების გაზეთს აშკარად ეტყობა დაინტერესება სტუდენტური ცხოვრებით. რედაქციასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტები, რომლებიც შემდგომ სიამოვნებით იხსენებდნენ „თბილისის უნივერსიტეტთან“ თანამშრომლობის წლებს.

მე-6 გვერდზე

„მავნებლობიდან“ აკადემიურობამდე — გზა, რომელიც გაზეთმა გაიარა

მეხუთე გვერდიდან

სხვადასხვა დროს, გაზეთის რედაქციის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ლევან მენაბდე, სოლომონ ხუციშვილი, თენგიზ ბუაჩიძე, ნოდარ ჩხეიძე, ნუგზარ ფოფხაძე, ნია აბესაძე, არჩილ ჯანაშვილი, რევაზ ჟორდანია, ჯონდო შარიქაძე, ლევან ჟიჟიაშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, გიორგი შალამბერიძე, მამია ებრალიძე, ნოდარ ტაბიძე, დალი ჩიკვილაძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე, ოთარ ბაქანიძე, ნომადი ბართაია, რევაზ სირაძე, გრივერ ფარულავა, შუქია აფრიდონიძე, ვახტანგ გურული, გიორგი (ასანა) ნადირაძე, გაგა შურღაია, ელგუჯა ხინთიბიძე, რისმაგ გორდეზიანი, თეიმურაზ ფანჯიკიძე, ზაურ მეძველია, ჰამლეტ მელაძე და სხვანი...

სწორედ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გაიარა პირველი ნათლობა 50-60-70-იანი წლების ჟურნალისტთა იმ თაობებმა, რომლებიც თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ეუფლებოდნენ პროფესიას, კერძოდ: არმაზ სანებლიძემ, პაატა ნაცვლიშვილმა, გვანჯი მანიამ, ჯუმბერ თითმერიამ, ომარ შურღაიამ, ნარგიზა მგელაძემ, ნატო კორსანტიამ, ლაშა გვახარიამ, სპარტაკ ქობულიამ, ვალერიან მარდალეიშვილმა, ჰამლეტ გურგენიძემ, ვასილ კასრაძემ, ზურაბ სხვედიანმა...

1977 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ზაალ ჟვანია და გაზეთის რედაქტორად გივი შეყილაძე დაინიშნა, რომელიც გაზეთს 29 წელი ხელმძღვანელობდა. ამ დროისათვის გაზეთში გაჩნდა ახალი რუბრიკები: „ცნობები ფაკულტეტიდან“, „მსოფლიო იცინის“, „ახალგაზრდა მნერალთა წრეში“, „ჩვენი სტუმრები“, „სპორტული ქრონიკა“, „ლიტერატურული გვერდი“, „ახალი წიგნები“, „მეგობრობის მერიდიანები“, „ბუნების კარი“, „ეს საინტერესოა“ და სხვა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში გაზეთი კვლავ აგრძელებდა ჩვეულ მოღვაწეობას, თუმცა მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლებაში და ე.წ. „გარდაქმნის“ პერიოდმა, გარკვეულწილად, განაპირობა სიტყვის მცირეოდენი თავისუფლების მოპოვება. ამას ემატებოდა ის, რომ 80-იანი წლების ბოლოს ძალიან გააქტიურდა ეროვნული მოძრაობა, რომელშიც უნივერსიტეტის სტუდენტებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ამ სტუდენტებს ფარულად უჭერდნენ მხარს უნივერსიტეტის რექტორატშიც და, შედეგად, დაარსდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჩანართი „სტუდენტური ფურცელი“.

90-იან წლებში „თბილისის უნივერსიტეტის“ ფორმატი შემცირდა, თუმცა მას გამოცემა არ შეუწყვეტია. რედაქციის თანამშრომლები, შეიძლება ითქვას, პირადი ენთუზიაზმით მუშაობდნენ მის გამოცემაზე, თუმცა თემატიკა მთლიანად შეიცვალა და გაზეთი საინფორმაციო ფურცელს დაემსგავსა.

ახალი სიო გაზეთში

2008 წლიდან გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა.

2006 წლის ივნისიდან გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ახალი, თანამედროვე დიზაინითა და მკვეთრად შეცვლილი თემატური მასალებით გამდიდრებული მიეწოდება მკითხველს. ამ დროიდან გაზეთის რედაქტორია ჟურნალისტი ნინო კაკულია, რომელმაც შეძლო მიძინებული გაზეთის გაცოცხლება და ახალი რუბრიკების დამატებით მეტად საინტერესო გახადა იგი.

2006 წლიდან გაზეთის კონცეფცია მთლიანად შეიცვალა. გაზეთში გაჩნდა ახალი რუბრიკები: „უნივერსიტეტში“, „ინოვაცია“, „ექსპერტის აზრით“, „პროფილი“, „უნივერსიტეტის სტუმარი“ „შეკითხვა რექტორატს“ და სხვ.

გაზეთმა სპეცნომრები მიუძღვნა ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, აკაკი შანიძის, ილია ვეკუას იუბილეებს და შეეცადა, მათი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის ამსახველი რეალური ფაქტების გამომზეურებას და თანამედროვე გადასახედიდან შეფასებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ „თბილისის უნივერსიტეტი“ პირველი იყო ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, რომელმაც ახსენა ჟენევის ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი (CERN) და დიდი ადრონული კოლაიდერი, რომლის შექმნაშიც 50-მდე ქართველი მეცნიერი მონაწილეობდა. გაზეთი პერმანენტულად ბეჭდავს სიახლეებს გია დვალისა და ზაალ კოკაიას აღმოჩენებისა და მეცნიერული კვლევების თაობაზე, რაც ფიზიკაში მეოცე საუკუნის რევოლუციად ფასდება.

რუბრიკაში „მეცნიერების კომერციალიზაცია“ — „თბილისის უნივერსიტეტი“ სისტემატურად აქვეყნებდა მასალებს იმ სამეცნიერო სიახლეების შესახებ, რომელიც უნივერსიტეტის წიაღში მზადდებოდა — ასეთი იყო „სამუზეუმო ექსპონატების დაცვა ახალი ქიმიური საშუალებებით“ (7.03.2011 წ.), რომელსაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული ნაერთების და არატრადიციული მასალების ინსტიტუტი გეგმავდა; მზის ბატარეების შექმნა თსუ-ის

გია დვალი

მიკრო და ნანოელექტრონიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-საწარმოო კომპლექს „ელექტრონულ ტექნიკაში“; „როგორ გამოვიყენოთ წიაღისეული კომერციული მიზნებისთვის“ და სხვა.

ინერებოდა ამავე მიმართულების პუბლიკაციები სათაურებით: „პირველი ქართველი ასტრობიოლოგები NASA-ში“ (29. 06. 2010წ.), რომელიც თსუ-ის პროფესორების ნუგზარ ალექსიძის და მარინა ტარასაშვილის სამეცნიერო წარმატებას მიძღვნა; „ტექნოპარკი მეცნიერებს ბიზნესში ჩართავს“ (15.10.2010 წ.), რომელშიც საუბარია საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღებაზე; „ჩვენც გვინდა გვქონდეს თბილი სახლი“ (28.03 2011წ.), რომელშიც საუბარია თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ქიმიის მიმართულების მეცნიერთა ჯგუფის მიერ (ხელმძღვანელი პროფ. ომარ მუკბანიანი) შემუშავებულ ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების მიღების თაობაზე; „მაღალტექნოლოგიური მასალების დამზადება სწრაფად და იაფად“ (27. 05. 2011 წ.), რომელიც შეეხება თსუ-ის პროფესორ ალექსანდრე შენგელაიას სამეცნიერო პროექტს — ფოტოსტიმულირებული მყარსხეულოვანი რეაქციის დამუშავება და მისი გამოყენება მაღალტექნოლოგიური მასალების დამზადებისათვის“, „სიმსივნური უჯრედების დროული გამოვლენის მეთოდი“ (30. 11.2011 წ.), „ღეროვანი უჯრედები — გადატრიალება მედიცინაში?“ ((30. 11.2011) და სხვა.

უნივერსიტეტის გაზეთი დღესაც აგრძელებს დისკუსიას განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისიის მიერ შემოთავაზებული „ტენუარის ინსტიტუტის“ დანერგვის თაობაზე; უმაღლესი განათლების რეფორმის ირგვლივ მსჯელობა ექსპერტებისა და ადგილობრივი ინტელექტუალური რესურსის მონაწილეობით გაზეთის ერთერთი მთავარი მიმართულებაა.

„თბილისის უნივერსიტეტი“ ტრიბუნას აქტიურად უთმობს სტუდენტებს, რომელთა თავისუფალი აზრის დაფიქსირებას ბიძგი 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ მიეცა. სხვათა შორის, სტუდენტთა წახალისების და სტიმულირებისთვის რედაქციამ გადაწყვიტა ერთი ნომერი მთლიანად სტუდენტებისთვის „დაეთმო“ და 2013 წლის 4 მარტს გამოვიდა გაზეთი, რომელიც სტუდენტებმა თავად დაგეგმეს და გამოუშვეს.

სტუდენტთა გააქტიურების შედეგია ის, რომ გაზეთმა აღადგინა სტუდენტური ჩანართის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ისინი თვეში ერთხელ თავიანთ ნააზრევს გაავრცელებენ გაზეთის მეშვეობით.

„თბილისის უნივერსიტეტი“ პერიოდულად ახერხებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გამოხმაურებასაც. ამ თემაზე იბეჭდება ინტერვიუები პოლიტოლოგებთან, სოციოლოგებთან და თავად ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

გაზეთი ცდილობს არ ჩამორჩეს დროს და საუნივერსიტეტო ცხოვრების გაშუქების პარალელურად იმსჯელოს ქართული საზოგადოებისთვის მტკივნეულ საკითხზებზეც.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

ვინ და როდის იდგა მოვლენების ეპიცენტრში?

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ განვითარების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული იმ პოლიტიკასთან, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება გასული რვა ათეული წლის განმავლობაში ატარებდა.

გაზეთის ფურცლები ინახავს საქართველოს ბოლო წლების ისტორიას, რომელშიც თავის ადგილი აქვს უნივერსიტეტის განვითარების, სწავლისა და სწავლების მეთოდების ტრანსფორმაციის, საზოგადოების მენტალური ცვლილების ეტაპობრივ გამოვლინებებსაც.

მაინც რა იყო ის თემატიკა, რაზეც გაზეთი ყურადღებას ამახვილებდა დაარსებიდან დღემდე? საგაზეთო მასალების კლასიფიკაციის შედეგად შეგვიძლია ეს თემატიკა რამდენიმე ქვეთავად დავყოთ: საბჭოთა იდეოლოგიის მსახურება, უნივერსიტეტის სასწავლო გარემო, სამეცნიერო კვლევები და სტუდენტური აქტივობები, უნივერსიტეტი და საერთაშორისო არეალი, უნივერსიტეტი და საზოგადოება.

დაკვეთა: საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდა (30-იანი წლები)

გაზეთი, ფაქტობრივად, სახეა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა. თითოეული წერილი, რომელიც ამ გაზეთში გამოქვეყნებულა — შინაარსით, სტილით, ჟანრობრივი ტრანსფორმაციის მიხედვით — გვაძლევს მკაფიო სურათს — რა მოვლენები ვითარდებოდა ქვეყანაში, როგორ პასუხობდა უნივერსიტეტი ხელისუფლების დაკვეთებს და როგორ თავისუფლდებოდა იგი ნელ-ნელა საბჭოთა იდეოლოგიის ტყვეობისგან.

1927 წელს, როცა უნივერსიტეტის კედლის გაზეთი „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ მრავალტირაჟიან გაზეთად იქცა, საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთა იყო — ახალგაზრდობა „გაეთავისუფლებინა“ ეროვნული აზროვნებისგან, რომელიც მას წინა პერიოდიდან „გადმოჰყვა“. ამდენად, ლოგიკური იყო, რომ 1927 წლის 7 ნოემბრის გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა პლაკატი, რომელზეც ლენინი მიმართავს ოქტომბრის რევოლუციით „აღფრთოვანებულ“ მუშებს, რომლებიც რატომღაც ლენინისკენ ზურგით დგანან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლენინი და მისი სიტყვები მიაცილებენ მუშებს „შრომით ვახტზე“. მათ ხელში უჭირავთ დროშები წარწერებით: „Вся власть советам!“ „Да здравствует Коминтерн!“.

მარტო გაზეთებში დაბეჭდილი ლოზუნგებიც კი კმარა იმის გასაანალიზებლად, თუ რა იდეოლოგიით კვებავდა საბჭოთა ხელისუფლება სტუდენტებს: „პროლეტარებო, დაიცავით მთელი მსოფლიოს მუშათა სოციალისტური სამშობლო – საბჭოთა კავშირი!“, „პროლეტარებო, დაიცავით ოქტომბრის მონაპოვარი!“... „მოკვდა ლენინი, ცოცხლობს ლენინიზმი!“

გაზეთში ჩანს, რომ პარტიისა და ხელისუფლების დირექტივა იყო — მასობრივად ჩაებათ ახალგაზრდობა პარტიულ და კომკავშირულ საქმიანობაში და აღეზარდათ ისინი, როგორც „წითელი კადრები“ (რამდენიმე წლის შემდეგ გაზეთის შეცვლილი სახელწოდება „ბოლშევიკური კადრებისათვის“ სწორედ ამას მიანიშნებს). დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1930 წლის 7 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ჩვენი მუშაობის მიღწევები და დეფექტები“, რომელსაც უნივერსიტეტის აღმასრულებელი ბიუროს ხელმძღვანელი ს. კიკაბიძე აწერს ხელს. წერილი ზუსტად გამოხატავს მაშინდელი ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მოთხოვნათა აგრესიულობას და მიანიშნებს რეპრესიების დაწყების პროცესზე, რამაც შემდეგ ათწლეულში ქვეყნის ინტელიგენციის დიდი ნაწილის ლიკვიდაცია (ან საზოგადოებრივი ცხოვრებისგან ჩამოშორება) გამოიწვია. წერილში ნათქვამია, რომ „ისტორიაში ჯერ არგაგონილი სამრეწველო და სამეურნეო ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად საჭიროა უამრავი წითელი კადრები, როგორც თეორეტიულ-მეცნიერულ,

მე-7 გვერდზე

ᲕᲘᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲘᲓᲒᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲘᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ?

მეექვსე გვერდიდან

ისე პრაქტიკულ და კულტურულ მუშაობის ფრონტზე სამუშაოდ“. ავტორის აზრით, ამისთვის კონკრეტული გეგმები უნდა შესრულდეს: „1) უნივერსიტეტის გაწმენდა პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტებისაგან და 2) პროლეტარული სტუდენტობის მატერიალურად დაკმაყოფილება“.

ამ წერილის მთავარია პათოსია იმის ჩვენება, თუ როგორ ებრძვის უნივერსიტეტის ბოლშევიკური დირექცია „არასაიმედო ელემენტებს“, მათ შორის სტუდენტებს და ლექტორებს. წერის მანერა შემზარავია და ზუსტად ასახავს ბოლშევიკურ სულისკვეთებას: „მიმდინარე სამოსწავლო წელს სტუდენტთა ორგანიზაციამ შეძლო უნივერსიტეტიდან გაეძევებინა ორასამდე შავსიელი სტუდენტი. ამით არ დამთავრებულა უნივერსიტეტის წმენდა. ეს დასაწყისი იყო, რამაც ნაწილობრივ განტვირთა უნივერსიტეტი მუშათა კლასისათვის მიუღებელი ელემენტებისაგან, მთავარი ნაწილი კი ისევ უნივერსიტეტის კედლებშია მოკალათებული, რომელნიც თანდათან უნდა იქნან მეცნიერებისა და კულტურის კერიდან გაწმენდილი“. ცხადია, წერილში არაფერია ნათქვამი, რა ბედი ეწია ორასამდე „შავსიელს“, მაგრამ, სავარაუდოდ, მათი დიდი ნაწილი რეპრესიების ტალღაში მოექცეოდა. ანალოგიური „განაჩენი“ გამოაქვს ს. კიკაბიძეს მოაზროვნე ლექტორებისთვის. ეს პათოსი წითელ ზოლად გასდევს 30-იანი წლების უნივერსიტეტის გაზეთს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში გაზეთში იბეჭდება წერილები სტუდენტთა სოციალური მდგომარეობისა და უნივერსიტეტის სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე, მკვეთრი ხაზი სწორედ ესაა — აგრესიული საბჭოთა პოლიტიკა და დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც არ ჰგავდა საბჭოთა მასას.

საბჭოთა ხელისუფლების და მასთან ერთად გაზეთის მცდელობას — შეექმნათ სურათი, რომ საბჭოთა სტუდენტი და პროფესორი ბედნიერია, შედეგები მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მრავლად იყვნენ ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტები, თავისუფალი აზრის და სიტყვის ქომაგნი, ხელისუფლებამ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოახერხა მათი ნამდვილი გრძნობებისა თუ აზრების მიმალვა და მათი გამოყენება ახალგაზრდების კომუნისტური სულისკვეთებით მოწამვლისთვის.

სწორედ ამგვარი მაგალითია მიმართვა იოსებ სტალინისადმი, რომელიც 1936 წლის 8 სექტემბერს გამოქვეყნდა. ტექსტი ამ პერიოდის მიმართვების მსგავსია. მასში პროფესორები მოითხოვენ ხალხის მტრების — „ზინოვიევურ-ტროცკისტული ბანდის“ განადგურებას და მთელი სისასტიკით დასჯას.

„ხალხთა ბელადს – დიდ სტალინს! ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა თავისი მხურვალე სიყვარულსა და ერთგულებას გიცხადებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ!.. ჩვენო მამავ და საყვარელო ბელადო!“ — ასე მიმართავდნენ რეპრესიების ავტორს და სულისჩამდგმელს ქართული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენლები, მათ შორის ივ. ჯავახიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ა. თვალჭრელიძე, გ. გეხტმანი, ვ. ჟღენტი, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, რ. ნიკოლაძე, დ. უზნაძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ხარაძე, ი. აბულაძე, ა. ნათიშვილი, ვ. თავზიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, მ. ზანდუკელი, გ. ნანეიშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. წერეთელი, ს. დანელია, კ. ბაქრაძე, ლ. მელიქსედ-ბეგი, ა. ბარამიძე, ნ. კეცხოველი და სხვები. სულ 51 პროფესორი და 61 დოცენტი.

გაზეთში ინტენსიურად იბეჭდებოდა მასალები კომუნისტური პარტიის ყრილობების მიმდინარეობის, მიღებული გადაწყვეტილებების და „მათი ცხოვრებაში გატარების“ თაობაზე. ამ ტიპის მასალების გამოქვეყნება უნივერსიტეტის გაზეთში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თუ გაზეთი მისი დაარსების პირველ წლებში და 30-იანი წლების დასაწყისში ასე თუ ისე წერდა სასწავლო პროცესზე, მეცნიერებსა და სტუდენტებზე, 1936 წლიდან ამგვარი მასალები მინიმუმამდე მცირდება. მათ ადგილს იკავებს პოლიტიკური პროცესების გაშუქება და რეპრესიებით დამფრთხალი ადამიანების უბადრუკი მცდელობა — როგორმე სხვებისკენ მიმართონ გავეშებული ბოლშევიკების ყურადღება, რისთვისაც ძალიან ადვილად „არიგებენ“ „ხალხის მტრის“, „მოღალატისა“ და „არასაიმედო ელემენტის“ იარლიყებს. ამ წერილებში სისხლის სუნი იგრძნობა... უნდა ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტის გაზეთი, როგორც პარტიული ორგანოების ტრიბუნა, დიდ როლს თამაშობდა იმ ადამიანების სიის გაზრდაში, რომლებიც 30-იანი წლების რეპრესიებს ემსხვერპლნენ.

ეს ტალღა შედარებით მცირდება 1938 წლიდან, მაგრამ პარტიის იდეოლოგიური მსახურება გაზეთის დანიშნულებად მაინც რჩება. გაზეთი მუდმივად ეხმაურება ყველა ყრილობას და იბეჭდება კომუნისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი წერილები – როგორ ატარებენ ცხოვრებაში ცენტრალური კომიტეტის ყრილობათა გადაწყვეტილებებს. ეს მასალები იმდენია, რომ მათი ცალცალკე განხილვა გაზეთის ფორმატში შეუძლებელია. შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ერთგულად ემსახურა საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდას და ახალგაზრდობის ამ სულისკვეთებით აღზრდას, თუმცა ყველა ჭურჭელს თავისი ბზარი უჩნდება. სწორედ ეს ბზარი იყო მოაზროვნე ახალგაზრდების თანდათანობითი გამოჩენა უნივერსიტეტის წიაღში და ეროვნული სულისკვეთების შემონახვა მომავალი თაობებისთვის. რომ არა ეს ახალგაზრდები, არ იქნებოდა 1956 წლის 9 მარტი... 1978 წლის 14 აპრილი... 1989 წლის 9 აპრილი და, ბოლოს, ეროვნული მოძრაობის აგორება საქართველოში, რომლის თავი და თავი სწორედ უნივერსიტეტში აღზრდილი თაობა იყო და რომელმაც, საქართველო საბოლოოდ გათავისუფლებამდე მიიყვანა.

30-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები სასწავლო გარემოს გაუმჯობესების შესახებ. 30-იან წლებში ამის შესახებ წერდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, სიმონ ხუნდაძე, ნიკო მუსხელიშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე და სხვები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1935 წლის 15 სექტემბრის ნომერი, რომელშიც პირველ გვერდზე იბეჭდება აკაკი შანიძის წერილი „პირველი დღე ჩვენს უნივერსიტეტში“.

ამ წერილით ირკვევა, რომ 1935 წელი უნივერსიტეტში დიდი გარდატეხის წელია, რომ გარემონტდა უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსები, დალაგდა სასწავლო კორპუსები და შეიძინეს ახალი ინვენტარი, რასაც მეცნიერები და სტუდენტები მიესალმებიან.

გარდა ამისა, 30-იანი წლების გაზეთებში ხშირად იბეჭდება მასალები სასწავლო კურსების დახვეწისა და ფაკულტეტების რეორგანიზაციის საჭიროების შესახებ. ამ მიმართულებით ხშირად თანამშრომლობენ რედაქციასთან კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე და სხვა მეცნიერები.

მაგალითად, 1930 წლის 22 აპრილს იბეჭდება კორნელი კეკელიძის წერილი „პედაგოგიური ფაკულტეტის რეორგანიზაცია, რომელშიც იგი ითხოვს „წმინდა მეცნიერული მომზადების გამოყოფას პედაგოგიურიდან“. მისი აზრით, ამ გზით თითოეულს ენიჭება „დამთავრებული სახე და დამოუკიდებელი არე განვითარებისა“.

გაზეთი ხშირად ბეჭდავს პროფესორთა მოსაზრებებს სხვადასხვა საგნის უკეთ სწავლებისთვის. მაგალითად, 1935 წლის 31 ოქტომბრის ნომერში იბეჭდება აკაკი შანიძის წერილი „ქართული ენის კულტურისათვის“, რომელშიც ნათქვამია, რომ ახალგაზრდობა ვერ ფლობს მშობლიურ ენას და სასწრაფოდ უნდა იქნას ზომები მიღებული ენის სრულყოფილად შესწავლისათვის.

„გამოცდილება გვეუბნება, რომ ჩვენმა სტუდენტობამ სუსტად იცის ქართ. ენა, დიდი უმეტესობა ვერ ახერხებს აზრის გამართვას, წინადადების ერთი მეორეზე მოხდენილად გადაბმას, სასვენი ნიშნების თავთავის ადგილას ხმარებას და სხვ. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ყოველ დარგის სტუდენტს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე შეუძლებელია მეცნიერების სათანადო შეთვისება და მისი გამოყენება ცხოვრებაში“, — წერს იგი. ასევე დიდი ყურადღებას იჩენენ ამ პერიოდში უცხო ენის სწავლების მიმართ.

გაზეთში ეტაპობრივად მახვილდება ყურადღება სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებაზე. გვაწვდიან ცნობებს, რომ მნიშვნელოვნად ფართოვდება უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელების, სამეცნიერო საბჭოების, ფაკულტეტების, დეკანების და კათედრების გამგეების როლი სასწავლო-მეთოდური მუშაობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის, კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

თსუ-სა და იენას შორის ხელშეკრულების გაფორმების ცერემონია

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲘᲐᲦᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

50-იანი წლების გაზეთები, გარდა საუნივერსიტეტო ღონისძიებების აღწერისა და პარტიის ყრილობების მასალების გაშუქებისა, ყველაზე მეტად მაინც გამოირჩევა ლიტერატურული გვერდების სიმრავლით. როგორც გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელის“ რედაქტორი ტარიელ კვანჭილაშვილი იხსენებს, მაშინ უნივერსიტეტს „ოქროს ხანა“ ედგა, რადგანაც აქ სწავლობდნენ მომავალში უკვე სახელგანთქმული მწერლები, რომელთა შემოქმედებასაც აქტიურად აქვეყნებდნენ. ამას ხელს უწყობდა მაშინდელი რექტორის ნიკო კეცხოველის სიყვარული მწერლობისადმი. სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდნენ ასპარეზზე ნოდარ დუმბაძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ბიბილური, თამაზ ჩხენკელი და სხვები. 50-იანი წლების დასაწყისში თითქმის არ გამოსულა უნივერსიტეტის გაზეთი, რომელშიც ლიტერატურული ჩანართი არ იბეჭდება. შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის გაზეთმა გზა გაუხსნა ახალგაზრდებს მწერლობისაკენ.

ამავე პერიოდის გაზეთი გვაცნობს, რომ 1953 წლის 10 აპრილს უნივერსიტეტის ეზოში გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის ძეგლი. წერილს „ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნა“ ხელს აწერს აკაკი ბაქრაძე, რომელიც აღნიშნავს: „ზღვა ხალხი დგას უნივერსიტეტის ეზოში. დღეს ივანე ჯავახიშვილის ძეგლი უნდა გაიხსნას. ყველას ფიქრი დიდი მეცნიერისა და ქართული უნივერსიტეტის ფუძემდებლის გარშემო ტრიალებს...“

აღსანიშნავია, რომ 50-იან წლებში უნივერსიტეტის გაზეთში პირველად ჩნდება იუმორისტული ჩანართი „ჭინჭარი“, რომელშიც მახვილგონივრულადაა აღწერილი უნივერსიტეტის რეალობა. ამ გვერდების შემოქმედნიც ის სტუდენტები იყვნენ, რომლებიც შემდგომ ქართული პროზისა და პოეზიის კლასიკოსებად იქცნენ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონტაქტებზე უცხოურ უნივერსიტეტებთან ჯერ კიდევ 30-იან წლებში იწერებოდა. მაგალითად, 1936 წლის 18 სექტემბრის ნომერში გაზეთი წერდა ერევნის უნივერსიტეტის დელეგაციის სტუმრობაზე უნივერსიტეტში, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ მაშინ სომხეთიც და საქართველოც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყვნენ, „უცხოური უნივერსიტეტის“ სტატუსს ერევნის უნივერსიტეტს ვერ მივაკუთვნებთ.

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების თაობაზე მასალების გამოქვეყნება იწყება 60-იან წლებში. პირველი ასეთი კონტაქტის შესახებ ქვეყნდება 1967 წელს, როცა საფუძველი ჩაეყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენას ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტს შორის ურთიერთობას. იენის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ გ. დრეფალისადმი მიმართვაში, რომელიც გაზეთში ქვეყნდება და რომელსაც ხელს აწერს თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი ილია ვეკუა, ნათქვამია: „მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ 1966 წლის 7 ნოემბერს იენაში ხელმოწერილი ხელშეკრულება მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის შესახებ ერთხმად მიიღო თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ. ჩვენ ვთვლით, რომ დელეგაციების გაცვლა და ხელშეკრულების დადება იენისა და თბილისის უნივერსიტეტს შორის ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების მეგობრობის შემდგომ განვითარებას“.

აკაკი შანიძე თანამოაზრეებთან ერთად

ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲚᲣᲑᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘ — „ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ“

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ საქართველომ იჩქარა და საბჭოთა კავშირის დანგრევამდე დაიწყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რომ შესაძლებელი იყო,

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ვინ და როდის იდგა მოვლენების ეპიცენტრში?

მეშვიდე გვერდიდან

დათო ტურაშვილი

მშვიდად მივყოლოდით მოვლენათა განვითარებას და არა რევოლუციური, არამედ ევოლუციური გზით მივსულიყავით თავისუფლებამდე, მაგრამ თუ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს არსებობის 70-წლიან ისტორიას გადავხედავთ, ადვილად შევამჩნევთ — საქართველო არ მიეკუთვნებოდა იმ საბჭოთა რესპუბლიკების რიცხვს (ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა), რომლებიც შეეგუვნენ დამოუკიდებლობის დაკარგვას და დატუქსული ბავშვივით თავდახრილი იდგნენ „უფროსი ძმის“ წინ. აქ მუდმივად დუღდა თავისუფალი აზრი და საზოგადოების შიგნით, მართალია ჩუმად, მაგრამ მაინც იხარშებოდა დამოუკიდებლობის იდეა.

სწორედ ეს ნაფიქრი და ნააზრევი გამომზეურდა 1988-89 წლებში უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ დაარსებულ „სტუდენტურ ფურცელში“, რომელიც „თბილისის უნივერსიტეტის“ ჩანართი გახლდათ და რომლის არსებობას ძალიან შეუწყო ხელი მაშინდელი პრორექტორის ვახტანგ გოგუაძის თანადგომამ.

„სტუდენტური ფურცელი“ იყო ბიძგი აზრის გათავისუფლებისკენ, რაც, ბუნებრივია, ტალღასავით გადაეცა სტუდენტობის დანარჩენ ნაწილს. დღეს ეს უკვე ისტორიაა, რომელსაც მხოლოდ უნივერსიტეტის კი არა, საქართველოს ისტორიაშიც მოიხსენიებენ, როგორც პირველ მერცხალსა და ნიშანს თავისუფლებისათვის ბრძოლის დასაწყისში. სტუდენტები აქ თითქოს კულტურის ძეგლების გადარჩენაზე წერენ, სინამდვილეში კი ეს იყო ქართული სახელმწიფოებრიობის, ისტორიული მეხსიერების გადარჩენისთვის მოწოდება.

1988 წლის 25 მარტის ნომერში ქვეყნდება დათო ტურაშვილის წერილი სათაურით „იკორთა და საერთო სატკივარი“. მასში ნათქვამია: „ადამიანი საქმით ფასობს და თუ არსებობს კეთილი შური, კეთილი შური მაწვალებს ამ ქართველების მიმართ, რამეთუ ჩემს თანატოლებს, ჩვეულებრივ ახალგაზრდებს უკვე აქვთ საამაყოდ იმ მძიმე ტვირთის ზიდვა, სამშობლოს, ჩვენი პატარა საქართველოს ვალი რომ ჰქვია. თუ ვინმეს ჩემს სიტყვებში ეჭვი ეპარება, შეუძლია საკუთარი თვალით იხილოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სწორედ ამ ჯგუფების მიერ გადარჩენილი და რესტავრირებული ქართული კედლის მხატვრობის უნიკალური ნიმუშები”. საუბარია იმ თბილისელ ახალგაზრდებზე, რომელთაგან ზოგს უკვე დამთავრებული ჰქონდა სამხატვრო აკადემია, ზოგი კი კვლავ სტუდენტი იყო. ამ სტუდენტთა ჯგუფს მხატვარ-რესტავრატორი მერაბ ბუჩუკური ხელმძღვანელობდა. მათ მიერ რესტავრირებულ ნიმუშთა რიცხვს იკორთის მთავარანგელოზის ეკლესიის დიდებული ქართული ფრესკებიც უნდა მიმატებოდა, მაგრამ მათი სამუშაოები სამწუხარო მიზეზთა გამო, შეწყდა. დათო ტურაშვილი იკორთის ტერიტორიის დაუცველობაზე წერს და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მათგანს ვერ შეუგნია ძეგლის მნიშვნელობა და ბიძინა ჩოლოყაშვილისა და მრავალთა საუკუნო განსასვენებელი ლოთობისა და ღრეობის ადგილად უქცევია.

1988 წლის ნომერში პრეს-კლუბელი ქეთევან გვაზავა „სტუდენტური ფურცლის“ მორიგ ნომერში აქვეყნებს წერილს სათაურით: „ახალგაზრდობა — გარდაქმნის ავანგარდი“, სადაც ჩანს პრეს-კლუბელთა პოზიცია კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის შესახებ.

სტუდენტური ფურცლის მორიგ ნომერში, რომელიც 1988 წლის 6 მაისით თარიღდება, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები თენგიზ შარმანაშვილი და დავით გამცემლიძე ეხმაურებიან არჩევნების დემოკრატიულობის თემას. წერილის ავტორები სვამენ კითხვას — „ხომ არ დადგა იმის დრო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობაზე დაწესდეს პირდაპირი საყოველთაო არჩევნები, რომლის პერიოდულობა 4-5 წლიანი იქნება?” ამ წერილის დაბეჭდვა პრეს-კლუბელებმა მოითხოვეს იმისდა მიუხედავად, რომ სტატიის შინაარსს არ ეთანხმებოდა ვახტანგ გოგუაძე.

1988 წლის 22 ნოემბერს უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ვახტანგ გოგუაძე „სტუდენტური ფურცლის“ გვერდზე ღია წერილით მიმართავს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დროულ და საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით.

„ღია წერილი მეგობრებს“ — ამ სათაურით აქვეყნებს ვახტანგ გოგუაძე სტატიას, რომელშიც ავტორი თავის მეგობრებს ერთიანობისკენ მოუწოდებს: „როდესაც ჩვენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკის ამბებს მივუგდეთ ყური, მთელი ყურადღება გადავიდა ეკონომიკური მოდელის გადმოღებაზე. მართალი გითხრათ, ჩემი ფიქრით, აქედან სხვა რამის გადმოღება უფრო გვჭირდება“, — წერს ვახტანგ გოგუაძე, რომლის აზრითაც, მიტინგებსა და დემონსტრაციებს დარბაზში გადანაცვლება და დისკუსიები ჯობდა.

1988 წლის 23 დეკემბერს სტუდენტური ფურცლის გვერდზე ქვეყნდება ნიკო ნიკოლოზიშვილის წერილი სათაურით: „ხუდონი და საქართველოს ტერიტორია“. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს — თუ რატომ არ უნდა დაშვებულიყო ხუდონჰესის მშენებლობა.

სულ გამოვიდა 15 ჩანართი ,,სტუდენტური ფურცლისა”, რომელშიც ასევე აქვეყნებდნენ სტატიებს ფიქრია ჩიხრაძე, ირმა რატიანი, ნაირა გელაშვილი და სხვ.

უნივერსიტეტი 9 აპრილის ტრაგედიას ეხმაურება

1989 წელს ივნისის ნომერში პირველად ჩნდება ინფორმაცია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაულზე, რომლის აღნიშვნაც ქართველი ხალხის დამსახურებაა. თბილისში გამართული დემონსტრაცია უნივერსიტეტის ეზოდან დაიწყო. ასობით ადამიანმა მოაშურა მათთვის სათაყვანო ამ ადგილს. 26 მაისს უნივერსიტეტის გუმბათზე ეროვნული სამფეროვანი დროშა აფრიალდა. ამ მოვლენას უნივერსიტეტის გაზეთი გამოეხმაურა, თუმცა მცირედი ინფორმაციის გავრცელებით შემოიფარგლა.

უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი გაზეთში

1990 წლის 5 იანვრის ნომერში დაიბეჭდა გიგი თევზაძის, ლია დევდარიანის, ზურაბ კიკნაძის, ფიქრია ჩიხრაძის, ნიკო ნიკოლოზიშვილის, გიორგი მაისურაძის, ზურაბ ჟვანიას, ზურაბ შენგელიას მოწოდება: ,,ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს დამოუკიდებლობის იდეალები, მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის გათავისუფლებისთვის მოძრაობაში, რაც 1990 წლის 8 თებერვალს უნდა დაგვირგვინდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით”.

გაზეთი ამცნობს მკითხველს, რომ 1990 წლის 8 თებერვალს იმართება უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა — მიძღვნილი თბილისის უნივერსიტეტის ავტონომიურობის აღდგენისადმი. გაზეთში იბეჭდება თბილისის უნივერსიტეტის დეკლარაციის პროექტი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი აცხადებს ავტონომიას. დეკლარაციის პროექტში მითითებულია ისიც, რომ სახელმწიფო იტვირთავს უნივერსიტეტის მატერიალურ უზრუნველყოფას მის კომპეტენციაში ჩარევის გარეშე. დაფინანსება კი მოხდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში მისთვის საგანგებოდ გამოყოფილი მუხლის საფუძველზე.

1990 წლის 8 თებერვალს უნივერსიტეტმა 72 წლის შემდეგ დაიბრუნა სუვერენული უფლებები.

მოამზადა
მაია ტორაძემ

გაზეთში თავმოყრილი ბევრი მასალა უნივერსიტეტისა და საქართველოს ისტორიისთვის მეტად საინტერესოა

ისტორიკოსის ვარაუდი და შეფასება – ინტერვიუ ვახტანგ გურულთან

ნინო კაკულია

— ბატონო ვახტანგ, უნივერსიტეტის გაზეთი 1927 წელს დაარსდა და მას „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ ეწოდა. რა სიტუაცია იყო ამ წელს, ზოგადად, საქართველოში და უნივერსიტეტში?

— XX საუკუნის 20-იანი წლები იყო პერიოდი, როდესაც უწყვეტად გრძელდებოდა პოლიტიკური რეპრესიები, რომელიც 1921 წელს კი დაიწყო, მაგრამ ახალი ტალღა 1924 წლის აჯანყების შემდეგ წამოვიდა.

ამ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლება, მართალია, რეპრესიებს ატარებს, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის იმდენად ძლიერი, რომ საბჭოთა საქართველოს ბოლშევიკმა ლიდერებმა თავი დამშვიდებულად იგრძნონ. ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ძველი ინტელიგენცია, ძველი პროფესურა. დიდ ძალას წარმოადგენს ქართველი სამღვდელოება. რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აქაც, მაინცდამაინც, საზეიმო განწყობილებაზე არ იყვნენ უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორები და კომუნისტური პარტიის უნივერსიტეტს ორგანიზაციის მდივნები, რადგან, პრაქტიკულად, ჯერ წითელი პროფესურა, ანუ საბჭოთა რეჟიმის მიერ სალექტოროდ მომზადებული პროფესორები ვერ ბატონობდნენ უნივერსიტეტში. უმთავრეს სასწავლო დისციპლინებში ვერ მოახერხეს ძველი პროფესურის შეცვლა, თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებას და უნივერსიტეტის რექტორსაც, რომ ამ გზით ევლოთ.

წარმოიდგინეთ ვითარება, როცა სტუდენტების დიდი ნაწილი გამოსულია თავადაზნაურული ოჯახებიდან, სამღვდელოებიდან, ვაჭართა წრიდან და ძალიან ცოტაა მუშათა და გლეხთა ფენებიდან გამოსული სტუდენტები. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ 1927 წელს უნივერსიტეტში ყველა პოზიცია მოპოვებული ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებას და მის დამქაშ რექტორსა და პროფესურას. საბჭოთა ხელისუფლებას ყველა საშუალება ჰქონდა, რომ ეს ბრძოლა ბოლომდე თავისი გამარჯვებით დაესრულებინა, მაგრამ 1927 წელს ჯერ კიდევ ძველი პროფესურა და მისი მომხრე სტუდენტობა წინააღმდეგობას უწევს საბჭოთა იდეოლოგიას, კომუნისტურ იდეოლოგიას.

— რითი ახსნით, რომ ჯავახიშვილი რექტორად აღარ იყრის კენჭს და მან საბჭოთა რეჟიმის მსახურს თედო ღლონტს გადაულოცა (იძულებული გახდა) რექტორობა?

— მოიგონეს ვერაგული ხერხი, შეცვალეს უნივერსიტეტის ძველი წესდება და საბჭოთა ხელისუფლებამ დაამტკიცა ახალი წესდება. რადგან წესდება იცვლებოდა, რექტორის არჩევნებიც უნდა გამართულიყო. ივანე ჯავახიშვილი მიხვდა, რომ იგი ვერ გაიმარჯვებდა, ამიტომ მან არჩევნებში აღარ მიიღო მონაწილეობა. არჩევნები რომ არ დანიშნულიყო და ძველ წესდებას ემოქმედა, ივანე ჯავახიშვილს ასე ადვილად ვერ გაუშვებდნენ უნივერსიტეტიდან. ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად გეტყვით, რომ 1928 წელსაც კი ვითარება არ შეცვლილა. ძველი პროფესურა და მისი მომხრე სტუდენტობა — ჯანსაღი ნაწილი სტუდენტობისა, ჯერ კიდევ მაგრად იდგა უნივერსიტეტში.

— ამ ფონზე უცნაურად არ გეჩვენებათ 1927 წელს გაზეთის დაარსება სახელწოდებით: „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“?

— უცნაურად არ მეჩვენება, რადგან სტუდენტობის რაღაც ნაწილი, თავიდან 5%, შემდეგ 10-15-20% ნელნელა ავსებდა უნივერსიტეტის სტუდენტთა რიგებს. ისინი უნივერსიტეტში საბჭოთა რეჟიმის დაკვეთით მოჰყავდათ. ბევრ მათგანს საშუალო

მე-9 გვერდზე

გაზეთში თავმოყრილი ბევრი მასალა უნივერსიტეტისა და საქართველოს ისტორიისთვის მეტად საინტერესოა

ისტორიკოსის ვარაუდი და შეფასება – ინტერვიუ ვახტანგ გურულთან

მერვე გვერდიდან

სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული, უნივერსიტეტში იყო რაღაც წესი, რომლის მიხედვითაც პარალელურად სკოლის პროგრამასაც გადიოდნენ და თან უნივერსიტეტის სტუდენტებიც იყვნენ. იყო ე.წ. მუშათა ფაკულტეტები (მუშფაკები) და ეს მუშფაკდამთავრებული სტუდენტობაც ჩარიცხეს უნივერსიტეტში. ამ სტუდენტობის 99% გამოსული იყო მუშათა და გლეხთა რიგებიდან და ისინი ნელ-ნელა ხდებოდნენ უმრავლესობა, თუმცა 20-იანი წლების ბოლომდე ისინი არ წარმოადგენდნენ სტუდენტთა უმრავლესობას.

1927 წლისთვის უნივერსიტეტში უკვე იყვნენ პროლეტარული წარმოშობის სტუდენტები. ისინი ძალიან აქტიურობდნენ და რექტორატისა და პარტიული ორგანიზაციის დასაყრდენსაც სწორედ ისინი წარმოადგენენ. გაზეთის სათაურიც სწორედ ამ სტუდენტების მხარდაჭერით იქნა შერჩეული. იმ სტუდენტებს, რომლებიც არ თანაუგრძნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, არ ჰკითხავდნენ, რა უნდა დარქმეოდა გაზეთს... შეეკითხებოდნენ, ისიც ფორმალურად, სტუდენტთა იმ კონტინგენტს, რომლებიც მუშათა და გლეხთა რიგებიდან იყვნენ გამოსული. ასე რომ, შეიძლება 10 პროცენტიც არ იყო საბჭოთა ხელისუფლების მომხრე სტუდენტობისა უნივერსიტეტში, მაგრამ გაზეთის სათაურის შერჩევაზე ეს გავლენას ვერ მოახდენდა.

— გაზეთს შემდეგ შეეცვალა სახელწოდება და მას „ბოლშევიკური კადრებისათვის“ დაერქვა. მასში წერილებს აქვეყნებდნენ კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, ანუ ისინი, თქვენი აზრით, სახელწოდებას არ აპროტესტებდნენ?

— მათი წერილების აბსოლუტური უმრავლესობა არანაირ კავშირში არ არის არც პროლეტარულ რევოლუციასთან და არც პროლეტარულ იდეოლოგიასთან. ისინი წერდნენ უნივერსიტეტისთვის საჭირბოროტო საკითხებზე.

უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა პროფესორს — ივანე ჯავახიშვილის თანამოაზრეებს, რომ არ ჰქონოდათ იმისი უნარი, რომ საბჭოთა წყობილებასთან კომპრომისზე წასულიყვნენ, მაშინ ისინი უნივერსიტეტში ვერ იმოღვაწებდნენ. მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ სჯობდა საბჭოთა ხელისუფლებას, მის რეპრესიულ აპარატს პირდაპირ შუბლით არ შეხლოდნენ, მაგრამ ამ კომპრომისის სანაცვლოდ უნივერსიტეტში მოღვაწეობა გაეგრძელებინათ. ის კი არ არის მთავარი, რომ ძველი პროფესურა, ამ შემთხვევაში ქართული მეცნიერების კორიფეები, თანამშრომლობდნენ ისეთი სახელწოდების გაზეთში, რომელსაც ერქვა „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ ან „ბოლშევიკური კადრებისათვის“, მთავარი ამ შემთხვევაში ის არის, რას ეუბნებოდნენ ისინი სტუდენტებს ლექციებზე, როგორ ასწავლიდნენ უნივერსიტეტში.

ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ რომ უნივერსიტეტიდან გაეძევებინათ აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი და სხვები, დაიღუპებოდა უნივერსიტეტი. ამ დიდმა თაობამ უდიდესი გაჭირვების ფასად შესძლო, რომ გაეგრძელებინა პედაგოგიური მოღვაწეობა და აღეზარდა კადრები.

პირველი ქართული პროფესურა

— გაზეთში დაბეჭდილია სტალინისადმი მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ ივანე ჯავახიშვილი და სხვა ცნობილი პროფესორები... რაზე მიუთითებდა ეს?

— რა თქმა უნდა, არსებობს მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების ასეთი მიმართვები სტალინისადმი და ა.შ. მერწმუნეთ, რომ ეს მიმართვები შედგებოდა რექტორის კაბინეტში, ანუ უნივერსიტეტის კომუნისტური ორგანიზაციის მდივნის კაბინეტში და მასზე ხელმომწერებს არც ეკითხებოდნენ და არც უთანხმებდნენ ამ ტექსტს. ვიმეორებ, ნებისმიერ მათგანს შეეძლო პროტესტი განეცხადებინა რექტორის ან პარტიული კომიტეტის მდივნის მხრიდან ჩადენილი ასეთი საქციელის გამო, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდებოდა პირადად ამ დიდ მეცნიერებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დარჩებოდა წითელი პროფესურის ამარად და დაიღუპებოდა უნივერსიტეტი.

დავსვათ კითხვა, რა სჯობდა — ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს თუ სხვა მეცნიერებს სტალინისადმი მიმართვაზე მოეწერა ხელი, თუ პროტესტი განეცხადებინათ, გაეჯახუნებინათ უნივერსიტეტის კარი და თედო ღლონტისა და მისი ამფსონებისთვის დაეტოვებინათ უნივერსიტეტი? ვფიქრობ, გონივრული ქცევა იყო ის, როგორც მოიქცნენ ქართველი მეცნიერების კორიფეები. სტალინისადმი გაგზავნილ მიმართვას დღეს მნიშვნელობა აღარ აქვს. იგი გახდა არქივის ერთი ფურცელი, მაგრამ ის დიდი საქმენი, რომელიც ჩვენმა კორიფეებმა აკეთეს, დღესაც წარმოადგენს საფუძველს ჩვენი ქართული მეცნიერებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარებისა.

— 30-იან წლებში გაზეთში იბეჭდებოდა ღია მოწოდება, რომ საჭირო იყო უნივერსიტეტის გაწმენდა არასაიმედო ელემენტებისგან და გაზეთში მტრებად დასახელებულნი იყვნენ გრიგოლ წერეთელი და ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. რედაქციის საპროგრამო წერილში წერია, რომ გაზეთს უნდა ებრძოლა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის განმტკიცებისთვის, ანუ გაზეთი იყო იარაღი, რითიც უნივერსიტეტი ბოლშევიკთა მტრებს ებრძოდა...

— ამაში მოულოდნელი არაფერია... გრიგოლ წერეთელი და ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნოდნენ, რომლებიც ვერაფრით შეეგუებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და მათ უნივერსიტეტში მოღვაწეობას. ეს სია გაცილებით უფრო დიდი იყო, მაგრამ ბოლშევიკებს იმის ნიჭი ჰქონდათ, რომ 20 და 30 კაცს უცბად არ დაჯახებოდნენ. ამოიღებდნენ მიზანში 1-2-3 ადამიანს და მის განადგურებას შეეცდებოდნენ. გრიგოლ წერეთელი და ლუარსაბ ანდრონიკაშვილი უბრალოდ დიდი მეცნიერები კი არ იყვნენ, ისინი მეცნიერების ისტორიაში მოვლენას წარმოადგენდნენ და იყვნენ აბსოლუტურად შეურიგებელი საბჭოთა იდეოლოგიისადმი. სწორედ ასეთ ადამიანებს იღებდნენ მიზანში ეს სხვებისთვის შემდეგ გაკვეთილი რომ ყოფილიყო.



— გაზეთის გამოცემა 1952 წელს განახლდა. არსებობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის გაზეთის გამოცემის განახლების შესახებ. ასეთ მაღალ საფეხურზე რატომ წყდებოდა უნივერსიტეტის გაზეთის გამოცემის ბედი?

— ზუსტად ამ წესით ხდებოდა საქართველოში და საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში გაზეთის გამოცემა. საქართველოში ვერ გადაწყდებოდა გაზეთის გამოცემის საკითხი. მას იხილავდა მოსკოვის უმაღლესი პარტიული სტრუქტურა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება, ისიც მოსკოვთან წინასწარი შეთანხმებით, მხოლოდ ერთჯერადი გამოცემის თაობაზე. ეს წესი დამკვიდრდა 20-იანი წლებიდან. ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო ერთ ორგანოში, მოსკოვში. ნაწილს უფლებებისას პოლიტბიურო უთმობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, მაგრამ ძალიან მკაცრი კონტროლის ქვეშ.

უნივერსიტეტის რექტორი გაზეთის გამოცემის იდეის წამოყენებასაც კი ვერ გაბედავდა, რადგან რექტორიც და კომუნისტური ორგანიზაციის პარტიული კომიტეტის მდივანი შეეწირებოდნენ ამას. შეიძლებოდა გაზეთის მე-100 ნომერში გაპარულიყო რაღაც მასალა, რომელიც მიუღებელი იქნებოდა საბჭოთა რეზიუმესათვის და ვერც ერთი სასჯელს ვერ გადაურჩებოდა. მათ დაიბარებდნენ და ეტყოდნენ: ამისთვის გინდოდათ თქვენ გაზეთი, რომ ეს მავნებლური ინფორმაცია თუ დასკვნები გაგეპარებინათო? ასე რომ, ასეთი საკითხის დაყენება მაშინ ძალიან საშიში იყო. ყველა პარტიულმა ფუნქციონერმა იცოდა, რომ მისი ინტერესები არავის აინტერესებდა, იგი იყო შემსრულებელი. იდეები მოდიოდა მოსკოვიდან ან საქართველოს საბჭოთა ხელმძღვანელობიდან და უნივერსიტეტში მხოლოდ მისი აღსრულება უნდა მომხდარიყო.

— რას ემსახურებოდა უნივერსიტეტის გაზეთი, რომელსაც ერქვა „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“, „საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა“ „ბოლშევიკური კადრებისათვის“ და შემდეგ „ახალგაზრდა სტალინელი“?

— ეს გაზეთი, სახელწოდების შეცვლის მიუხედავად, ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — უნივერსიტეტიდან უნდა მომხდარიყო თავადაზნაურული წარმოშობის, ძველი პროფესურის განდევნა; სამღვდელოების, ვაჭარ-მრეწველთა წრიდან გამოსული სტუდენტების შევიწროება; უნივერსიტეტის ჩაგდება წითელი პროფესორებისა და პროლეტარული წარმოშობის სტუდენტების ხელში. ანუ ეს გაზეთები ემსახურებოდა უნივერსიტეტში კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებას და თავისუფალი აზროვნების ჩაკვლას, ანუ უნივერსიტეტის გადაქცევას ბოლშევიკური კადრების სამჭედლოდ.

— დღეს ჩვენ აღვნიშნავთ გაზეთის 85 წლის იუბილეს, რითი ვიამაყოთ? ამ გაზეთის წარსულით?

— პრაქტიკულად, ამ გაზეთში ბევრი საამაყო არაფერია, მაგრამ ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისთვის, ის ბევრ საინტერესო მასალას აქვეყნებს. მაგალითად, შალვა ნუცუბიძის წერილები, რაც კარგი ფაქტობრივი მასალაა, უნივერსიტეტის გაზეთის გარდა სხვაგან არსად დაბეჭდილა და იგი არც არქივებმა შემოგვინახა. ასე რომ, გაზეთში თავმოყრილი ბევრი მასალა უნივერსიტეტისა და საქართველოს ისტორიისთვის მეტად საინტერესოა.

— ასრულებდა თუ არა უნივერსიტეტის გაზეთი უნივერსიტეტის ცხოვრების მემატიანის როლს?

— მემატიანის როლს გაზეთი, გარკვეულწილად, ასრულებდა. იქ შეიძლება იპოვო ბევრი მასალა, რომელიც გამოდგება უნივერსიტეტის ისტორიისთვის.

უნივერსიტეტის გაზეთის ისტორიის ამსახველი წიგნი წელს გამოიცემა

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ დაარსების 85 წლისთავთან დაკავშირდებით წელს გამოვა წიგნი, რომელშიც გადმოცემული იქნება უნივერსიტეტის გაზეთის ისტორია.

ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ გასულ წელს იქნა მიღებული. იდეის ავტორმა მაია ტორაძემ და გაზეთის რედაქტორმა ნინო კაკულიამ (წიგნის ავტორებმა) შეადგინეს გეგმა, რომლის მიხედვითაც მასში მიმოხილული იქნება გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ განვითარების ყველა ეტაპი: გაანალიზდება მისი დანიშნულება და სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც იცვლებოდა არა თუ უნივერსიტეტის, არამედ მმართველი პარტიის პოლიტიკის ცვალებადობასთან ერთად. წიგნში, ასევე, გადმოცემული იქნება ცნობები ყველა იმ ადამიანზე, რომელმაც წვლილი შეიტანა ამ გაზეთის შექმნასა და გამოცემაში.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ იძლევა უტყუარ ისტორიულ მასალას 1927 წლიდან დღემდე. ამ მასალაზე დაყრდნობით ისტორიკოსები კიდევ ბევრ საინტერესო დასკვნას გამოიტანენ, თუ რა ხდებოდა საქართველოში კომუნისტური მმართველობის დროს, რა ადგილს იკავებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჯერ სახელმწიფო პოლიტიკისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, XX საუკუნის ბოლოს კი ეროვნული იდეების გავრცელებაში. მკითხველი ამ წიგნში ამოიკითხავს დღეს უკვე ცნობილი მოღვაწეების დამოკიდებულებას უნივერსიტეტისადმი, დაიწერება მეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, განათლების რეფორმის მიმდინარეობის ასახვაზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“.

წიგნი მალე დაიდებს ადგილს იმ მკითხველის და მეცნიერის თაროზე, რომლისთვისაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი განვითარების ისტორია საინტერესოა.

წიგნის გამოცემის იდეით მეტად მოიხიბლა თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, რომელიც მისი დროული დაბეჭდვით დაინტერესებულია.

„უე“

— სახელმწიფო ცენზურისადმი „მორჩილების“ ნიშნად...

საბჭოთა წყობილების არსებობის ბოლო ათწლეულებში საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში მოქმედებდა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მთავარი ლიტერატურული სამმართველო (მთავლიტი), რომელიც ოფიციალური ცენზორის სახელით იყო ცნობილი. უნივერსიტეტის გაზეთიც მთავლიტის მკაცრი კონტროლის ქვეშ გახლდათ.

სწორედ მთავლიტის სიმკაცრეს უნდა მივაწეროთ ის, რომ უნივერსიტეტის გაზეთს არ აღუნიშნავს 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია. იმ დღეებში გამოსულ გაზეთში ჩვეულებრივ იბეჭდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებების, უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორთა სამეცნიერო წარმატების შესახებ.

ასევე დუმდა გაზეთი 1978 წლის 14 აპრილის მღელვარების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის დაცვისთვის მასშტაბური აქცია სწორედ უნივერსიტეტის სტუდენტობიდან დაიწყო.

მას შემდეგ, რაც 9 აპრილის ტრაგედია მოხდა, უნივერსიტეტმა პირველად თქვა უარი ადგილობრივი ხელისუფლებისადმი სრულ მორჩილებაზე. ამის დასტური იყო გაზეთში დაბეჭდილი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის თაობაზე (1989 წ.). იმ დროს გაზეთს დევიზად კვლავაც ჰქონდა შენარჩუნებული მოწოდება — „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მხოლოდ 1990 წლის 2 ნოემბრის გაზეთში ჩნდება ახალი სლოგანი — „მათ ახლად აღგიდგინონ შენ დიდების დღენია!“. ამ პერიოდიდან გაზეთი უნივერსიტეტის გაზეთია და არა პროფკომისა და პარტიული კომიტეტის.

1990 წლის 16 ნოემბრის გამოცემის შემდეგ უნივერსიტეტის გაზეთი მთავლიტის მარწუხებისგანაც თავისუფლდება. „უე”, რომელიც გაზეთს სახელმწიფო ცენზურისადმი ,,მორჩილების” ნიშნად შტრიხ-კოდივით ესვა, ქრება. თუმცა, მიუხედავად ამისა, გაზეთი მმართველი ძალის სახელისუფლო ბერკეტების გამამყარებლის ფუნქციაზე უარს ვერ ამბობდა.

რას იხსენებენ ცენზურის თაობაზე ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში იყვნენ დაკავშირებულნი უნივერსიტეტის გაზეთთან?

ნინო კაკულია

მაია ტორაძე

თსუ-ის პროფესორი **გიორგი წიბახაშვილი**, რომელიც ხშირად წერდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, აღნიშნავს, რომ ერთი უმნიშვნელო ფრაზის გამოც კი შესაძლებელი იყო წერილის ავტორი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაებარებინათ და საყვედური გამოეცხადებინათ: „საკმაოდ დიდხანს მომიწია სამხედრო სამსახურმა. ჯერ სამამულო ომში ვმონაწილეობდი, მერე, როგორც პოდპოლკოვნიკი, გერმანიის ქალაქ იენაში ვმსახურობდი. როცა ჩამოვედი, უნივერსიტეტში აღმადგინეს და აქედან დაიწყო ჩემი ურთიერთობა გაზეთთან.

გიორგი წიბახაშვილი

უნივერსიტეტის გაზეთში რამდენიმე ფრონტული მოგონება მაქვს დაბეჭდილი, ხანდახან კი დასავლეთის ამბებსაც ვიხსენებდი. ეტყობა, მკითხველს მოსწონდა ჩემი მოგონებები და გაზეთიც ყველაფერს ბეჭდავდა. მარტო მე კი არ ვწერდი, ომის მონაწილე ხალხი ძალიან აქტიურობდა და ცდილობდნენ ფაქტებით ესაუბრათ. ეს ფაქტები არ მოსწონდა ზოგიერთ ხელმძღვანელს. მაგალითად, ცეკაში იდეოლოგიის განყოფილების მდივანი იყო სტურუა, რომელიც დაგვიბარებდა და გვემუქრებოდა, მე თქვენ გაჩვენებთ სეირსო....

პირველი წერილი, რომელიც დავწერე და მივიტანე, შეეხებოდა ჩემს მოგონებებს საზღვარგარეთ გატარებული წლების შესახებ. მაშინ უცხოეთზე წერა საკმაოდ მძიმე ამბავი იყო, რადგან კაპიტალისტები მხოლოდ უნდა გელანძღა. ერთ მოგონებაში საუბარია ფაქტზე, რომლის ხსენებაც არ მოეწონათ: საბჭოთა ოფიცერს შეუყვარდა იქაური გოგო და მოსკოვში ითხოვა უფლება, რომ ცოლად შეერთო. მოსკოვიდან პასუხი ვერ მიიღო, მაგრამ მალევე ციმბირში გადაიყვანეს, ანუ ჩამოაშორეს საცოლეს. აი, ეს დავწერე ჩემს წერილში. ამასთან დაკავშირებით ცეკაში იდეოლოგიის განყოფილების გამგესთან დამიძახეს და ცუდი ტონით მითხრეს: ეს რა არის? ბურჟუაზიას აქებო?“ — იხსენებს გიორგი წიბახაშვილი.

იყო პერიოდები, როცა ადამიანებმა თავად იცოდნენ, რა უნდა დაეწერათ და რა — არა, რათა წერილი დაბეჭდილიყო და „ზემოთ“ პრეტენზია არ ჰქონოდათ. სწორედ ამას ადასტურებს ცნობილი მეცნიერი, პროფესორი **ნოდარ ტაბიძე**, რომელიც ამბობს, რომ გაზეთს მაშინ კონკრეტული ცენზორი არ ჰყავდა, მაგრამ არსებობდა ტენდენცია, რომელსაც გაზეთის თანამშრომლები და ახალბედა ჟურნალისტები ემორჩილებოდნენ: „მაშინ არ შეიძლებოდა მთავრობის საწინააღმდეგოდ თუნდაც პატარა შენიშვნა გამოგვეთქვა; არ შეიძლებოდა პარტიის წინააღმდეგ ხმის ამაღლება... გადახედეთ იმ დროის გაზეთებს და ნახავთ, რომ სულ ხელისუფლებისა და პარტიის ქება იბეჭდება. ჩვენ ამ სულისკვეთებით გვზრდიდნენ. ახლა ადვილია იმის თქმა, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ მაშინ დადგენილი ნორმებიდან გადახვევა ყოვლად შეუძლებელი გახლდათ. ამიტომ, კონკრეტული ცენზურა არ არსებობდა, მაგრამ არსებობდა სახელმწიფო ცენზურა, რომელიც გამჯდარი იყო ყველგან და ყოველთვის“, — იხსენებს ნოდარ ტაბიძე.

ცენზურის „ფარული თვალთვალის“ მაგალითს იხსენებს გაზეთის ყოფილი თანამშრომელი, ჟურნალისტი **გვანჯი მანია**: „რამდენიმე საშინელი ფაქტი მახსოვს. გაზეთში გივი შეყილაძის ფოტო დაიბეჭდა: დგას რექტორი და მის ზურგს უკან შემთხვევით გამოჩნდა ვიღაცა სტუდენტის მიერ კედელზე მიხატული სვასტიკა. ჩათვალეს, რომ ეს სპეციალურად გაკეთდა და ატყდა ერთი ამბავი. ეს ფოტო გახდა უშიშროების საბჭოს მსჯელობის საგანი. ეს ფაქტი განიხილა პარტიულმა კომიტეტმა, რექტორატმა, პროფკავშირმა და კომკავშირმა. რედაქციის ყველა თანამშრომელი დაგვიბარეს და თუ რამე ცოდვა ტრიალებდა გარშემო, ყველაფერი ჩვენ დაგვაბრალეს და სიფხიზლისკენ მოგვიწოდეს. ასეთი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, უკვე ფრთხილად ვიყავით — ისეთი მასალა, რაზეც ზემოთ პრობლემები შეიქმნებოდა, რედაქციაში არც მიგვქონდა. მაგალითად, უნივერსიტეტის ლაბორატორიებში ტარდებოდა გარკვეული ცდები, რომელიც არ უნდა გახმაურებულიყო. მთავლიტს ჰქონდა ჩამონათვალი, რა უნდა დაბეჭდილიყო და რა — არა. იქ წითელი ფანქრით შლიდნენ იმ ადგილს, რაც არ უნდა დაბეჭდილიყო. მთავლიტის თანამშრომელთა ინტელექტუალური დონეც არ იყო მაღალი. აინშტაინიც არ იცოდნენ ვინ იყო, თსუ-ის პროფესორი ეგონათ“, — ამბობს გვანჯი მანია.

ცენზურას მუდმივად გრძნობდნენ არა მხოლოდ გაზეთში, არამედ მთლიანად უნივერსიტეტში. ამაზე მიუთითებს თსუ-ის პროფესორი **რისმაგ გორდეზიანი**, რომელიც იხსენებს, რომ ცენზურა ერეოდა არა მხოლოდ გაზეთის, არამედ წიგნების გამოცემის საქმეშიც: „არსებობდა ვეებერთელა ორგანიზაცია მთავლიტი, სადაც ცენზურას გადიოდა ყველა გამოცემა. იყო პარადოქსული შემთხვევებიც. მაგალითად, ჩვენ გამოვცემდით კრებულს „მიმომხილველი“, სადაც იბეჭდებოდა უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა და თარგმანები. მახსოვს თარგმანი, რომელშიც აღწერილი იყო ინგლისელი მეცნიერის ვიზიტი თურქეთში. მან ქართველების ყოფა შეისწავლა და თქვა: ქართველებზე ამბობენ, ღამაზი ქალები ჰყავთო, მაგრამ მე ასე არ მომეჩვენაო. თქვენ წარმოიდგინეთ, მთავლიტმა ესეც კი ამოგვაღებინა და იდეოლოგიურად მიუღებელი ინფორმაციის შემთხვევაში რა იქნებოდა?! როცა წიგნი მთავლიტში იგზავნებოდა, დიდი ტანჯვა იყო. ადამიანი გულისფანცქალით ელოდა, რომელ ფრაზასთან ექნებოდა მთავლიტს დავა. ვიტყვი, რომ ეს იყო ცენზურის ძალიან მძიმე პერიოდი“, — აღნიშნავს რისმაგ გორდეზიანი და აქვე შენიშნავს, რომ უნივერსიტეტის გაზეთის მუშაობაში ერეოდა ყველა — კომკავშირი, პარტკომი, რექტორატი. „არ დამავიწყდება, რამდენი უსიამოვნება გვქონდა იმის გამო, რომ ჩვენი სტუდენტები რელიგიურ დღესასწაულს, აღდგომას აღნიშნავდნენ და ამ დღეებთან დაკავშირებულ მოვლენებში იღებდნენ მონაწილეობას. ეს ტოტალურად ყველას ეხებოდა — პირველი პირიდან დაწყებული, ჩვეულებრივი რიგითი თანამშრომლით თუ სტუდენტით დამთავრებული. ამიტომ ყველა ფრთხილად წერდა. სხვათა შორის, ერთი პერიოდი უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი მეც გახლდით, მაგრამ პოლიტიკური მოტივით გამოთქმული აზრისთვის შენიშვნა არავისთვის მიმიცია... სანამ უნივერსიტეტის გაზეთი ჩემამდე მოაღწევდა, ის ძალიან მნიშვნელოვან ცენზურას გადიოდა. ჩემამდე კარგად „გაკრეჭილი“ მოდიოდა“, — იხსენებს ბატონი რისმაგი.

შეფასება

ვახტანგ გურული, ისტორიკოსი:

— ვერცერთი გაზეთი, ჟურნალი და წიგნი ვერ დაიბეჭდებოდა, თუ ის ავბედითი „უე“ — მთავლიტის მიმანიშნებელი ნიშანი არ ექნებოდა დართული. ამ ორგანიზაციას ერქვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მთავარი ლიტერატურული სამმართველო. რატომ გამოიგონეს სათაურში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა? სახელმწიფო საიდუმლოებას იცავს ყველა ქვეყანა — ინგლისიც, საფრანგეთიც, ამერიკის შეერთებული შტატებიც, მაგრამ ეს არ იყო სინამდვილეში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, ეს იყო პოლიტიკური ცენზურა. გაზეთში არ უნდა გასულიყო საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო არანაირი მასალა. როდესაც ბეჭედს დაარტყამდნენ და „უე“-ზე ნომერს დასვამდნენ, სტამბას მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო დაბეჭდვა. „უე“ 80-იანი წლების შუა ხანებამდე მოქმედებდა.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის პერიოდში სასტიკი ცენზურა არსებობდა გაზეთში. საინფორმაციო ცნობები ამ მოვლენის შესახებ დგებოდა ხელისუფლების ორგანოებში და მხოლოდ გარკვეულ გაზეთებს აძლევდნენ გამოქვეყნების საშუალებას, პირველ რიგში გაზეთ „კომუნისტს“ და „ზარია ვოსტოკას“. როგორც კი 9 მარტის მოვლენების შესახებ რაიმეს დაბეჭდვა იქნებოდა აუცილებელი, ტექსტი გამზადდებოდა და განისაზღვრებოდა, სადაც უნდა გამოქვეყნებულიყო. მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ უნივერსიტეტის გაზეთმა ეს მოვლენები ვერ გააშუქა.

რაც შეეხება 1978 წლის 14 აპრილის ამბებს, აქ სხვა მოთხოვნებია... უფრო გულდასაწყვეტი ის არის, რომ მცდელობაც კი არ იყო ამ ამბების გაშუქებისა. უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორს კიდეც რომ გაერისკა და მასალა მოემზადებინა, ან თუნდაც საინფორმაციო ცნობის სახით გადაეწყვიტა დაბეჭდვა, მთავლიტი არ მისცემდა ნებართვას და სტამბა გაზეთს დასაბეჭდად ვერ მიიღებდა.

თუმცა, მას შემდეგაც, რაც მთავლიტი გაუქმდა, გაზეთი ცენზურისგან ვერ გათავისუფლდა. 2006 წელს რედაქტორს რომც მოეხერხებინა და გაზეთში გადმოეცა უნივერსიტეტიდან უსამართლოდ განდევნილი პროფესორების განწყობილება და ამით დაპირისპირებოდა მაშინდელ რექტორს — გიორგი ხუბუას, აღარც გაზეთი გამოვიდოდა და რედაქტორსაც გაუშვებდნენ. რედაქტორის სიფრთხილე, ადამიანურად, ჩემთვის სავსებით გასაგებია, თუმცა მორალური დებულებიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ დუმილით ჩვენ ყველა ეპოქაში ეროვნულ საქმეს ვაფუჭებთ. დღეს სიმართლის წერის მეტი უფლება აქვს გაზეთს, რადგან უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორს ერთი ხელის წამოკვრით თანამდებობიდან უკვე ვერავინ გაათავისუფლებს. არსებობს ამისთვის სასამართლო, სადაც შეუძლია თავისი უფლებები დაიცვას. ამ შემთხვევაში მხოლოდ რედაქტორის გადასაწყვეტი ხდება — რა დაბეჭდოს გაზეთში. თვითცენზურა მას მხოლოდ იმ დოზით ეპატიება, რა დოზაც გაზეთს რეალობასთან არ მოწყვეტს.

დავით ბერძენიშვილი, პოლიტიკოსი:

— დამოუკიდებელ ქვეყანაში ცენზურა იმაზე მეტად აუტანელია, ვიდრე ავტორიტარული მმართველობის დროს იყო. წინა ხელისუფლების პირობებში საქართველოში, სამწუხაროდ, სიტყვის თავისუფლება საკმაოდ შეიზღუდა. სტუდენტური თვითმმართველობები წლების განმავლობაში რეალურად კომკავშირის ანალოგად იქცა, მეტიც, მათი საქციელი აგრესიულ, უფრო 20-იანი წლების კომკავშირს ჰგავდა, ვიდრე მისუსტებულ, მიკნავებულ 80-იანი წლების კომკავშირს, რომელსაც არაფრად აღარ ვაგდებდით. ანუ წინა ხელისუფლება ნეობოლშევიზმის ნიშნებს ატარებდა. იმედი მაქვს, რომ დღეს უკვე ცენზურა აღარ გრძელდება და თუ ჯერ კიდევ არის, ესეც დასაძლევია. ჩვენს დროს იყო ერთი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ყველა სხვა ინსტიტუტი ორიენტირებული იყო ამ უნივერსიტეტზე, მის პირველ კორპუსზე, უნივერსიტეტის დამაარსებლების საფლავებზე, მათ ძეგლებზე. ჩვენ არ გვქონდა სახელმწიფო და გვქონდა სახელმწიფოს იდეა. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვართ სახელმწიფო, ამიტომ დღეს თავისუფლებაზე მოთხოვნილება გაცილებით მეტია.

გისურვებთ თავისუფლებას, რაც ჯერ კიდევ მისაღწევია

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარესთან დავით უსუფაშვილთან

ნინო კაკულია

— ბატონო დავით, საინტერესოა, თუ გქონიათ უნივერსიტეტის გაზეთთან შეხება და თუ გაკავშირებთ მასთან რაიმე მოგონება?

— 1985 წელს, მას შემდეგ, რაც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა დავიწყე, უნივერსიტეტი სრულად შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. უნივერსიტეტის გაზეთს რეგულარულად ვეცნობოდი. გაზეთში 2-3-ჯერ მომიწია მასალის გამოქვეყნება. ეს უფრო ეხებოდა პროფესიულ საკითხებს, სამართლის თემებს. შემდგომ, 1988 წელს, როდესაც სამხედრო სამსახურიდან დავბრუნდი, უნივერსიტეტი სერიოზულად შეცვლილი დამხვდა. ეს აღარ იყო მხოლოდ სასწავლო დაწესებულება, ეს იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური კერა. იმ პერიოდისთვის შემიძლია გავიხსენო, რომ გაზეთში, სტუდენტებისთვის საინტერესო საკითხებზე მსჯელობა, მაინც და მაინც არ იყო შესაძლებელი, ამიტომ უფრო ვთანამშრომლობდით „სტუდენტურ ფურცელთან“, რომელსაც ფიქრია ჩიხრაძე, დათო ტურაშვილი, ნიკო ნიკოლოზიშვილი, თედო ისაკაძე და სხვები აკეთებდნენ. „სტუდენტურ ფურცელში“ თამამ სტატიებს ვაქვეყნებდით. ეს განსაკუთრებით იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისგან იყო მოულოდნელი. იურისტებს სხვაგვარად გვიყურებდა არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ სხვა ფაკულტეტის სტუდენტობაც — ჩვენში ხედავდნენ მომავალ პოლიციელს, პროკურორს ან დამსჯელს და, როდესაც ჩვენ წერა დავიწყეთ თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებზე, კონსტიტუციურ ჩარჩოებზე, ხელისუფლების უფლებების კონსტიტუციით შეზღუდვასა და სხვა თემებზე, ყველა ინტერესით გვადევნებდა თვალს.

ზოგადად, საუნივერსიტეტო გაზეთს ვერაფერი შეცვლის... მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინფორმაცია ადამიანმა ბევრი სხვა წყაროდან შეიძლება მიიღოს, გაზეთს ვერასდროს ვერაფერი ჩაანაცვლებს. ამიტომ მინდა, წარმატება ვუსურვო უნივერსიტეტის გაზეთს და იმ კოლექტივს, რომელიც ამ გაზეთში შრომობს დღეს. მესმის, რომ ეს არის ძალიან მძიმე საქმე, რადგან საუნივერსიტეტო გაზეთი სპეციფიკური გამოცემაა. ეს არ არის პოლიტიკური გაზეთი, ეს არ არის ახალი ამბების გაზეთი, აქ ბევრი რამის დაბალანსებაა საჭირო, რათა საინტერესო იყოს მკითხველისთვის.

— გაზეთი უნივერსიტეტის ერთგვარი მემატიანის როლსაც ასრულებს... მიუხედავად იმისა, რომ მის ფურცლებზე უხეში ცენზურის კვალი ჩანს, მან მაინც შემოგვინახა მათი სახელები და გვარები, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებდნენ უნივერსიტეტისა და ქვეყნის განვითარებაში. თუ დადგა იმის დრო, რომ ახლა მაინც მიეცეს საშუალება უნივერსიტეტის გაზეთს — გარკვეული წნეხისგან გათავისუფლდეს, მიუხედავად იმისა, რომ უწყებრივი გაზეთია?

— რაც შეეხება გაზეთს, როგორც მემატიანეს, ძალიან მიყვარს გაყვითლებული ფურცლების კითხვა და გადახედვა. ჩემს არქივში, რომელიც მოწესრიგებული არ მაქვს, უამრავი გაზეთია ყუთებში ჩაწყობილი. როდესაც გეძლევა საშუალება (რაც ხშირად არ ხდება), ამოიღებ 20-25 წლის წინანდელ გაზეთს და წაიკითხავ.. ამით მთლიანად იმ ეპოქაში გადადიხარ და გრძნობ ყველაფერს, რაც ერთხელ უკვე განიცადე, მაგრამ სრულიად სხვაგვარად. ეს დატვირთვა უნივერსიტეტის გაზეთს აქვს და ექნება.

რაც შეეხება ცენზურას, ჩვენ მაშინ ამას, მაინც და მაინც, ხილულად ვერ ვგრძნობდით, ანუ არ ვიცოდით — სად მიდიოდა ესა თუ ის ნომერი დაბეჭდვის ნებართვის მისაღებად, მაგრამ ვიცი, რომ იყო რაღაც საკითხები, რომელზე წერაც იქ არ შეიძლებოდა. ამიტომ გაჩნდა ეს ალტერნატიული „სტუდენტური ფურცელი“, რომელიც გაზეთთან ერთად ვრცელდებოდა. მახსოვს, მაშინ პრორექტორი განსვენებული ვახტანგ გოგუაძე იყო. იგი ახერხებდა, ყოფილიყო კომპარტიის ხაზის გამტარებელიც და, ამავე დროს, ურთიერთობის სხვა ფორმატი გამოენახა ახალგაზრდებთანაც. „სტუდენტური ფურცელიც“ ამის დასტურია — ეს იყო გარკვეული კომპრომისი იმ სისტემასა და სიახლეს შორის, რომელიც მოდიოდა და რასაც წინ ვეღარაფერი აღუდგებოდა.

სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც საბჭოეთი გაქრა და კომუნისტური ცენზურა მოისპო, ბევრ საკითხში პრობლემა არ მოხსნილა, რადგან სულ გქონდა იმის განცდა, რომ, არა თუ უნივერსიტეტის გაზეთი, არამედ უნივერსიტეტის კედლებიც კი, გარკვეულწილად, პოლიტიკური იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. იყო პერიოდები, როდესაც უნივერსიტეტში შეგეძლოთ ნებისმიერ თემაზე სამეცნიერო კონფერენციის გამართვა და ამას ენაცვლებოდა პერიოდები, როდესაც რაღაც საკითხზე დაბრკოლება შეგხვდებოდათ. ეს არ ეხება მხოლოდ საბჭოეთის წლებს. როდესაც დეკლარირებულ იქნა თავისუფლებები იმ ადგილებში, სადაც თავისუფლებას პირველ რიგში უნდა გაეხარა (და ეს არის უნივერსიტეტი — აკადემიური სასწავლო დაწესებულება), აქაც გაჩნდა პრობლემები. ვაღიარებ, რომ მრავალი წლის განმავლობაში უნივერსიტეტს მხოლოდ ავუვლიდი და ჩავუვლიდი ხოლმე გვერდს. სულ ორი თვის წინ იყო, როდესაც ჩვენი ღვაწლმოსილი პედაგოგის, ბატონ ოთარ გამყრელიძის იუბილეზე მოვედი. აქვე გაგიმხელთ ერთ ამბავს, როდესაც სააქტო დარბაზში ვისხედით და ჩემს გვერდით იყვნენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, ჩემს ძველ მეგობრებს და კოლეგებს გადავულაპარაკე, რომ რაღაც უკმარისობის განცდა მაინც მაქვს, ანუ განცდა იმისა, რომ აქ „ნომენკლატურულად“ ხომ არ ვართ მოწვეული-მეთქი. ჩვენამდე სხვა მინისტრებს და პარლამენტის თავმჯდომარეებს „ნომენკლატურულად“, რეგალიების გამო იწვევდნენ, ხან სიტყვაც ეძლეოდათ.... ამით იმის თქმა მინდა, რომ უნივერსიტეტი თავისუფალი უნდა იყოს. ეს ჩინ-მედლები, რეგალიები და თანამდებობები სხვა სივრცეში უნდა ნიშნავდეს რამეს და არა უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი, მათ შორის, მისი გაზეთი, ღია უნდა იყოს ყველასთვის და არ უნდა იყოს გადამწყვეტი, ვინ რა თანამდებობაზეა და ვინ რომელ პარტიას ეკუთვნის.

ასე რომ, გაზეთს ვუსურვებ თავისუფლებას, რაც ჯერ კიდევ მისაღწევია. ცხადია, თემატიკა და პრობლემატიკა უფრო საგანმანათლებლო, საუნივერსიტეტო, სამეცნიერო უნდა იყოს, მაგრამ ხშირად უნდა იბეჭდებოდეს თავისუფალი აზრი, ვინაიდან ეს საუნივერსიტეტო გაზეთია.

უნივერსიტეტს და, ასევე, მის გაზეთსაც საზოგადოებრივი აქტიურობის დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს არა მაინც და მაინც იმ სტილში, რაც უწინ იყო, არამედ რაღაც ახალი მოვლენების შესატყვისი სტილი უნდა მოიძებნოს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში „პიარი“ (PR) იყენებს გაზეთს, როგორც პრობლემების პრეზენტაციის ინსტრუმენტს

ბლიც-ინტერვიუ სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილთან

უნივერსიტეტის გაზეთი, მართალია, დღეს, ოფიციალურ ცენზურას აღარ გადის, მაგრამ მას, როგორც „უწყებრივ გაზეთს“, წლების მანძილზე წაყენებული ჰქონდა მოთხოვნა, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და უნივერსიტეტის ცხოვრებაზე ,,საიმიჯო" სტატიები ებეჭდა მხოლოდ და ნაკლებად გაშუქებულიყო მასში პრობლემატური საკითხები. ეს ტრადიცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაირღვა, ანუ მას მერე, რაც სტუდენტურმა მოძრაობამ ქვეყნის მასშტაბით მოახერხა ანგარიშგასაწევ ძალად თავის დემონსტრირება. ამ მოძრაობის დამსახურებადაც თვლიან ექსპერტები საქართველოში ხელისუფლების ცვლილებას და უნივერსიტეტში თავისუფლების სიოს დაბერვას... ამ კვალზე უნივერსიტეტის გაზეთმაც შეძლო რეალობის ასახვის ძველ ტრადიციას დაბრუნებოდა და თვითცენზურის ვალდებულებისგანაც გათავისუფლებულიყო. უნივერსიტეტის გაზეთის ისტორიაში ახალი გარდატეხის ეტაპზე გაზეთის ვალდებულებების შესახებ სოციოლოგი ***იაგო კაჭკაჭიშვილი*** *საუბრობს.*

ნინო კაკულია

— თქვენი აზრით, რატომ არსებობდა გაზეთში მხოლოდ „საიმიჯო“ სტატიების ბეჭდვის დაკვეთა?

— ავტორიტარული მართვა ვერ იტანს კრიტიკას, ვერ ეგუება განსხვავებულ აზრს და მოითხოვს, რომ ორგანიზაციის შიგნით ნებისმიერი საქმიანობა საზოგადოების წინაშე ისე იყოს წარმოდგენილი, როგორც კარგად ფუნქციონირებადი.

ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ნებისმიერი საქმიანობის „გაპრავების“ ინსტრუმენტი „პიარია“ (PR). დემოკრატიულ საზოგადოებაშიც არსებობს „პიარი“ (PR), მაგრამ მისი ფუნქცია სხვა არის — იგი ითვალისწინებს დადებითი, „საიმიჯო“ მახასიათებლების წარდგენას საზოგადოებისთვის და, ამავე დროს, საზოგადოების ან რომელიმე ჯგუფის ინტერესების გამომჟღავნებასაც, მათ შორის, კრიტიკული დამოკიდებულებებისაც. ავტორიტარულ საზოგადოებაში „პიარს“ არ აინტერესებს განსხვავებული აზრი, ხოლო დემოკრატიულ საზოგადოებაში პირიქითაა — განსხვავებული აზრი სწორედ რომ საგულისხმო ხდება, რათა ამა თუ იმ სტრუქტურის, ინსტიტუტის დადებითი საიმიჯო მახასიათებლების პოტენცია გაიზარდოს. თუ დადებითი მახასიათებლები არ არის დაფუძნებული ობიექტურ რეალობაზე, მაშინ იგი არადამაჯერებელია და ვერ ახერხებს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას ამა თუ იმ ინსტიტუტის სასარგებლოდ. ამიტომ დემოკრატიულ

საზოგადოებაში „პიარი“ იყენებს გაზეთს, როგორც ოპოზიციური აზრის, უნივერსიტეტის შიგნით პრობლემების პრეზენტაციის ინსტრუმენტს და ა.შ. ვფიქრობ, ამ კონტექსტში შეიძლება მხოლოდ „პიარის“ ფუნქცია იტვირთოს უნივერსიტეტის გაზეთმა, რომელსაც, ცხადია, მარტო „საიმიჯო“ სტატიების ბეჭდვა უინტერესოს და არაქმედითუნარიანს გახდის.

— როდესაც გაზეთს აკეთებ, დიდ როლს თამაშობს სიტყვა — „არ ეწყინოს“... ეს ქართული ვარიანტი უფრაა, თუ, ზოგადად, ამ ვარაუდით უნდა იხელმძღვანელო? (რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ვინმეს გალანძღვა ან ვინმესთვის შეურაცხყოფის მიყენება)...

— ამ ფენომენის — „არ ვაწყენინოთ“ — ფესვები, შესაძლოა, ეროვნულ ხასიათშიც ვეძებოთ. ჩვენ ძალიან გვიყვარს იმის თქმა, რომ სამსახური არის მეორე ოჯახი და ადამიანი სამსახურში უნდა მიდიოდეს ისე, როგორც თავის მეორე ოჯახში. ეს, გარკვეულწილად, სწორია, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ოჯახში ხარ, ეს ნიშნავს იმას, რომ ოჯახის წევრს ხელი უნდა დააფარო, გაუფრთხილდე... ანუ, თუ რაიმე ხინჯია ოჯახში, გარეთ არ უნდა გამოიტანო. ეს არასწორი წარმოდგენაა. უნივერსიტეტი გახლავთ ფორმალური ორგანიზაცია, სტრუქტურა, ხოლო ფორმალურ სტრუქტურებში არაფორმალური ურთიერთობების დომინანტად გამოცხადება დისონანსია. ამ სტრუქტურის წევრებმა უნდა იხელმძღვანელონ გაწერილი ნორმების შესაბამისად, მაგალითად, ჟურნალისტისთვის გაწერილი ნორმაა, რომ მან ობიექტურად უნდა აღწეროს ის ვითარება, რაც ამ სტრუქტურაში არსებობს. გაზეთმა უნდა წარმოადგინოს განსხვავებული თვალსაზრისები, მათ შორის, კრიტიკულიც — ეს არის სტანდარტების დაცვა. თუ ვინმე მოითხოვს, რომ ადამიანმა, ამ შემთხვევაში, ჟურნალისტმა სტანდარტები არ დაიცვას, რამეთუ „ოჯახის წევრს“ არ აწყენინოს, ეს მცდარი წარმოდგენაა ფორმალური სტრუქტურის ფუნქციონირების შესახებ.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

2013 წლის 25 აპრილი, თსუ I კორპუსის სააქტო დარბაზი
დასაწყისი 18:30 სთ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲜᲐᲮᲝᲗ!

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება რამდენიმე საინტერესო განყოფილებას მოიცავს. საღამოს ცნობილი ჟურნალისტი, პროფესორი ნუგზარ რუხაძე და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი თეკლა ჯამრულიძე გაუძღვებიან. საიუბილეო საღამოს რეჟისორია თსუ-ის მოწვეული პედაგოგი კოტე მირიანაშვილი, სცენარის ავტორი კი გახლავთ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის” რედაქტორი ნინო კაკულია.



სპექტაკლი „ჩუპა-ჩუპრი დარეჯან“
რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი

საიუბილეო საღამო ნინო კაკულიას მიერ მომზადებული ფილმის „უნივერსიტეტის გაზეთი – უნივერსიტეტის პოზიცია?“ პრეზენტაციით დაიწყება, რის შემდეგაც აუდიტორიასთან ინტერაქციაში მონაწილე ექსპერტები წამყვანთა დასმულ შეკითხვებს უპასუხებენ. დარბაზში მოწვეულ სტუმრებს მიესალმებიან პოეტები გივი ალხაზიშვილი და თემურ ჩალაბაშვილი, რომლებიც წლების განმავლობაში აქტიურად აქვეყნებდნენ თავიანთ შემოქმედებას გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის” ფურცლებზე.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოება, ასევე, იხილავს სატელევიზიო იუმორისტულ ჩანაწერს „პრესის მიმოხილვა“, რომელსაც წარმოადგენენ „კაცების შოუს“ მონაწილენი, ყოფილი უნივერსიტეტელები: გიორგი ჯანელიძე, ირაკლი კაკაბაძე, ირაკლი ვახტანგიშვილი და დათო ლაბაძე. ამ იუმორისტულ სატელევიზიო შოუში რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილიც მონაწილეობს.

საიუბილეო საღამოზე ცნობილი გახდება უნივერსიტეტის გაზეთისთვის შერჩეული საუკეთესო სლოგანის ავტორის ვინაობაც. ღონისძიების ბოლოს სამახსოვრო ჯილდოები გადაეცემა იმ ადამიანებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს გაზეთის გამოცემაში. საღამო საზეიმო მიღებით დასრულდება.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ“ 85 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲠᲣᲮᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲗᲔᲙᲚᲐ ᲯᲐᲛᲠᲣᲚᲘᲫᲔ ᲒᲐᲣᲫᲦᲕᲔᲑᲘᲐᲜ

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲠᲣᲮᲐᲫᲔ

ცნობილი ჟურნალისტი, პედაგოგიკის დოქტორი, რანგირებული დიპლომატი, ცნობილი ანგლისტი. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანმცოდნეობის მიმართულებაზე კითხულობს ლექციებს. წლების განმავლობაში ცხოვრობდა ამერიკაში, ინგლისში, ეგვიპტეში, ნეპალში, ინდოეთში, რუსეთში, ამჟამად ცხოვრობს თბილისში. ამერიკის ქალაქ ატლანტის ერთერთ ტელევიზიაში NBC-ს ფილიალში მუშაობდა ტელეწამყვანად და ტელეჟურნალისტად.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲠᲣᲮᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ — ᲒᲕ.23

ᲗᲔᲙᲚᲐ ᲯᲐᲛᲠᲣᲚᲘᲫᲔ

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი, ა/ო „საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“ პრეზიდენტი, მედიაკავშირ „ობიექტივის” გადაცემის წამყვანი:

— გაზეთის საიუბილეო საღამოს წაყვანა ჩემთვის დიდი პატივია. უნივერსიტეტის გაზეთი ამ ბოლო დროს ძალიან მომწონს. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, ალბათ, იმ პროცესებს უნდა ასახავდეს, რაც უნივერსიტეტში ხდება, თუმცა მასში საზოგადოებისთვის მტკივნეულ თემებზე სტუდენტობის მოსაზრებებიც უნდა შუქდებოდეს. მეტი მოთხოვნა სტუდენტებს არ გაგვაჩნია.

ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲫᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საკუთარ თავგადასავალსა და ისტორიას ყველაზე უკეთ თავად გაზეთი ყვება. ამაში დარწმუნდებით, როდესაც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილ გამოფენას დაათვალიერებთ. გამოსაფენად ის ნომრები შეირჩა, რომლებიც გაზეთის, უნივერსიტეტისა და ქვეყნის განვითარების საკვანძო თემებს შეეხება.

პირველი თემა გაზეთის სახელწოდებები და სლოგანებია: „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“, „უნივერსიტეტის ხმა“, „ბოლშევიკური კადრებისათვის“ - XX საუკუნის 20-30 წლებში ასეთი უცნაური სახელწოდებები ჩვეულებრივი ამბავი იყო და ჩვენი გაზეთიც ვერ იქნებოდა გამონაკლისი; ამ სახელწოდებებს შეესაბამებოდა გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი, ლექსიკა და პათოსიც: ერთი შეხედვით გულუბრყვილო, შეცდომებით სავსე მოწინავე სტატიები, რომელთა მიზანიც სასტიკი და ანტიჰუმანური რეჟიმის შენიღბვა იყო.

ამ რეჟიმზე იგივე გაზეთი ღიად დაწერს, თუმცა ეს მაშინ მოხდება, როდესაც გაზეთი ტფ. უნივერსიტეტის აღმასბიუროს, პარტიისა და კომკავშირის გამოცემა კი არა, დამოუკიდებელი საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა გახდება და სახელად „თბილისის უნივერსიტეტი“ დაერქმევა. დროსა და იდეოლოგიებში ამ უცნაური ტრანსფორმაციის მოწმე გამოფენაზევე გახდებით – სტენდებთან ერთად იცვლება თემატიკა, სტატიების პერსონაჟები, მათი საქმიანობის შეფასება: გაზეთის პირველ ნომრებში ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების სახელებს ტაბუ ადევს, სამაგიეროდ პროლეტარიატის დიდი ბელადისა და შინსახკომის მრისხანე ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას ფოტოები და ნააზრევია უხვად, მაშინ, როცა მოგვიანებით - სულ პირიქითაა. ტრანსფორმაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 80-იანი წლების ბოლო, როდესაც თსუ-ში პრეს-კლუბი, ჩვენს გაზეთში კი „სტუდენტური ფურცელი“ ჩნდება. პირველი პრეს-კლუბელები დღეს უკვე სოლიდური ასაკის და ავტორიტეტული ადამიანები არიან, რომელთა პირველი განაცხადი „თბილისის უნივერსიტეტის“ ფურცლებმა შემოინახეს.

„სტუდენტები ობიექტივში“, ანუ გაზეთის ყურადღების ცენტრში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მიზეზით ხვდებოდნენ: თუ სტალინ-ბერიას დროს მაკიაჟისა და ფერუმარილის სიყვარულიც საკმარისი იყო გაზეთის ფურცლებზე გამოსამზეურებლად, ბრეჟნევის მმართველობისას გაზეთში უკვე სასახელო სტუდენტები ხვდებოდნენ და ისიც მას შემდეგ, რაც შორეული რუსეთის ყამირზე შრომაში სპეცსემესტრს გაატარებდნენ; ჩვენს დროში კი განსაკუთრებით პოპულარული სტუდენტთა პოლიტიკური აქტივობებია. რა თქმა უნდა, არც ინტელექტუალური, სამეცნიერო და სპორტული მიღწევები რჩება ყურადღების გარეშე. ისიც უნდა ითქვას, რომ წინა თაობებისაგან განსხვავებით, ბოლო წლებში სტუდენტობაში პოლიტიკა უფრო მოდურია, ვიდრე ლექსების წერა. პოეზიის მხრივ აშკარად უხვმოსავლიანი 60-იანი წლები იყო, როდესაც გაზეთში პირველ ნაწარმოებებს ნოდარ დუმბაძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ვახტანგ ჯავახაძე და სხვა 60-იანელები აქვეყნებდნენ. სხვათა შორის, თბილისის ექს-მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი სტუდენტობისას რომ ლექსების წერით იყო გატაცებული, ამასაც საიუბილეო გამოფენაზე აღმოაჩენთ.

საუნივერსიტეტო გაზეთი მეცნიერების გარეშე არ არსებობს და ყველაფერი ფერმკრთალდება, როდესაც ასპარეზზე კორიფე გამოდის. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი გაზეთის ნომრებით, რომლებიც დიდ მკვლევარებსა და ქართული სამეცნიერო სკოლების ფუძემდებლებს ეძღვნება, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ ჭეშმარიტების ძიების რთული გზა მხოლოდ მეცნიერებასა და ასკეტურ შრომაზე გადის, და არა იმ პოლიტიკურ იდეოლოგიებზე, რომლებსაც ამ 85 წლის განმავლობაში ხშირად ძალით, ზოგჯერ კი ტკბილი სიტყვითა და დაპირებით გვახვევდნენ თავს. დაპირებები კი პოლიტიკოსებისაგან ბევრი იყო, განსაკუთრებით პრეზიდენტებისგან და, განსაკუთრებით, უნივერსიტეტის მისამართით. ეს ყველაფერი შესაძლოა მეხსიერებიდან გაქრა, მაგრამ გაზეთმა შემოინახა. საერთოდ, საიუბილეო გამოფენა ბევრს და ბევრზე დააფიქრებს, რადგან გაზეთის ფურცლების გამომზეურება არასდროს იწვევს მხოლოდ საზეიმო განწყობას, მით უმეტეს, თუ ეს გაზეთი 85 წლისაა და იმ დაწესებულებას ეკუთვნის, რომლის ბედიც მთლიანად იყო დაკავშირებული ქვეყნის ბედთან.

ბოლო წლები მსოფლიოში ტექნოლოგიური ინოვაციებით გამოირჩევა და ეს ბეჭდურ მედიასაც დაეტყო. მათთვის, ვისაც პრესის ტექნიკური განვითარების ეტაპები აინტერესებს, გამოფენა საინტერესო თვალსაჩინოება იქება, რადგან აქ ერთმანეთის გვერდით იხილავთ პირველ ხელნაწერ ნომერსაც და ციფრულ ფორმატში აკრეფილ, ფერად გამოცემასაც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „თბილისის უნივერსიტეტი“ ტექნიკური ხარისხის თვალსაზრისით დღევანდელ ბეჭდურ მედიაში ერთერთი საუკეთესოა.

საიუბილეო გამოფენაზე სპეციალური სტენდი გაზეთის რედაქტორებსაც ეძღვნებათ, თუმცა, პირველი რედაქტორების შესახებ ხშირად მხოლოდ გვარები და სახელის ინიციალია ცნობილი. გაზეთის არსებობის ყველაზე დრამატული და ხანგრძლივი პერიოდი გივი შეყილაძის სახელს უკავშირდება, იგი 27 წელი ედგა სათავეში „თბილისის უნივერსიტეტს“, მას შემდეგ კი, უკვე მეშვიდე წელია, გაზეთს ქალბატონი რედაქტორობს და ეს საინტერესო გამოფენა და იუბილეც ნინო კაკულიას ორგანიზებულია.

უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორები

აპოლონ ნუცუბიძე

უნივერსიტეტის გაზეთის პირველი რედაქტორი

აპოლონ ნუცუბიძე იყო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი; 1949-1983 წლებში მუშაობდა ეკონომიკის ინსტიტუტის ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ კი უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

აპოლონ ნუცუბიძე სტუდენტი ყოფილა იმ პერიოდში, როცა უნივერსიტეტის კედლის გაზეთის „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ რედაქტორად დაუნიშნავთ. არქივში შემონახულ გაზეთებში ჩანს, რომ რედაქტორი აქტიურად წერდა და მოუწოდებდა სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს გაზეთთან თანამშრომლობისკენ.

ტარიელ კვანჭილაშვილი

გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელის“ რედაქტორი 1952 წლის ივნისიდან 1953 წლის დეკემბრამდე

ტარიელ კვანჭილაშვილი 1939 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1941 წელს გაიწვიეს სამამულო ომში, იბრძოდა ორიოლის, გომელის, კალიჯანოვის, ვილნიუსის, კაუნასის, კენიგსბერგის მისადგომებთან. ომიდან დაბრუნდა 1945 წლის დეკემბერში და 1946 წლიდან აღადგინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტად.

1949 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ჩაირიცხა ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის ასპირანტურაში.

1950 წლის მაისში დაინიშნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების უფროსად.

1951 წლის ივნისში დაარსდა უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი“, რომლის პირველი რედაქტორიც ტარიელ კვანჭილაშვილი იყო 1953 წლამდე.

1952 წელს მან დაიცვა დისერტაცია და დაინიშნა თსუ-ის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ჯერ უფროს მასწავლებლად, მერე — კათედრის გამგედ..

1954 წელს იგი გადაიყვანეს დოცენტად ახლად გახსნილ ჟურნალისტიკის კათედრაზე.

1965 წელს ტარიელ კვანჭილაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1967 წლიდან უნივერსიტეტის პროფესორია.

1971 წელს იგი გადაიყვანეს უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე, რომლის პროფესორიც იყო სიცოცხლის ბოლომდე. არის 20 წიგნისა და ათობით სამეცნიერო სტატიის ავტორი.

გარდაიცვალა 1998 წელს.

ტარიელ კვანჭილაშვილი მაშინდელი უნივერსიტეტის რექტორს ნიკო კეცხოველს მოუწვევია გაზეთის რედაქტორად. თავად ბატონი ტარიელი 1987 წელს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნებულ წერილში იხსენებს, რომ ამ დროს ის უნივერსიტეტის ასპირანტი ყოფილა და კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსად მუშაობდა, მაგრამ ნიკო კეცხოველის დიდ ავტორიტეტს და სურვილს — შეექმნა უნივერსიტეტის გაზეთი, გადმოუძალავს და ხელი მოუკიდებია საქმისთვის, რომელიც მანამდე არასოდეს უკეთებია.

ტარიელ კვანჭილაშვილი იხსენებს, რომ მას მხარში ამოუდგნენ მეგობრები და დააარსეს შტატგარეშე განყოფილებები, შექმნეს კორესპონდენტთა ქსელი დეკანატებსა ფაკულტეტებზე. ამ წლების გაზეთი სავსებით სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ქართული კლასიკური მწერლობის სავანედ.

თავად ბატონი ტარიელი იხსენებს: „შტატების უქონლობა ჩემი ამხანაგების მხარში დგომამ დაფარა. ჩემს გვერდით იყვნენ არჩილ სულაკაური, ზურაბ ჭუმბურიძე, მაგალი თოდუა, რეზო თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, ნოდარ დუმბაძე, სხვები და სხვები... ვერ წარმოიდგენთ რა ხალისითა და მონდომებით თანამშრომლობდნენ ადამიანები გაზეთის შექმნაში. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ გაზეთი ყოველ ოთხშაბათს დღის პირველ საათზე იყიდებოდა მთავარი კორპუსის ვესტიბიულის კიბესთან.

რამდენიმე საინტერესო მომენტი მახსენდება იმ წლებიდან. ერთხელ როცა უკვე ოთახი მოგვცეს, გაიღო კარი და იოსებ გრიშაშვილი შემოვიდა. წამოვდექი და სიხარულით მივეგებე. მისალმების შემდეგ, ბატონმა სოსომ საყვედურით მითხრა, არა გრცხვენია ტარიელ, შენი გაზეთის ნომრებს რად არ მიგზავნი, ხომ იცი რომ ყველაფერს ვაგროვებო. გავწითლდი და გავყვითლდი, ბოდიში მოვუხადე და დავპირდი, რომ მომავალში სისტემატიურად გავუგზავნიდი. უკვე გამოსული ნომრები კი კარადიდან გადმოვიღე და მივართვი. შეწუხება რომ შემატყო დამიყვავა, მადლობა მითხრა და წავიდა. ჩვენ მაშინ გვქონდა სია იმ ორგანიზაციებისა და პირებისა, ვისთვისაც უნდა გაგვეგზავნა თითო ეგზემპლარი, მაგრამ იმ სიაში იოსებ გრიშაშვილი არ იყო და ამიტომაც შევრცხვი მასთან...

ახალგაზრდა მწერალთა წრეს ბესო ჟღენტი ხელმძღვანელობდა, მაგრამ ის ძალიან დატვირთული იყო მწერალთა კავშირში, ლიტერატურის ინსტიტუტშიც, ხშირად რესპუბლიკის გარეთაც უხდებოდა წასვლა, ამიტომ წრესთან დაკავშირებულ საქმეებს რექტორი მე მავალებდა. ამათგან ერთი გამორჩეულად მიმაჩნია, რადგან რევაზ ინანიშვილს ეხება. რეზომ წრეში თავისი პირველი მოთხრობა რომ წაიკითხა ბატონ ნიკოს ძალზედ მოეწონა. გავიდა ხანი და სტუდენტი რეზო ინანიშვილი გადაიკარგა. უნივერსიტეტი მიატოვა და სადღაც გაქრა. ერთხელ, რექტორს მოუკითხავს დამწყები მწერალი რევაზ ინანიშვილი. უთქვამთ, რომ გადაიკარგაო. რექტორმა დამიძახა და დამავალა, სადაც გინდა მოძებნე და აქ მომგვარეო. რას ვიზამდი... გამოირკვა, რომ რეზო უჯარმაში გადაკარგულა, თანაც სამგორის სარწყავის სისტემის მშენებლობაზე დაუწყია მუშაობა. ეს რომ დავადგინე, შევუთვალე: თუ ძმა ხარ, როგორმე ჩამოდი, შენთან აუცილებელი საქმე მაქვს მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ რეზომ რედაქციის კარი შემოაღო, დავსხედით და ვისაუბრეთ, თანაც ვფიქრობ, როგორ მივიყვანო რექტორთან, ხომ ვიცი არ წამომყვება მეთქი. ასეთმა აზრმა გამიელვა — რეზოს ცოტა ხნით დავტოვებ, მერე კარს გარედან ჩავკეტავ და ჩემს „პატიმარს“ თავზე დავაყენებ რექტორს. ასეც მოვიქეცი, წავედი რექტორთან და მოვახსენე, თქვენი დავალება შევასრულე, რეზო ინანიშვილი მოვიყვანე მეთქი. შემომიყვანეო. როგორც იქნა რექტორს შევბედე, რომ რედაქციაში მყავს ჩაკეტილი და თქვენ უნდა წამობრძანდეთ მეთქი. წამოდგა და გამყვა. რედაქციის კარი გავაღე, რექტორი წინ გავუშვი და მეც შევყევი. ლოყებღაჟღაჟა არასდროს ყოფილა ჩვენი რეზო, მაგრამ მაშინ რომ გამწვანდა, ასეთი არაფერი მინახავს. ასე დავაბრუნეთ ჩვენი მწერალი უნივერსიტეტში. ამ ამბავს საჯაროდ არ მოვყვებოდი, მაგრამ ეს თვითონ რეზომ უამბო მსმენელებს, როცა მას უნივერსიტეტში შეხვედრა მოუწყვეს, ამიტომ მეც ხელი გამეხსნა“, — იხსენებს ტარიელ კვანჭილაშვილი.

ირაკლი ვეშაპიძე

„ახალგაზრდა სტალინელის“ რედაქტორი 1954-1966 წლებში

ირაკლი ვეშაპიძე ქართველური ენების გამორჩეულ მკვლევრად ხასიათდება. მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ცოტაა. თანამედროვენი მას ტრაგიკულ პიროვნებად იხსენებენ, რადგან მისი ოჯახის ცხოვრებაც ისე წარმართულა, რომ დღეისთვის შთამომავლობის მოძებნაც გაჭირდა. თუმცა ერთი რამ ცხადია, ბატონი ირაკლის ხელდასხმით ბევრ ნიჭიერ ლიტერატორს და ჟურნალისტს გაეხსნა გზა.

„ირაკლი ვეშაპიძე ქმნიდა კეთილგანწყობილ ასპარეზს მომავალი ჟურნალისტებისთვის. დაწერდი რამეს, წაიკითხავდა, გაასწორებდა... ეს ძალიან დიდი სტიმული იყო ჩვენთვის, პატარა ბიჭებისათვის“, — ასე, სულ ორი სიტყვით, მაგრამ თბილად იხსენებს ირაკლი ვეშაპიძის რედაქტორობის წლებს არმაზ სანებლიძე.

ზაურ ბოლქვაძე

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი 1966 წელს

1951 წელს ჩაირიცხა ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

1956 წლიდან მუშაობდა გაზეთ „ახალგაზრდა სტალინელის“ პასუხისმგებელ მდივნად.

იყო სტუდენტთა შემოქმედებითი გაერთიანება „პირველი სხივის“ ხელმძღვანელის, ბესო ჟღენტის, მოადგილე.

1966 წლიდან მუშაობდა ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელ მდივნად. 1987 წლიდან (ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების შემდეგ) დაინიშნა „ნიანგის“ მთავარ რედაქტორად.

მისი პირველი წიგნი (თანაავტორებთან ერთად) „ღელვის დასაწყისი“ გამოიცა 1960 წელს. მას შემდეგ ზაურ ბოლქვაძემ გამოსცა 15 წიგნი, მათ შორის თარგმანები აფხაზურიდან და რუსულიდან.

მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ორდენი.

გარდაიცვალა 1997 წლის 23 ივნისს. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ზაალ ჟვანია

„თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი 1967 -77 წლებში

ზაალ ჟვანიას თავდაპირველად სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. 1955 წელს მშობლებისგან მალულად გადმოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1961 წელს დაამთავრა.

1965 წელს გრ. კიკნაძის რედაქტორობით გამოვიდა წიგნი „ვაჟასეული ადგილები“, რომლის შემდგენლადაც ზაალ ჟვანიაა მოხსენებული.

იგი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის რედაქტორად დაინიშნა 1967 წელს და რედაქციას 1977 წლამდე ხელმძღვანელობდა.

ზაალ ჟვანია 1977 წელს 44 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ზაალ ჟვანიას იხსენებენ, როგორც განათლებულ, კეთილშობილ, უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალს, რომელმაც გაზეთს დიდი ამაგი დასდო.

ჟურნალისტი გვანჯი მანია იხსენებს, რომ ზაალ ჟვანიას დროს რედაქცია იყო ცოცხალი ორგანიზმი, ერთგვარი შტაბი, სადაც მრავალი საინტერესო იდეა ჩამოყალიბებულა და განხორციელებულა.

ბევრი მოგონება აკავშირებს ბატონ ზაალ ჟვანიასთან ასევე ცნობილ ჟურნალისტს პაატა ნაცვლიშვილს, რომელიც იხსენებს, რომ მაშინ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციაში საქმიანი, მაგრამ შინაურული ატმოსფერო სუფევდა. „ბატონი ზაალი ჩემი პირველი რედაქტორი იყო და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ იყო საუკეთესო მათ შორის, ვისთანაც მიმუშავია. მაშინ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი. იქ ბევრი რამ ვისწავლე, ბევრი ღირსეული ადამიანი გავიცანი, რომელიც რედაქციაში შემოდიოდა, არა როგორც ჩემი პროფესორი ან ლექტორი, არამედ როგორც ავტორი, ბატონი ზაალის კოლეგა, მეგობარი... მომსწრე ვარ იმ საინტერესო საუბრებისა, რომლებსაც ჩვეულებრივ სტუდენტებთან ლექტორები არ გააბამენ. ხშირად მოდიოდა რედაქციაში ბატონი აკაკი შანიძე, რომელსაც თავისი ნაწერები მოჰქონდა”, — იხსენებს პაატა ნაცვლიშვილი.

გივი შეყილაძე

„თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი 1977-2006 წლებში

გივი შეყილაძემ დაამთავრა ჯერ თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ იურიდიული ფაკულტეტი.

უნივერსიტეტის გაზეთში სამუშაოდ მოვიდა ზაალ ჟვანიას დროს და წერილების წერასთან ერთად ფოტოკორესპონდენტად მუშაობდა.



ზაალ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ იგი ჯერ რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა, შემდეგ კი დაინიშნა რედაქტორად და 2006 წლამდე ხელმძღვანელობდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციას.

გივი შეყილაძის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო გიგა გეზრულელი და ამ სახელით წერდა როგორც უნივერსიტეტის გაზეთში, ასევე, რესპუბლიკურ პრესაში.

პარალელურად იგი ფოტოსაქმეს ასწავლიდა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს.

გივი შეყილაძე უნივერსიტეტის გაზეთს ყველაზე ხანგრძლივად რედაქტორობდა. მის დროს საქართველოში არაერთი საინტერესო მოვლენა მოხდა. გაზეთი ხან ახერხებდა მათზე რეაგირებას, ხან — ვერა.

„მაშინ, როცა „სტუდენტური ფურცელი“ გამოდიოდა, ბატონი გივი შეყილაძე იყო ამ გაზეთის რედაქტორი, არაჩვეულებრივი ადამიანი, ძალიან კარგი და საყვარელი კაცი, რომელსაც სისხლს ვუშრობდით, შეიძლება ასე ითქვას,

მე-14 გვერდზე

უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორები

მეცამეტე გვერდიდან

რადგან იგი იყო მშვიდობიანი ადამიანი, უნდოდა, რომ უნივერსიტეტში არსებულ ცხოვრებაზე სულ პოზიტიურად გვესაუბრა. ამასთან დაკავშირებით, მართლაც, არსებობდა მასალა, მაგრამ ჩვენ სრულიად სხვა რამეს ვითხოვდით და სხვა რამისთვის გვჭირდებოდა ეს „სტუდენტური ფურცელი“. ბატონი გივი ყველაფერზე ნერვიულობდა, თუკი სადმე რაიმე ფრაზა, წინადადება, ან ისეთი სულისკვეთება იყო, რაც იმ დროის დამკვიდრებულ სტერეოტიპს სცდებოდა. სულ ამბობდა — თქვენ მომკლავთ, თქვენ მომისწრაფებთ სიცოცხლესო... იგი მარტო თავის თავზე კი არ ფიქრობდა, ეშინოდა, უნივერსიტეტის გაზეთი ვინმემ არ დახუროსო. ცხადია, ფიქრობდა ჩვენზეც, რაიმე საფრთხეს არ გადავყროდით ამის გამო“, — იხსენებს პოლიტიკოსი, ყოფილი პრესკლუბელი ფიქრია ჩიხრაძე.

ნინო კაკულია

„თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი 2006 წლიდან დღემდე

ნინო კაკულიამ1996 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სრული კურსი ჟურნალისტიკის სპეციალობით. 1995-1997 წლებში მუშაობდა ტელეკონპანია „რუსთავი 2”-ში საინფორმაციო გადაცემა „კურიერის” კორესპონდენტად; 1997-2004 წლებში — საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში შემოქმედებითი გაერთიანება „ალიონისა” და „ნაშუადღევის” ჟურნალისტად. იყო რუბრიკის — „დღის თემა” პოლიტიკური ჟურნალისტი, სხვადასხვა საავტორო რუბრიკის — „მე, შენ, ისინი” (სოციოლოგიური გამოკითხვა-რეიტინგის მიმოხილვა), „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?” (პუბლიცისტური ჟურნალისტიკა), „პრესის მიმოხილვა” წამყვანი და ჟურნალისტი.

2005-2006 წწ. იყო ა/ო „საქართველოს რეგიონული მედია ინიციატივების ინსტიტუტის” მიერ შემუშავებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის — გაზეთ „რეგიონის დროით” (გაზეთ „24 საათის” ყოველკვირეული ჩანართი) რედაქტორი. 2010 წელს მუშაობდა ა/ო „საქართველოს რეგიონული მედია ინიციატივების ინსტიტუტის” სატელევიზიო პროექტის — გადაცემა „რეგიონის დროით” რედაქტორად და ჟურნალისტად საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხზე.

2006 წლის 22 ივნისიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის” რედაქტორი.

ჩემი რედაქტოროობის პერიოდის ისტორიაც ვილაცისთვის მომავალში საინტერესო იქნება...

ინტერვიუ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორთან ნინო კაკულიასთან

მესამე გვერდიდან

— ბრძოლაში რას გულისხმობთ? არსებობდა გაზეთის რედაქციის შევიწროების ან დახურვის საფრთხე?

— ისე, როგორც მედიის ყველა საშუალება საქართველოში, მეტ-ნაკლებად, ცენზურის პირობებში ფუნქციონირებდა, ჩვენც გვქონდა პრობლემები. სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, 2009 წელს, მახსოვს, უნივერსიტეტში ყველა სტუდენტური გამოცემა დახურეს, რადგან სტუდენტურ გაზეთებში ახალგაზრდები უცერემონიოდ აკრიტიკებდნენ სტუდენტურ თვითმმართველობას. საერთოდ, სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელებიც გვევლინებოდნენ ხოლმე „მკაცრ ცენზორებად“, რომელთა განაწყენებასაც, პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, ერიდებოდი. სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ხელისუფლებასთან დაახლოებულნი იყვნენ, რაღაც დოზით, საუნივერსიტეტო საზოგადოების მანიპულირების ბერკეტებს ფლობდნენ და გავლენაც ჰქონდათ. სწორედ მათ წინააღმდეგ გალაშქრებას შეეწირა რამდენიმე სტუდენტური გამოცემა. მაშინ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისთვის დაქვემდებარებაც სცადეს და ამ მიზნით ამუშავებდნენ კიდეც სპეციალურ დადგენილებას. ამ ინფორმაციას ყური რომ მოვკარი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოფილ მოადგილეს ნიკა ბიჭიკაშვილს შევთავაზე დისკუსიის მოწყობა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც დათანხმდა საკითხის საჯაროდ განხილვას. დისკუსიებში აქტიურად ჩაერთო ჩვენი გაზეთის რედკოლეგიის წევრი, პროფესორი, სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი, რომლის დამსახურებითაც გაზეთის რედაქცია მაშინ გადაურჩა „პიარის“ სამსახურისთვის დაქვემდებარებას, რადგან ჩვენს ოპონენტებს დავუსაბუთეთ, თუ რატომ არ შეიძლებოდა მრავალწლიანი ტრადიციის მქონე უნივერსიტეტის გაზეთი „პიარის“ შემადგენელი ნაწილი გამხდარიყო. შემდგომ კი, როგორც გავიგე, ასევე იაქტიურა აკადემიური საბჭოს ყოფილმა წევრმა, პროფესორმა გუგული მაღრაძემ, რომ 2009 წელს გაზეთი დახურვას გადაერჩინა. გაზეთის დახურვის მცდელობის კონკრეტული მიზეზები ჩემთვის უცნობია, მაგრამ ის შემიძლია გითხრათ, რომ საფრთხე, თურმე, ჩვენს გაზეთსაც ელოდებოდა მიუხედავად იმისა, რომ გაზეთში ყოველთვის ვცდილობდით ინფორმაციებისა და პოზიციების „დავარცხნას“. დღეს ამაზე პირველად ვსაუბრობ ღიად, რადგან ის სტრესი, რომ შეიძლება სამსახურიდან გაგათავისუფლონ სიმართლის მოყოლისთვის, მოხსნილია. გულისტკივილით ისიც მინდა აღვნიშნო, რომ პირველი კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში აღარ დაგვაბრუნეს – პროექტიდან „ვიღაცამ“ ამოგვაგდო. არადა გაზეთის რედაქცია ყოველთვის უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში ფუნქციონირებდა.

დღეს, როდესაც უნივერსიტეტის გაზეთის საიუბილეო საღამოს გამართვაზე გვიწევს საუბარი და ვიკვლევთ გაზეთის ისტორიას, უხერხული იქნება ჩემი რედაქტორობის პერიოდში გაზეთის რედაქციის ცხოვრების ამსახველი მთავარი ეპიზოდები მივჩქმალო. ამ პერიოდის ისტორიაც ხომ ვიღაცისთვის მომავალში საინტერესო იქნება? ამიტომ, ვფიქრობ, რომ გულწრფელად გავიხსენო ყველა ის სიტუაცია, რაც ამ გაზეთის კეთებას ახლდა თან.

— რას წერდით გაზეთში ისეთს, რომ თქვენი რედაქციის მისამართით მსგავსი ღონისძიებების გატარებაზე ეფიქრათ?

— კრიტიკულ წერილებს თითქმის არასდროს ვბეჭდავდით, მაგრამ არც ქება-დიდებას ვუძღვნიდით ვინმეს, თუმცა შეიძლება ჩვენს სტატიებში რეალობის ამსახველი წერილების, ზოგჯერ ფრაზებისა თუ სათაურების მოძიებაც. მეტს ვერაფერს გეტყვით.

— დღეს რამ მოგიხსნათ ის სტრესი, რის გამოც თამამად ვერ იბრძოდით თქვენი პრინციპების გასატარებლად გაზეთში?

— სტრესი მოხსნა იმ სისტემის დანგრევამ, რაც სუფევდა ქვეყანაში. ვფიქრობ, რომ წნეხი, რასაც მე, როგორც უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორიც ვგრძნობდი, მოდიოდა ქვეყნის ყოფილი ხელისუფლების იმიჯისგან... 2012 წლის 1 ოქტომბრამდე თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებაში იყო გამეფებული შიშის ის სინდრომი, რომ „პრობლემაზე საჯაროდ საუბარიც კი ვერ უნდა გაგებედა“... აქედან მოდიოდა, საბოლოოდ, თვითცენზურის გაბატონებაც შენში, რათა თავი დაგეცვა... ამ ყველაფერს კი ეწირებოდა პროფესიონალიზმი, რადგან ჟურნალისტიკაში პროფესიონალიზმი პირდაპირ კავშირშია სიმართლის მსახურებასთან — ეს ჯერ კიდევ ჩემმა მასწავლებელმა, ფსიქოლოგმა თემურ ბჟალავამ და ჩემმა უფროსებმა მასწავლეს ახალფეხადგმულ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში მუშაობისას, სადაც, როგორც ჟურნალისტმა, პირველი ნაბიჯები გადავდგი.

სხვათა შორის, თავად რექტორიც, სანდრო კვიტაშვილიც, ყოფილი პოლიტიკური ხელისუფლებისგან განსხვავებით, მეტად ლოიალური და დემოკრატიული ბუნების ადამიანია. მისი ხელმძღვანელობის პირობებში, საპარლამენტო არჩევნებისა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მოვახერხეთ საკმაოდ თავისუფალი გაზეთის ნომრების გამოცემა. ვფიქრობ, რომ არა ამ ახლო წარსულში ზემოდან წამოსული დიქტატი, უნივერსიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობა გაზეთის ფუნქციას არ დააკნინებდა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბატონი დათო ჩომახიძე და მისი თანაშემწე – გიორგი გაფრინდაშვილი მუდამ რედაქციის გვერდში დგანან და ცდილობენ, თითოეული ჩვენთაგანისთვის პრობლემების არიდებას.

— შენს ჟურნალისტურ დაოსტატებაში ვინ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი?

— ჟურნალისტობა ჯერ კიდევ მე-8 კლასიდან მინდოდა. წერა მიყვარდა ძალიან და ჩემი ქართულის მასწავლებელმა, არაჩვეულებრივმა პედაგოგმა და პიროვნებამ, თინიკო რიჟამაძემ მირჩია – ჟურნალისტიკა ამერჩია ჩემს პროფესიად. ასე რომ, მიმართულება — თუ საითკენ უნდა წავსულიყავი, სწორედ მან მომცა, რასაც ძალიან ვუმადლი.

უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდი ცუდად მახსოვს, რადგან ლექციები ხშირად ცდებოდა და სასწავლო პროცესი არც თუ ისე საინტერესო იყო – მაშინ, 1991-1994 წლებში, ნაკლებად თუ ექცეოდა სწავლებას და მით უფრო პრაქტიკას ყურადღება. უფრო მეტად დამამახსოვრდა ნოდარ ტაბიძის ლექციები ჟურნალისტთა სახლში, როდესაც 1989 წელს ჟურნალისტთა სკოლაში ვსწავლობდი. ამ სკოლაში სწავლისას დავიწყე ჟურნალისტური ჩანახატებისა და ფელეტონების წერა, რასაც ნოდარ ტაბიძე დიდი ყურადღებით კითხულობდა და ყურადსაღებ შენიშვნებსაც მაძლევდა. ასე ვთქვათ, პრაქტიკა კი ტელეკომპანია „რუსთავი 2-ში“ მუშაობის დროს გავიარე (1994-1997 წწ.) და, ფაქტობრივად, იქ დავეუფლე ტელე-ჟურნალისტიკას და ჟურნალისტის უნარ-ჩვევებს. მაშინ ტელეკომპანიის ხელმძღვანელები ეროსი კიწმარიშვილი და ჯარჯი აქიმიძე იყვნენ, მაგრამ მე, პირადად, მახსოვს ტელეკომპანიაში ასევე ჩვენს ხელმძღვანელად მომუშავე დათო დვალისა და ფსიქოლოგად მოწვეული თემურ ბჟალავას მზრუნველობა ჩვენი აღზრდისთვის. მათგან აკრძალული გვქონდა ჩვენს რესპონდენტებთან, ვისაც საინფორმაციო გადაცემა „კურიერისთვის“ ვიწერდით, ყოველგვარი ფამილარული ურთიერთობის გაბმა და ჭიქა ყავაზეც კი მიპატიჟების მიღება. მკაცრად ვიყავით გაფრთხილებულნი, რომ ეთიკური ნორმები დაგვეცვა და ჩვენს მიერ მომზადებულ სიუჟეტებში ვინმესთვის შეურაცხყოფა არ მიგვეყენებინა. თუმცა, ამასთან ერთად, გვასწავლიდნენ, რომ კარგი გაგებით „ინტრიგა“ მუდამ უნდა ახლდეს მომზადებულ ინფორმაციას, რაც მუშაობის პროცესში უნდა გაგვეთვალისწინებინა. მათი დიდი მადლობელი ვარ, რადგან ჟურნალისტური ხედვა, გემოვნება და სტილი სწორედ მათთან გავლილი პრაქტიკული მუშაობის პერიოდში ჩამომიყალიბდა.

შემდეგ უკვე, როცა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში, შემოქმედებით გაერთიანება „ალიონში“ დავიწყე მუშაობა, ჩემს პროფესიულ ზრდას ვუმადლი პროგრამა „ალიონის“ ხელმძღვანელს ოთარ შაორშაძეს. დილის გადაცემა „ალიონში“ წლების მანძილზე მუშაობის პერიოდმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა და იმ წლების ნოსტალგია დღემდე მომყვება. ბატონი ოთარი მეორე „მამად“ მყავდა მიჩნეული, რადგან, ყველანაირი პირობა და გარემო შეგვიქმნა ყველა იქ მომუშავე ჟურნალისტს დახელოვნებისთვის, თვითრეალიზაციისთვის, შემოქმედებითი თავისუფლებისთვის და პიროვნული ზრდისთვისაც. ალიონი – ეს იყო დიდი ოჯახი, სკოლა, კუნძული სახელმწიფო ტელევიზიაში, სადაც ფასეულ ღირებულებებს გვინერგავდნენ და მთელი ჩვენი საქმიანობის აგებასაც ამ ღირებულებებზე გვთხოვდნენ. რეალურად „ალიონში“ ვისწავლე, თუ რას ნიშნავს ტრადიციების პატივისცემა. გარდა ამისა, შეუძლებელია არ დააფასო ის ადამიანი, ვინც სახელმწიფო ტელევიზიაში ჯერ პოლიტიკურ ჟურნალისტად გამუშავებს და, შემდეგ კიდევ, თავისუფლებას მოგცემს. მაშინ ვაკეთებდი პოლიტიკურ სიუჟეტებსაც, პრესის მიმოხილვასაც და პუბლიცისტურ რუბრიკებსაც. ეს იყო 1997-2003 წლები. სწორედ თავისუფალი აზროვნების პირობებში შევძელი ჟურნალისტად ჩამოყალიბება და ეს მთლიანად ბატონი ოთარ შაორშაძის დამსახურებაა. ძალიან ბევრი რამ შემიძლია ამ პერიოდზე გავიხსენო. გეტყვით იმასაც, რომ „ალიონი“, რომელიც შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში ანტისახელმწიფოებრივ გადაცემად მონათლეს, „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე ტრადიციულად თამამი პოზიციების გამოვლენის გამო დაიხურა. ამის შემდეგ ცოტა ხნით ტელეკომპანია „იმედის“ დილის გადაცემაში ვმუშაობდი. იქაც გამიმართლა იმ თვალსაზრისით, რომ ჩემი რედაქტორი ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი ქეთი დუმბაძე იყო. ქეთი იყო არაჩვეულებრივი ადამიანი – კეთილი, თბილი და, ამავე დროს, გულუბრყვილო. სამწუხაროდ, მაშინ ქეთი შიდაინტრიგებს შეეწირა და „იმედიდან“ მეც წამოვედი. მასთან ურთიერთობა „ადამიანობის“ სწავლა იყო მხოლოდ. ასე დასრულდა ჩემი სატელევიზიო კარიერა, რასაც დღემდე მივტირი. დღეს კი, უნივერსიტეტში, ჩემს რედაქციაში, ვმუშაობ იმ ადამიანების გვერდით, რომლებთანაც მიხარია მუშაობა. ჩვენ ერთად ვცდილობთ, გვერქვას „გუნდი“ და უნივერსიტეტის გაზეთის ისტორიაში ჩვენი სიტყვა ვთქვათ. მაია ტორაძემ, რომელიც ჩვენი რედაქციის თანამშრომელია და რომელიც პროფესორადაც მუშაობს უნივერსიტეტში, არაჩვეულებრივი იდეა მომაწოდა — დაგვეწერა წიგნი უნივერსიტეტის გაზეთის ისტორიაზე. ახლა სწორედ ამ წიგნზე ვმუშაობთ და ვფიქრობ, ყურადსაღები აქცენტებით საინტერესო მასალებს შევთავაზებთ მკითხველს.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ წერთ ნოველებსაც...

— კი, მაქვს ასეთი მცდელობა... წერა ძალიან მიყვარს. ვწერ ჟურნალისტურ დღიურებსაც, რომელსაც „დემოკრატია“ ჰქვია. წერის დროს არავინ მახსოვს, გარდა ღმერთისა, რომელსაც თუნდაც მხოლოდ იმიტომ ვაღიარებ, რომ სიყვარულის ნიჭი მომცა. ყველაზე მეტად ამ გრძნობის დაკარგვის მეშინია. ემოციურობა ჩემი ნაკლია, მაგრამ ეს თვითგამოხატვაში წერის დროს მეხმარება...

უბის წიგნაკში ცხოვრება

ადამიანის ყოფის აბსურდულობას მაშინ გრძნობ, როცა ზემოდან უყურებ შენი დღის განრიგს. გადახედავ პუნქტებს და პუნქტუაცია ნერვებს მოგიშლის: ადექი, წადი, ჩაჯექი, გადი, შეხედე, შეხვდი, იცინე ბევრი...

აზრს ეძებ ცხოვრების ბოლომდე მაინც და ეს პუნქტუაცია ნერვებს მოგიშლის.

დილა მშვიდობისა, დედა! — მოეხვიე სანამ დროა,

თორემ ხვალ მოგენატრება მისი ეს თრთოლვა...

ეს „ხვალ“ კი არ იცი, როდის დადგება ან როდის მოვა...

— რომელი წლის არის კალენდარი — კედელზე ჩამომჭკნარი?

— ჰოო, დროს ჩამორჩენილხარ, დრო ისეთია, მალი...

— დედა როგორ არის? — კითხულობს კოლეგა

და შენ ისე მოგბეზრდა უბის წიგნაკში ცხოვრება,

რომ თავს აწევ მაღლა და ზემოდან შეხედავ

ადამიანის ყოფის აბსურდულ მონებას...

ნინო კაკულია
2009 წ.

რ ე დ ა ქ ც ი ა

33 წელი უნივერსიტეტის გაზეთის სამსახურში

„დიდი პედაგოგიური საბჭოს“ ყველაზე პატარა წევრი – ინტერვიუ მანანა ჯურხაძესთან

— როდის დაიწყეთ მუშაობა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“?

— თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სულ ვოცნებობდი, რომ უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ, კვლავ უნივერსიტეტში დავრჩენილიყავი სამუშაოდ, თუნდაც, ნებისმიერ თანამდებობაზე. ბედად გამოჩნდა მამას მეგობარი, ძალიან კარგი პიროვნება ნოდარ ჯახუტაშვილი, რომელიც, ამავე დროს, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მაშინდელ რედაქტორთან — გივი შეყილაძესთან მეგობრობდა. ბატონმა ნოდარმა მისგან შეიტყო, რომ რედაქციაში გათავისუფლდა ადგილი და გამიწია რეკომენდაცია. ასე მოვხვდი რედაქციაში. ეს იყო 1980 წლის სექტემბერი.

— რას აკეთებდით გაზეთში?

— რედაქტორი ბატონი გივი შეყილაძე გახლდათ, ძალიან კარგი ადამიანი... მან მამა-შვილურად მიმიღო; სულ ცდილობდა, რომ წავეხალისებინე; ჩემ დაწერილ სტატიაში ერთი წინადადებაც რომ მოსწონებოდა, იმას აიტაცებდა, შემაქებდა — აი, ეს რა კარგად დაგიწერიაო, და მეც სტიმული მეძლეოდა...

რედაქციაში ვმუშაობდით — მე, ბატონი გივი და ფოტოკორესპონდენტი მურმან ჩაჩუა.

გაზეთი 4 გვერდიანი იყო, გამოდიოდა კვირაში ერთხელ, პარასკევ დღეს. გაზეთზე მუშაობის დროს გადანაწილებული გვქონდა ფუნქციები: ორშაბათობით იმართებოდა რედაქტორატის სხდომა, რომელსაც ბატონი გივი ან მე უნდა დავსწრებოდით და, შესაბამისად, უნდა გაგვეშუქებინა პარასკევის ნომერში; ვწერდით უნივერსიტეტის ცხოვრებაზე (პირველი ჩემი წერილი იყო წარმატებულ სტუდენტზე), ასევე, მეცნიერულ მიღწევებზე, პროფესორებზე, სტუდენტებზე, სტუდენტურ თვითშემოქმედებაზე, სპორტზე... მაშინ გაზეთში კორესპონდენციებს გვაწვდიდნენ როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ისე სტუდენტები — ჩვენ მათ წერილებს ვუკეთებდით სტილს და კორექტურას.

როგორც სტუდენტები, ასევე, პროფესორ-მასწავლებლებიც მოუთმენლად ელოდნენ ჩვენი გაზეთის დაბეჭდვას, რადგან მასში ყველა თავის წერილს ნახულობდა, რაც უხაროდათ.

მაშინ ჩვენი გაზეთი ფასიანი გახლდათ, პირველი კორპუსის ფოიეში იყიდებოდა და გაყიდული გაზეთების თანხა უნივერსიტეტის ბიუჯეტში შეგვქონდა. გაზეთს ჰქონდა ასეთი ტრადიცია — ყოველ 1 სექტემბერს იბეჭდებოდა პირველკურსელთა სიები. ეს ნომერი ბოლომდე იყიდებოდა, ხშირად ტირაჟიც დაგვიმატებია, რადგან ყველას უნდოდა სამახსოვროდ ჰქონოდა გაზეთის ნომერი, სადაც მისი სახელი და გვარი იყო დაბეჭდილი.

— თუ გეძლეოდათ პრობლემებზე წერის საშუალება?

— პრობლემებზე წერის საშუალება, ასე თუ ისე, გვეძლეოდა. ანუ ვწერდით იმ პრობლემებზე, რაც უნივერსიტეტის წიაღში არსებობდა. მაგალითად, თავისუფლად შეგვეძლო გვეწერა სტუდენტთა საყოფაცხოვრებო საკითხებზე, თუნდაც ნებისმიერ საფაკულტეტო პრობლემაზე, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ოფიციალურ ცენზურას გავდიოდით. მთავლიტში მიგვქონდა გაზეთის ,,სასიგნალო გვერდები", რომლებსაც ცენზორები ჩვენი თანდასწრებით გულდასმით კითხულობდნენ. თუ რამე არ მოეწონებოდათ, ამოიღებდნენ, შემდეგ ყველა გვერდს ბეჭედს ურტყამდნენ, გვაძლევდნენ ,,უე"-ს ნომერს და გაზეთიც მზად იყო დასაბეჭდად. ასე რომ, გაზეთში საუნივერსიტეტო პრობლემების წარმოჩენისას არც ადმინისტრაცია იყო ჩვენთვის ბარიერი და არც მთავლიტი. მთავარი იყო — არ გაპარულიყო ოდნავ მაინც გადაკრული სიტყვა პოლიტიკაზე, ამაში კი ბატონი გივი ძალიან ფრთხილი იყო.

— როდესაც გაუქმდა მთავლიტი, ვინ იყო თქვენი ცენზორი?

— ჩვენივე თავი. მაშინ ,,პიარის" ინსტიტუტი არ არსებობდა, ამიტომ ვცდილობდით საიმიჯო სტატიები გვეწერა უნივერსიტეტზე, მის ადმინისტრაციაზე, პროფესურასა თუ სტუდენტზე, რათა ქართულ საზოგადოებას დაენახა, რომ უნივერსიტეტი ყვავის. ეს ის პერიოდია, როდესაც ყოველ მეორე სახლში უნივერსიტეტი იხსნებოდა, ამიტომ უფრო მეტად ვიყავით მონდომებულნი, რომ უნივერსიტეტი ლიდერად წარმოგვეჩინა. ეს იყო ჩვენი მოვალეობა, რასაც ვასრულებდით კიდეც.

როცა გაზეთში დავიწყე მუშაობა, ხშირად ვაკეთებდით ლიტერატურულ გვერდებს. მასში იშვიათად იბეჭდებოდა სტუდენტების შემოქმედება. არადა, რომ გადავხედე ძველ ნომრებს, ძირითადად, ქვეყნდებოდა სტუდენტების ლიტერატურული ნაწერები. დავინტერესდი და მიზეზი ბატონ გივის ვკითხე — რატომ დაირღვა ეს ტრადიცია? რატომ აღარ ვბეჭდავდით სტუდენტების ლექსებსა და მოთხრობებს? მან მიპასუხა: ორკუპლეტიანი ლექსი დავბეჭდე გაზაფხულზე და მაშინვე დამიბარეს და გამკიცხეს — აქ საქართველო იგულისხმება, იქ რუსეთიო... ცენზორი თურმე გადაყოლია ამ შემთხვევას, ბატონ გივის კი პარტიული საყვედური გამოუცხადეს. ამ ფაქტის შემდეგ მან სულ აკრძალა პროზაც და პოეზიაც გაზეთში...

ბატონ გივის დიდი იუმორის გრძნობა ჰქონდა... მახსოვს, რედაქციაში მოვიდა აბიტურიენტის დედა რჩევისთვის, რომელ ფაკულტეტზე ჯობდა ჩაებარებინა მის შვილს, რათა პირველ კორპუსში ევლო... თვითონ რა უნდა-მეთქი, ვკითხე. ჩემს შვილს ვინ კითხავს, თემქაზე ვცხოვრობ, „მარშუტკა“ პირდაპირ ამ კორპუსთან მოდის და მაწყობსო — ასე გვიპასუხა აბიტურიენტის დედამ. ბატონმა გივიმ ეს ამბავი გააშარჟა და

გაზეთში არაჩვეულებრივი პატარა იუმორისტული მოთხრობაც დავბეჭდეთ თავისი კარიკატურით.

— რა მნიშვნელობას ანიჭებდა უნივერსიტეტის გაზეთს რექტორი?

— ბატონი როინ მეტრეველის პერიოდს გავიხსენებ... იგი გახლავთ არაჩვეულებრივი პიროვნება. უნივერსიტეტის თანამშრომლებს ,,სამოქალაქო ომის" ურთულესი პერიოდი და საშინელი გაჭირვება მან გადაგვატანინა. მისთვის გაზეთი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რაოდენ დაკავებულიც უნდა ყოფილიყო, გაზეთს თავიდან ბოლომდე მაინც კითხულობდა არა ცენზორის თვალით, არამედ ინტერესით. არ არსებობდა, უნივერსიტეტში რაიმე ღონისძიება გამართულიყო და პირველი შეტყობინება რედაქციაში არ მოსულიყო. ასევე, საზღვარგარეთ ვიზიტებისას ფართომასშტაბიან ღონისძიებებზე დასასწრებად ყოველთვის მივყავდით, რასაც შემდეგ გაზეთში ვაშუქებდით.

— ვინ იყვნენ შენი საინტერესო რესპონდენტები?

— ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ ასეთი მაღალი რანგის ადამიანებთან მიწევდა მუშაობა და ეს ბუმბერაზი ადამიანები, კორიფეები ისე მიღებდნენ, როგორც თანატოლს. ინტერვიუები მაქვს აღებული ევგენი ხარაძესთან, ტარიელ კვანჭილაშვილთან, სერგო ჯორბენაძესთან, ზურაბ ფორაქიშვილთან... რომელი ერთი ჩამოვთვალო....

— როგორ შეხვდით ახალ რედაქტორს, რომელიც რექტორ გიორგი ხუბუას რეკომენდაციით მოვიდა გაზეთში?

— 2006 წელს რედაქციაში კონსულტანტად ნინო კაკულია მოვიდა — სრულიად ახალგაზრდა, ლამაზი და ძალიან ჭკვიანი გოგონა, იდეებით სავსე, სათაურების დიდოსტატი... სტატია რომ აბსოლუტურად უმნიშვნელო ყოფილიყო, მას ისეთ სათაურს მოარგებდა, რომ აუცილებლად წაგაკითხებდა. მან რადიკალურად შეცვალა გაზეთი, როგორც დიზაინით, ისე თემატიკით; შემოიღო ახალი რუბრიკები; მოიყვნა კვალიფიციური ჟურნალისტები; რედაქცია აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით და გაზეთი 16 გვერდიანი გახადა.

ბატონი გივი ჭკვიანი კაცი იყო. მიხვდა, რომ ამ ახალგაზრდა გუნდში მისი ადგილი აღარ იყო და წავიდა. მე ისევ ჩემ ფუნქციებს ვასრულებდი და თანაც, ვგრძნობდი, რომ ახალი რედაქტორი ჩემს შენარჩუნებაზე ზრუნავდა ... და ეს იმ დროს, როდესაც ახალმოსულ ხელისუფლებას 40 წლის ხეც არ უნდოდა...

— ნინო კაკულია გაზეთის ცენზორს გეძახით, რატომ?

— დიახ! (იცინის)... იცით რატომ? როგორც გითხარით, ჩემი რედაქტორი, ბატონი გივი ფრთხილი კაცი იყო. მასთან 24 წელი ვიმუშავე და, ბუნებრივია, ეს სიფრთხილე მეც გადმომედო. მიმაჩნია, რომ გაზეთში ყველაზე და ყველაფერზე ღიად საუბარი უნივერსიტეტის აკადემიურ სტილს არ შეეფერება. ნინოსთვის კი თავისუფალი ჟურნალისტური აზროვნება და მართალი სიტყვის თქმა უპირველესია. თავის სტატიაში ერთ ისეთ წინადადებას გააპარებდა, რომ თავდაყირა დააყენებდა ყველაფერს... ამიტომ, ხშირად, როგორც ტექნიკური რედაქტორი, ტექნიკურად ვკრეჭ ხოლმე მის ფრაზებს და ამით ვუფრთხილდები...

— რამდენადაც ვიცი, მამა მსახიობი გყავდათ. რას გვეტყვით, თქვენი ოჯახის შესახებ...

— 80-იან წლებში გაზეთი „კომუნისტი“ ყველაზე პოპულარული იყო საქართველოში და იქ დაიბეჭდა ჩემი ოჯახის თაობაზე სტატია სათაურით — „დიდი პედაგოგიური საბჭო“. ბაბუა, დავით ჯურხაძე, გახლდათ პედაგოგი, წლების განმავლობაში რუსული სკოლის დირექტორი, შემდეგ განათლების განყოფილების გამგე; ბებია — პედაგოგი, მამა — პედაგოგი, დედა — პედაგოგი და მე, რომელიც ტრადიციას ვაგრძელებდი და პედაგოგობას ვაპირებდი.

რაც შეეხება მამას, ჯუანშერ ჯურხაძე ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი გახლდათ. მისი ძლიერი ფიზიკური აღნაგობის გამო, ცნობილმა რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა იგი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ ზვიად სპასალარის როლის შემსრულებლად შეარჩია. მინდა დავიტრაბახო, რომ საკმაოდ კარგი ზვიადი იყო. მამაზე მოგონება მინდა მისი ერთი ფრაზით დავასრულო: „ერთადერთი ქალიშვილი მყავდა და სამი ვაჟკაცი მაჩუქა“... გულისხმობდა ჩემს მეუღლეს გიორგის, ჩემს ვაჟს ერეკლეს და ჩემს შვილიშვილს გიორგის...

გაზეთი სხვა განზომილებაში დავინახე

დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, შემდეგ ამავე ფაკულტეტის პრესის თეორიისა და პრაქტიკის განყოფილების ასპირანტურა. დაცული აქვს დისერტაცია თემაზე „არჩევნების გაშუქება თანამედროვე ქართულ პრესაში (ჟურნალისტური ასპექტები)“. არის თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

„თბილისის უნივერსიტეტში“ მოსვლამდე მუშაობდა გაზეთ „შანსის“ კორესპონდენტად, გაზეთ „კავკასიონის“ პასუხისმგებელ რედაქტორად, გაზეთ „აქცენტის“ ნომრის რედაქტორად.

მონაწილეობდა 4 საერთაშორისო პროექტში.

არის 4 პუბლიცისტური კრებულის თანაავტორი და 2 წიგნის ავტორი.

მაია ტორაძე:

— ჟურნალისტობა ჩემი ბავშვობის ოცნება არ ყოფილა, ექიმობა მინდოდა, მაგრამ იმის გამო, რომ არასოდეს მიყვარდა მეკეთებინა ის საქმე, რასაც ყველა აკეთებდა (სამედიცინოზე ჩაბარება კი ჩემი თაობის წარჩინებული მოსწავლეებისთვის ერთგვარი „მოდა“ იყო), მეშვიდე კლასში გადავწყვიტე შემეცვალა მიზანი და ფილოლოგი გავმხდარიყავი. ისე მოხდა, რომ მიმღები კომისია ვერაფრით დავარწმუნე, რომ სწორედ იმ ერთი ქულით მეტი მეკუთვნოდა მისაღებ გამოცდებზე, რომელიც ფილოლოგიურზე მოსახვედრად იყო საჭირო და რომელიც მუდმივად მაკლდებოდა. გაბეზრებულმა გადავწყვიტე მომიჯნავე სპეციალობაზე ჩამებარებინა.

აი, ასე მოვედი ჟურნალისტიკაში და ძალიანაც კარგი, რომ ის ერთი ქულა არ დამიწერეს... ეს სპეციალობა უფრო მიესადაგა ჩემს ხასიათს.

პრაქტიკული საქმიანობა დავიწყე მაშინ, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა ისის იყო მოიპოვა და ჟურნალისტებიც პირველად დგამდნენ დამოუკიდებელ ნაბიჯებს. მახსოვს ჩემი პირველი სტატია, რომელიც მშობლიურ რაიონში, ხარაგაულში გამოვაქვეყნე და რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ეს იყო მცდელობა — გამეანალიზებინა 1990 წლის მარტის არჩევნების აბსურდულობა (მაშინ მეც დეპუტატობის კანდიდატი გახლდით). წერილში კომუნისტური პარტიის წევრებს მოვუწოდებდი, გულზე ხელი დაედოთ და ეთქვათ, რომ ისინიც დამოუკიდებლობის მომხრეები იყვნენ. მაგონდება, რა გაბღენძილმა ვიარე ერთი თვე „წარმატებით“ გათამამებულმა და რა სიმწრით გადავიკითხე წლების შემდეგ ეს უსუსური წერილი, რომელიც ყველაფერი იყო სტატიის გარდა. საბედნიეროდ, მალევე მივხვდი, რომ ილია ჭავჭავაძის სტილი მხოლოდ ილიასია და მისი მიბაძვა მხოლოდ უხეირო კალმოსნის უგემოვნო ნაჯღაბნი იქნებოდა და მეტი არაფერი.

ყველაზე სასიამოვნოდ მახსენდება გაზეთი „კავკასიონი“ და მისი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე, რომელიც უნივერსიტეტში ჩემი ლექტორიც გახლდათ. ვასომ მოახერხა შეეკრა ისეთი კოლექტივი, რომელთან თანამშრომლობა დღესაც მეამაყება. ამ რედაქციაში მე, ია ანთაძემ, სოზარ სუბარმა, გოჩა საითიძემ, ირინა დეკანოიძემ, კახა და ზაზა ფაჩუაშვილებმა, დათო ნინიკაშვილმა, ხათუნა რეხვიაშვილმა და კიდევ ბევრმა სხვამ ერთად ვისწავლეთ ჟურნალისტური ეთიკა, საჭირო და საკმარისი ინფორმაციის მოპოვების ხერხები, გადამოწმების ჟურნალისტიკა და ყველაზე მთავარი რამ, რაც ჩემი 23-წლიანი ჟურნალისტური ბიოგრაფიის განმავლობაში სულ მახსოვს — რედაქცია არის ერთი გუნდი და არასოდეს არაფერი გამოვა იმ რედაქციაში, სადაც უღელში შებმული ხარ-კამეჩი სხვადასხვა მხარეს იწევს.

მე-16 გვერდზე

გაზეთი სხვა განზომილებაში დავინახე

მეთხუთმეტე გვერდიდან

მერე იყო სხვა გაზეთები... უნივერსიტეტის ასპირანტურა.... და ბოლოს გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, რომელიც ჩემს მეხსიერებაში დაახლოებით მესამე კურსიდან გაჩნდა, როცა ბატონი გივი შეყილაძე ფოტოგადაღებას გვასწავლიდა და ჩათვლების დასაწერად სწორედ ამ რედაქციაში გვიწევდა მოსვლა.

2006 წელს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ მიმდინარე რეორგანიზაციის შესახებ ჩემმა ლექტორმა და უფროსმა მეგობარმა, ქალბატონმა დიანა ტყეებუჩავამ მაცნობა, რისთვისაც დღემდე მისი მადლიერი ვარ.

ძალიან კარგად მახსოვს რედაქციაში მოსვლის პირველი დღე — რედაქტორი, ნინო კაკულია, უნივერსიტეტის კარებთან დამხვდა, პირველ კორპუსში განთავსებულ რედაქციის პატარა ოთახში შემიყვანა და ამიხსნა, რის გაკეთებას აპირებდა გაზეთის მეტად გაცოცხლებისა და „რებრენდინგისთვის“. მერე მცირე გამოსაცდელი ვადაც გავიარე და უნივერსიტეტის გაზეთის თანამშრომელიც გავხდი.

მას შემდეგ აგერ უკვე მეექვსე წელი იწურება. ამ ხნის განმავლობაში გაზეთმა განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა — კონცეფციაც რამდენჯერმე შევცვალეთ, წერის სტილიც და თემატიკაც. არ შეცვლილა მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ. ჩვენთვის ძვირფასია ყველა ის მეცნიერი და სტუდენტი, რომელიც ამ გაზეთისადმი ოდნავ ყურადღებას იჩენს და ხშირად მადლობასაც ამბობს იმ საქმისთვის, რასაც ეს პატარა რედაქცია აკეთებს.

კრიტიკოსებიც ბევრი გვყავს — ზოგს მიაჩნია, რომ გლობალურ თემებზე უნდა ვწეროთ, ზოგი მიგვითითებს, რომ მხოლოდ უნივერსიტეტი და მისი პოპულარიზაციაა ჩვენი საქმე, ზოგიც გვსაყვედურობს, რომ სტუდენტობა ვერ დავაინტერესეთ, მაგრამ მთავარი ერთია — ყველა ხვდება, რომ აქ დასაქმებულია პროფესიონალი, თავის საქმეზე და უნივერსიტეტზე შეყვარებული ადამიანების ჯგუფი, რომელთათვისაც ამ გაზეთის გაყვითლებული ფურცლები მხოლოდ ბეჭდური გამოცემა არ არის. ეს არის ისტორია, რომელიც დაკავშირებულია ივანე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის და სხვათა ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, ქვეყნის ისტორიასთან.

ამ გაზეთში ბევრი სტატია გამომიქვეყნებია, მაგრამ ყველაზე მეტად (მწარედაც) მახსენდება ჩემი, ფიზიკაში ზომაზე მეტად გაუცნობიერებელი ადამიანის, თავგანწირული მცდელობა — სათანადოდ გამეშუქებინა ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში მიმდინარე ექსპერიმენტი და პროფესორ გია დვალის საჯარო ლექციები. ამ თემებზე მუშაობას დასჭირდა მთელი ინტერნეტის გადაქექვა, ფიზიკის ელემენტარულ კანონებში გარკვევა (რისთვისაც ფიზიკოს თეიმურაზ ნადარეიშვილს ვუმადლი) და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჯეიმს ჯოისის გახსენებაც, რომელმაც პირველად ახსენა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში კარგად ცნობილი ცნება „კვარკი“.

ყველაზე სევდიანად კი ბატონი რეზო სირაძის ინტერვიუ მახსენდება — რა ბედნიერი იყო, რომ უნივერსიტეტის გაზეთის ახალმა თაობამ შეიცნო მისი დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე... ბატონი რეზოს ეს ბავშვური სიხარული დღეს კიდევ მეტად მიმტკიცებს აზრს, რომ თავმდაბლობა პიროვნებას ისეთ იდუმალ ხიბლს მატებს, რომლის აღწერაც კალამს არ შეუძლია.

ვფიქრობ, რომ გაზეთი გააგრძელებს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების გაშუქებას, სტუდენტთა პრობლემებზე საუბარს, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებების და დისკუსიების ბეჭდვას. იუბილეს შემდეგ ალბათ კიდევ ერთხელ გადავხედავთ ჩვენს კონცეფციას და ახალ რუბრიკებს, ახალ ავტორებს, ახალ ექსპერტებს მოვიძიებთ... გავხდებით მეტად საინტერესონი სტუდენტებისთვის, რომლებსაც ახლა უკვე თავისი ტრიბუნა ექნებათ ამ გაზეთში. ამის სტიმული მოგვცა „თბილისის უნივერსიტეტის“ არქივზე მუშაობამ, რადგან ეს გაზეთი სხვა განზომილებაში დავინახეთ — ის არის გამოცემა, რომელიც მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი გაზეთი. მას უნივერსიტეტის ისტორიაში განუზომელი ადგილი უჭირავს, მომავალში კი დღევანდელობის ისტორიას შემოუნახავს იმ თაობას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აუცილებლად გაიყვანს საერთაშორისო სარბიელზე.

ნატო ოგოლაძე

ჟურნალისტად მუშაობა სტუდენტობის პერიოდიდან დაიწყო. 2007 წელს სტაჟირების გასავლელად ტელეკომპანია „მზის“ საინფორმაციო სამსახურში მიიღეს, რის შემდეგაც მუშაობა დილის „მზერაში“ კორესპონდენტად განაგრძო.

2008 წლის ნოემბერში გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ დაიწყო მუშაობა. 2010-2011 წლებში იყო გადაცემის „რეგიონის დროით“ კორესპონდენტი.

გასული წლის ზაფხულში არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიისა და დემოკრატის განვითარების ცენტრში“ იყო ავტორი დოკუმენტური ფილმისა „ქართველი თემიდა“, რომელშიც სასამართლო რეფორმის გატარების პროცესები და შედეგებია ასახული.

შურთხია ბეროშვილი:

თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გაზეთებში: „ტფილისის უწყებანი“, „ახალი ქართული გაზეთი“, „ახალი ეპოქა“, „ომეგა“, ასევე, პირველ არხზე — ხალხური გადაცემების რედაქციაში „მამული“.

„თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციაში სამუშაოდ 2006 წელს მოვიდა.

თამარ დადიანი

1991 წელს დააარსა სტუდენტურ-ახალგაზრდული გაზეთი „დებიუტი“, რომლის რედაქტორიც იყო 1993 წლამდე; 1993-1995 წლებში ბიზნეს-კლუბ „BNB“-სთან ჩამოაყალიბა ახალგაზრდა შემოქმედთა, მეცნიერთა და ბიზნესმენთა საერთაშორისო ცენტრი და ასრულებდა გენერალური დირექტორის მოვალეობას. იყო საერთაშორისო, სამეცნიერო ჟურნალის „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“ ჟურნალისტი, 1998-2000 წლებში გაზეთ „დილის გაზეთის“ საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი. ასევე, გაზეთ „ალიას“ მორიგე რედაქტორი, რელიგიურ-სამეცნიერო ჟურნალ „ივერიის გაბრწყინების“ პასუხისმგებელი რედაქტორი. შემდეგ გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკა“ კორესპონდენტი.

ლელა კურდღელაშვილი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის გაზეთში უძღვება იურიდიულ და სამართლის მიმართულებას. ამავე დროს, საზოგადოებრივ რადიოში არის ყოველკვირეული გადაცემის „გენდერი და პოლიტიკის“ ავტორი და წამყვანი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: დილის გადაცემის „ალიონისა“ და ტელეკომპანია „კავკასიის“ საინფორმაციო სამსახურის წამყვანად და ჟურნალისტად; იყო ავტორი და წამყვანი სატელევიზიო პროექტის „ჩვენი სამართალი“, რადიოგადაცემის „დღის სტუმარი ლელა კურდღელაშვილთან ერთად“ („რადიოქალაქი“), თანამშრომლობდა გაზეთებში: „ახალი 7 დღე“, „რეზონანსი“, პორტალი „for.ge“.

ანა გოლქვაძე

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობდა „ევროპულ სკოლაში“ ინგლისური ენის მასწავლებლად. 2013 წლის მარტიდან მუშაობს უნივერსიტეტის გაზეთის ფოტოკორესპონდენტად და უძღვება მთარგმნელობით სამუშაოს.

ზაზა გულაშვილი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა გამომცემლობებში: „ეროვნული მწერლობა“, „ქოლორი“, ჟურნალებში: „რჩეულები“, „ქართული ელიტა“, „ახალი სიცოცხლე“, „რაჭველები“, გაზეთებში: „Financial“, „Commercial Times“ დამკაბადონებლად. 2011 წლის მაისიდან უნივერსიტეტის გაზეთის დიზაინერი და დამკაბადონებელია.

რა უნდა გააშუქოს უნივერსიტეტის გაზეთმა?

გაზეთის რედკოლეგიის წევრთა რეკომენდაციები

თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა ნინო კაკულიამ ყველა ფაკულტეტიდან მოიწვია პროფესორები და მათ გაზეთის რედკოლეგიის წევრობა შესთავაზა, რათა ერთად განესაზღვრათ გაზეთის პოლიტიკა და სტრატეგია.

რედკოლეგიის ყველაზე აქტიური წევრი თავიდანვე პროფესორი ნოდარ ხადური გახლდათ, რომელიც რედაქტორს, სხვადასხვა საინტერესო იდეებზე მსჯელობის მიზნით, რედკოლეგიის წევრთა პერმანენტული შეხვედრების მოწყობას სთავაზობდა. ვინაიდან რედკოლეგიის წევრებად ისეთი პროფესორები შეირჩნენ, რომელთაც უნივერსიტეტში საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი ჰქონდათ, ხშირად ყველა წევრის ერთად შეკრება ვერ ხერხდებოდა, ამიტომ რედაქტორი თითოეულ მათგანთან ინდივიდუალურად მუშაობდა. რედაქცია არაერთხელ დაინტერესებულა მათი იდეებით, ინიციატივებითა და რეკომენდაციებით.

კონკრეტულად თუ ვინ არიან გაზეთის რედკოლეგიის წევრები და რა თემებზე, საკითხებსა თუ პრობლემებზე სურთ მათ საუბარი უნივერსიტეტის გაზეთში, ამის შესახებ ამჯერად ღიად ვსაუბრობთ:

რისმაგ გორდეზიანი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი; 1993-1997 წლებში იყო თსუ-ის პრორექტორი, 1997 წლიდან თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია. იგი საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია.

— გაზეთს დიდი ფუნქცია უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი გაზეთი გამოდის, ამ გაზეთების აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკური კინკლაობით, პოლიტიკური პრობლემატიკით არის დაინტერესებული. ხშირად როცა ადამიანი მას კითხულობს, მხედველობიდან რჩება ის, რომ ქვეყანას, გარდა პოლიტიკისა, ინტელექტუალური ცხოვრებაც აქვს.

ვთვლი, რომ უნივერსიტეტის გაზეთი თავისუფალია ყვითელი პრესისთვის დამახასიათებელი თემატიკისგან. ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტის გაზეთში პრინციპულ საკითხებზე დაიწყოს დისკუსია. უფრო მეტიც, გაზეთი შეიძლება გახდეს ინიციატორი დისკუსიების დაწყებისა. სხვათაშორის იმ საკითხზეც უნდა იყოს მსჯელობა, როგორი უნდა იყოს საუნივერსიტეტო ცხოვრება. ასევე, საინტერესოა — რას ფიქრობენ უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესურა... გარდა ამისა, ცალკეულ მეცნიერულ პრობლემებზე უნდა ეწყობოდეს დისკუსიები. მაგალითად, იყო ასეთი გამორჩეული მეცნიერი მიხეილ ქურდიანი, რომელიც ნაადრევად წავიდა ჩვენგან და რომელმაც გამოსცა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები. იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ ბოლო ხანებში აზრთა სხვადასხვაობაა, შეიძლება ამ პრობლემატიკაზეც დისკუსიის გამართვა. მინდა, რომ უნივერსიტეტის გაზეთმა ტონი მისცეს ქვეყანაში ინტელექტუალურ თემებზე სერიოზულ მსჯელობას და ეს არ იყოს ერთი პროფესორის, ერთი მოღვაწის აზრი ან მონოლოგი.

გარდა ამისა, ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტის გაზეთს ჰქონდეს, თუნდაც დამატების სახით, ერთი გვერდი, რომელზედაც გვექნება უნივერსიტეტში გამოცემული წიგნების რეცენზიები და არა, უბრალოდ, ინფორმაცია, რომ გამოვიდა ესა და ეს წიგნი.

უნივერსიტეტის გაზეთს შეუსრულდა საიუბილეო თარიღი და მინდა ვისურვო, რომ ისევე ინტერესით ვათვალიერებდეთ უნივერსიტეტის გაზეთს, როგორც ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეეფერება.

ნოდარ ხადური

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი; მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი; საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

— ჩემი აზრით, უნივერსიტეტის გაზეთს, სხვა გაზეთებთან შედარებით, განსხვავებული დატვირთვა აქვს. კარგია, რომ მკითხველს ინტერნეტ-საიტზე გაზეთის არქივის ნახვის შესაძლებლობა აქვს, საიდანაც ჩვენ ვეცნობით ერთმანეთის წარმატებებს, სტუდენტების მოსაზრებებს. გაზეთს აქვს რესურსი და იგი თანდათან უფრო საინტერესო ხდება. უნივერსიტეტი უწყება არ არის და მისი გაზეთი უწყებრივი ვერ იქნება. ბევრი პრობლემაა, რაზეც გაზეთმა უნდა წეროს. დიდი სიამოვნებით წავიკითხავდი თქვენი გაზეთის ფურცლებზე, სტუდენტების ან პროფესორების ფსიქოლოგიურ პორტრეტებს.

იაგო კაჭკაჭიშვილი

თსუ-ის სრული პროფესორი; სოციოლოგიის დოქტორი; თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი;

— მიუხედავად იმისა, რომ „თბილისის უნივერსიტეტი“ უწყებრივი გაზეთია, მისი შინაარსობრივი პროფილი უნდა იყოს გაცილებით ფართო და შეეხოს არა მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო, არამედ მთლიანად საზოგადოებაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს. ასეთი „ფუფუნების“ უფლება გაზეთმა თავის თავს პირველ რიგში იმის გამო უნდა მისცეს, რომ უნივერსიტეტში საქმიანობენ ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტული შეფასებები გამოთქვან და გააანალიზონ სხვადასხვა სფეროში (განათლება, ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, საჯარო მმართველობა, კანონმდებლობა და სხვ.) არსებული პრობლემები. უნივერსიტეტის ინტელექტუალური პოტენციალი აუცილებლად განაპირობებს, რომ გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ აქტუალურ, ანგარიშგასაწევ და კითხვად გამოცემად გადაიქცეს.

გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული მწერლობის ყველაზე მნიშვნელოვანმა წარმომადგენლებმა პირველი ნაბიჯები უნივერსიტეტის კედლებში, სტუდენტობის ხანაში გადადგეს. მათი პირველი პუბლიკაციები სწორედ „თბილისის უნივერსიტეტში“ იბეჭდებოდა — კარგი იქნება ამ ტრადიციის აღდგენა.

ელენე ხარაბაძე

თსუ-ის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი; 2009 წლიდან 2012 წლამდე გახლდათ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი.

— ვფიქრობ, უნივერსიტეტის გაზეთში სტატიები უბრალო, რიგით თანამშრომლებზეც უნდა იწერებოდეს. აი, ახლა ხელთ მაქვს 1964 წელს გამოცემული გაზეთი, რომელიც უნივერსიტეტის კომენდანტზე — ალექსი ტყეშელაშვილზე წერდა. ალბათ, დღესაც ახსოვთ, როგორ „ძრწოდა“ უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსი მისი პიროვნების წინაშე.

გაზეთისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს სტუდენტური ცხოვრება. ასევე, სტუდენტებიც უნდა თანამშრომლობდნენ გაზეთთან. მარტო წარჩინებულ სტუდენტებზე არ უნდა ვწეროთ. საინტერესოა ჩვეულებრივი სტუდენტის ცხოვრებაც.

მართალია, გაზეთში სასწავლო პროცესი შუქდება, მაგრამ კარგი იქნება სასწავლო პროგრამების ავკარგიანობაზეც დაიწეროს. თუ არა გაზეთმა, ვინ უნდა მიიტანოს ადმინისტრაციამდე ეს საკითხი? მიმაჩნია, გაზეთმა რეალურად უნდა დაანახოს თსუ-ის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს ის დეტალები, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრების განვითარებას ხელს უშლის.

აუცილებლად უნდა იწერებოდეს სასწავლო, სამეცნიერო პროცესის ნაკლოვანებებზე. რატომ არ უნდა დაიწეროს, თუ ფაკულტეტზე მიმდინარე რეფორმა არ არის ეფექტური? უნივერსიტეტის სტუდენტს თავისი პოზიციის ქალაქის ქუჩებში დაფიქსირება არ უნდა სჭირდებოდეს. მიმაჩნია, რომ ამისთვის უნივერსიტეტის გაზეთმა უნდა იზრუნოს.

ნოდარ ბელქანია

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი; 2007 წლიდან 2012 წლამდე იყო თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

— ზოგადად ვიტყოდი, რომ ამ გაზეთს მეტი შემოქმედებითი მიდგომა სჭირდება. ბევრი ოფიციალური მასალა „ახრჩობს“ მას... მეტად უნდა იყოს გამოყენებული თსუ-ის ინტელექტუალური პოტენციალი, როგორც სტუდენტებისა, ასევე, პროფესორ-მასწავლებლების. მეტი თავისუფლებაა საჭირო! ყველაზე კარგი პროდუქტი იქმნება მაშინ, როცა გაზეთი თავისუფალია. შეიძლება რუბრიკების დამატებაც და ამის მცდელობა, ვიცი, რომ იყო. თემატურად გაზეთი არ უნდა შეიზღუდოს. უნივერსიტეტს მრავალი მეცნიერი ჰყავს, რომელთაც შეუძლიათ პოპულარულ ენაზე საინტერესო მასალები გამოაქვეყნონ.

აუცილებელია სტუდენტური ცხოვრების შესახებ წერაც. ჩვენ ბევრი ნიჭიერი სტუდენტი გვყავს, რომლებიც უნდა წარმოვაჩინოთ. მათი პოპულარიზაცია გაზეთში ამ ბოლო დროს უფრო შესამჩნევია.

გაზეთში უნდა იყოს ცოცხალი მსჯელობა, დისკუსია სხვადასხვა საკითხებზე, პრობლემებზე, რომელიც უნივერსიტეტის განვითარებას შეუწყობს ხელს. მაშინ გაზეთი უფრო საინტერესო ხდება. ამ ბოლო დროს გამოვიდა რამდენიმე ნომერი, სადაც თავისუფლების სული ტრიალებდა — ეს გაზეთები მკითხველმა, შეიძლება ითქვას, დაიტაცა.

თემურ ნადარეიშვილი

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ–პროფესორი; ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი; თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ველის კვანტური თეორიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ მუშაკი.

— გაზეთში კარგად შუქდება საუნივერსიტეტო ცხოვრების თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი. სასურველი იქნება, თუ კიდევ უფრო გამახვილდება ყურადღება სტუდენტურ და პროფესორ-მასწავლებელთა ყოფით პრობლემატიკაზე. ვისურვებდი, რედაქციამ შეინარჩუნოს და კიდევ უფრო გააძლიეროს ამჟამად არსებული დამოუკიდებელი მუშაობის კურსი!

ლადო მინაშვილი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, არის ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.

— გაზეთის ამჟამინდელი მთავარი რედაქტორი და ჟურნალისტები ცდილობენ, რომ ყველა ნომერი მრავალფეროვანი და საინტერესო გახადონ. ვფიქრობ, გაზეთი სრულად პასუხობს საუნივერსიტეტო მოთხოვნებს, უყურადღებოდ არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, ფაქტი, მოვლენა უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

სასურველია, რომ გაზეთში კიდევ უფრო მეტი ადგილი დაეთმოს უნივერსიტეტის სახელოვანი წარსულის ფურცლებს, უნივერსიტეტის გამოჩენილ მეცნიერთა, პედაგოგთა ცხოვრებისა და ღვაწლის წარმოჩენას — ეს აუცილებელია ახალგაზრდებისთვის.



ვისურვებდი, რომ ძალიან მალე, სწორედ საიუბილეო დღეებში, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ დაუბრუნდეს უნივერსიტეტის მთავარ კორპუსს, იქ, სადაც იგი იყო დღიდან თავისი დაარსებისა.

ვაჟა კიკნაძე

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი. თსუ-ის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

— ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ ამ გაზეთში გაჩნდება მუდმივი რუბრიკა: „მოვლენები და პიროვნებები“, სადაც საუბარი იქნება იმ დიდ მამულიშვილებზე, რომლებმაც საქართველოს ისტორიას წარუშლელი კვალი დაამჩნიეს.

მე-18 გვერდზე

რა უნდა გააშუქოს უნივერსიტეტის გაზეთმა?

გაზეთის რედკოლეგიის წევრთა რეკომენდაციები

მეჩვიდმეტე გვერდიდან

დიანა ძიძიგური

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის დირექტორი; მორფოლოგიის კათედრის გამგე; ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; სრული პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის" დირექტორი; საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1994 წლიდან ნიუ-ორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრია. 1998 წელს ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტმა მიანიჭა წელიწადის საუკეთესო მეცნიერი ქალის სახელი. 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

— განსახილველი მართლაც ბევრი საკითხია ჩვენს უნივერსიტეტში. კარგი იქნება, თუ გაზეთში ექსპერიმენტული დარგების დაფინანსების საკითხი დაისმება.

გაზეთში აქტიური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს თემა — თუ რატომ არ არის რანჟირების სისტემის მიხედვით საქართველოს არც ერთი უნივერსიტეტი მსოფლიოს წარმატებულ უნივერსიტეტთა სიაში.

ასევე გადასახედია სამეცნიერო პუბლიკაციების შეფასების კრიტერიუმი. ამ საკითხზეც შეიძლება გაზეთმა დისკუსია დაიწყოს.

დღეს ჩვენ კონკურენტულ გარემოში გვიწევს მუშაობა და უნივერსიტეტიდან პროფესიონალი კადრების გადინების საკითხიც ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია. საზოგადოებაში ვრცელდება მოსაზრება, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა აღარ არის პრესტიჟული. ამაზე განსაკუთრებულად უნდა გაამახვილოს ყურადღება გაზეთმა და გააძლიეროს სარეკლამო მასალების ბეჭდვა.

ვფიქრობ, დღეს სწორედ ის დროა, როდესაც არ უნდა გვეშინოდეს ხმამაღლა, ამავე დროს, კორექტულად ვისაუბროთ ჩვენს პრობლემებზე და ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად ვეძებოთ ამ პრობლემების გადაჭრის გზები და ხერხები.

ნინო ჩიხლაძე

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (2005 წლიდან).

— ვისურვებდი, გაზეთში არსებობდეს რუბრიკა, რომელიც განათლების სფეროში საერთაშორისო გამოცდილებას გააშუქებდა, სადაც გამოქვეყნდებოდა საინტერესო მასალები განათლების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების, განათლების ხარისხის შეფასების, არსებული სტრატეგიებისა და მიდგომების, სწავლებისა და სწავლის, შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამებსა და ინსტიტუციებში განხორციელებული საინტერესო და წარმატებული ინოვაციებისა და ექსპერიმენტების თაობაზე.

***მოამზადა* თამარ დადიანმა**

ჩვენთვის გაზეთის რედაქციის სტაჟიორობა სტუდენტური წლების საუკეთესო მოგონებად იქცევა

ნატო ოგოლაძე

უნივერსიტეტის გაზეთის რედაქცია სტაჟიორებად სტუდენტების აყვანის პრაქტიკას აგრძელებს. ამჯერად რედაქციაში 4 სტაჟიორი მუშაობს: პოლიტოლოგიის მიმართულების სტუდენტი და „ნარინჯისფერთა კლუბის" ერთერთი დამფუძნებელი ლევან ლორთქიფანიძე; სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი და „ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის" პრეზიდენტი თეკლა ჯამრულიძე; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი და „ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტა ასოციაციის" პრეზიდენტი თორნიკე ჭეიშვილი და ჟურნალისტიკის მიმართულების I კურსის სტუდენტი და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრი თამარ ჯავახიშვილი. ოთხივე ახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობა შიდა საუნივერსიტეტო და, ზოგადად, საზოგადოებისთვის აქტუალურ და პრობლემურ საკითხებთან არის დაკავშირებული.

თაკო ჯავახიშვილი

„გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" სტაჟირების დაწყება ჩემთვის პირველი პროფესიული გამოცდილებაა. აქ ძალიან კარგი გუნდია და მსიამოვნებს მათთან ერთად მუშაობა. გაზეთის ერთი ნომერი მთლიანად სტუდენტებმა მოვამზადეთ, სადაც ჩემ მიერ დაწერილი ნიუსები გამოქვეყნდა. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა კულტურის სფეროსთან და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა კონკრეტულად რაზე დავწერ გაზეთის მომდევნო ნომრებისთვის სტატიებს, თემების გადანაწილებისას გაირკვევა", — აღნიშნა თამარ ჯავახიშვილმა.

იმის გავითვალისწინებთ, რომ სტაჟიორებიდან 3 სტუდენტი სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის და სამართლის მეცნიერებებს ეუფლება, ისინი გაზეთისთვის სწორედ ამ თემატიკასთან დაკავშირებული ანალიტიკური სტატიებისა და ინფორმაციების მომზადებას გეგმავენ.



ლევან ლორთქიფანიძე

„ძალიან კარგია, რომ უნივერსიტეტის გაზეთში ტრადიცია აღსდგა და მას სტუდენტური ჩანართი დაემატება. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, რომ არქივში „თბილისის უნივერსიტეტის" ძველი ნორმები გვენახა, სადაც სტუდენტები ძალიან აქტუალურ თემებს აშუქებდნენ, გრძნობდნენ საზოგადოებს მაჯისცემას. იმედი მაქვს, ჩვენც კარგად გამოგვივა — აღვწეროთ თანამედროვე ვითარება და დავაფიქსიროთ სტუდენტური პოზიციები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. მაგალითად, გავაშუქოთ სოციალური პრობლემები, პოლიტიკური საკითხები, როგორი ტიპის სახელმწიფოში გვინდა ცხოვრება, როგორი კონსტიტუცია გვჭირდება, როგორ ტერიტორიულ მოწყობას ვირჩევთ და ა.შ. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" ერთი ნომერი სტუდენტებმა უკვე მოვამზადეთ, სადაც ჩემი ერთი სტატია დაიბეჭდა, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებს. სტატიაში ჩემი პოზიცია არ ჩანს, მხოლოდ ფაქტებია მოყვანილი და სხვადასხვა მხარის მოსაზრებებია დაფიქსირებული. ეს თემა, ვფიქრობ, საკმაოდ აქტუალურია და ბევრი სტუდენტის პოზიციას გამოხატავს — რომ გარემო დაცული უნდა იყოს და ეკოსისტემა ბიზნეს-ინტერესების გამო არ უნდა ზიანდებოდეს. თუ საშუალება მომეცემა, სიამოვნებით დავწერდი ანალიტიკურ სტატიას განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებითაც. მაგალითად, ბატონი გია დვალის კონცეფციაზე და ა.შ.", — ასე ჩამოაყალიბა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" მუშაობის მიზანი ლევან ლორთქიფანიძემ.

მკითხველისთვის ქართულ სოციოლოგიაში არსებულ ვითარებაზე, მიმდინარე სოციოლოგიურ სამეცნიერო კვლევებზე, სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტების აქტიურობასა და პრობლემების თემებზე სტატიების შეთავაზებას აპირებს თეკლა ჯამრულიძე.

„უპირატესობას ვანიჭებ სოციალურ მეცნიერებებს და, რაც მთავარია, მინდა, ამაზე იწერებოდეს. დღეს სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა, ფაქტობრივად, ნულზეა დასული, თუმცა სტუდენტები ვითხოვთ, პირიქით იყოს. სოციოლოგია შედარებით ახალი მეცნიერებაა, რომელიც სათავეს XIX საუკუნიდან იღებს. XX საუკუნის დასაწყისში ქართველები უკვე მოღვაწეობდნენ სოციოლოგიაში. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილმა ჩაატარა რამდენიმე სოციოლოგიური გამოკვლევა. მიხაკო წერეთელმა შექმნა ნაშრომი „ერი და კაცობრიობა", რომელიც ერთერთ საინტერესო ნაშრომად ითვლება სოციოლოგიაში. დიდი სიამოვნებით დავწერ ამ თემებზე, ასევე, დღეისთვის მიმდინარე კვლევებზე, თეორეტიკოს და პრაქტიკოს სოციოლოგებზე. სამწუხაროდ, საქართველოში, ძალიან იშვიათად ტარდება სოციოლოგიური კვლევები მეცნიერული მიზნებისთვის. თუ მოვიძიებ ასეთი ტიპის ნაშრომს, აუცილებლად დავწერ და გავაცნობ მას სტუდენტებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ჩვენ ხშირად ვატარებთ თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევებს, ხშირად შედეგები ძალიან საინტერესოა. ვფიქრობ, რომ მათი გაცნობა მკითხველსაც დაინტერესებს. ჩვენი პროფესორები კარგი მკვლევრები არიან და გაზეთში მათი საქმიანობის გაშუქებასაც ვგეგმავ", — აღნიშნა თეკლა ჯამრულიძემ.

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მიმდინარე მოვლენების, ცვლილებების და ამ პროცესში სტუდენტების ჩართულობის აუცილებლობის საკითხების შესახებ საგაზეთო მასალების მომზადებას „ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტა ასოციაციის" პრეზიდენტი თორნიკე ჭეიშვილი გეგმავს: „შევეცდები, დავწერო სტუდენტებისთვის აქტუალურ თემებზე. არის ბევრი პრობლემა საგნების არჩევის, ბაზების გახსნის საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ წელს იურიდიულ ფაკულტეტზე სხვა სემესტრებისგან განსხვავებით ეს პროცესი შედარებით ორგანიზებულად მიმდინარეობდა. გაზეთში მუშაობისას, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის აქტუალურია. მაგალითად, „ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია" აგრძელებს კონსულტაციებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან უნივერსიტეტის სამართლებრივი სტატუსის საკითხზე. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, განხორციელდება საკონსტიტუციო რეფორმა. დღესაც დღის წესრიგში დგას რამდენიმე საკონსტიტუციო ცვლილება. ჯერჯერობით არ არის შექმნილი საკონსტიტუციო კომისია, თუმცა რამდენიმე მოსამზადებელი სამუშაო შეხვედრა შედგა და ჩვენი ორგანიზაციაც იღებდა მონაწილეობას. ბუნებრივია, ამ მოვლენებს გამოვეხმაურები და შევეცდები, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ყველა სპეციალობის სტუდენტისთვის".

თეკლა ჯამრულიძე

თორნიკე ჭეიშვილი

ლევან ლორთქიფანიძე, თეკლა ჯამრულიძე, თამარ ჯავახიშვილი და თორნიკე ჭეიშვილი თსუ-ის გაზეთში სტაჟირების დაწყებას დადებითად აფასებენ. ფიქრობენ, რომ გაზეთთან სტუდენტების თანამშრომლობა როგორც მათთვის, ასევე, მათი კოლეგებისთვის და, ზოგადად, მკითხველისთვისაც ნაყოფიერი იქნება.

„სტუდენტობის წლებიდან ჩემი ერთერთი საუკეთესო მოგონება იქნება ის, რომ გახლდით თსუ-ის გაზეთის რედაქციის სტაჟიორი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ყველაფერი, რაც უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით კი გაზეთი, რომელსაც 85 წლის ისტორია აქვს", — გვითხრა თეკლა ჯამრულიძემ.

რედაქციისთვის მეტად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ სტაჟირების გავლის სურვილს კიდევ არაერთი სტუდენტი გამოთქვამს.

„მწვანე აუდიტორია“ უნივერსიტეტის ბაღში

უნივერსიტეტის გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლები წარსულის მოგონებებს ინახავს, რომლებიც წლებთან ერთად უფრო ძვირფასი ხდება... მით უფრო მაშინ, როდესაც აცნობიერებ, რომ პირველი ნაბიჯები და წარმატება სტუდენტობის უბედნიერეს ხანას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ ომისშემდგომ პერიოდში დიდად გააქტიურდა სტუდენტთა მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; განსაკუთრებით გაძლიერდა შემოქმედებითი საქმიანობა. ბევრი აღმოჩნდა ლიტერატურით დაინტერესებული. უნივერსიტეტში 1947 წლის შემოდგომაზე შეიქმნა სტუდენტთა ლიტერატურული წრე, რომელსაც გესო ჟღენტი ჩაუდგა სათავეში. მალე დაისვა საკითხი ბეჭდური ორგანოს შესაქმნელად. 1950 წელს უკვე გამოვიდა ალმანახი — „პირველი სხივი“. სწორედ აქ აიდგეს ფეხი შემდგომში ცნობილმა ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა. უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორის ნიკო კეცხოველის 1951 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით ამ წრეს ეწოდა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე“.

მოგვიანებით ნიკო კეცხოველი დაწერს: „თვალწინ მიდგანან თმახუჭუჭა ახლად აღერებული ბიჭები, შვლისთვალება გოგონები, მათთან შეხვედრები დამრჩება ერთერთ ძვირფას მოგონებად. დღეს, როცა ჩვენს ცხოვრებას თვალს ვავლებ, ვხედავ, რომ ის პირტიტველა ბიჭები, რომელნიც ოცი წლის წინ მოკრძალებით შემოვიდნენ ჩვენს ცხოვრებაში, დღეს უკვე დაბრძენებული მწერლები და მოღვაწეები არიან... ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ზოგიერთის გახსენება დაგვარწმუნებს, რომ ამ წრის მოგონება ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია. აი, ლიტერატურისა და ენის თეორეტიკოსები, დოქტორები და კანდიდატები: მაგალი თოდუა, ტარიელ კვანჭილაშვილი, ნოდარ ნათაძე, ზურაბ კაკაბაძე, თენგიზ ბუაჩიძე, ნოდარ ჩხეიძე, ალექსი ჭინჭარაული, მაია ნათაძე, გეჭან ბარდაველიძე, შოთა ლომსაძე; პროზაიკოსები: რეზო ინანიშვილი, თამაზ ჭილაძე, არჩილ თაყაიშვილი, თენგიზ გოგოლაძე, ლეილა სულხანიშვილი. დრამატურგები: აკაკი გეწაძე, გიგლა ხუხაშვილი; პოეტები: ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჯილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნაზი კილასონია, ნოდარ შამანაძე, მორის ფოცხიშვილი, შოთა ნიშნიანიძე; მთარგმნელთა შესანიშნავი პლეადა: თამაზ ჩხენკელი, ალექსანდრე გვახარია, ვახტანგ კეკელიძე, კარლო ძილარჯიანი...

რა ბევრია? ღმერთმა ამრავლოს. მე ხომ მხოლოდ ნაწილი ჩამოვთვალე. ამ ოცი წლის წინათ უნივერსიტეტში დავაჟკაცებულნი პირნათლად ასრულებენ საქვეყნო საქმეებს. მიყვარს მოგონება მათი ჭაბუკობისა, მათი პირველი ნაბიჯისა არა მარტო იმისთვის, რომ მაშინ გუშინდელზე ახალგაზრდა ვიყავ, არამედ იმისთვისაც, რომ მათში ვხედავდი იმას, რაც დღეს არიან“.

მათ მთელი ეპოქა შექმნეს და თავიანთი შემოქმედებით გაამდიდრეს ქართული მწერლობა. 93-ე აუდიტორიაში წაკითხული საუკეთესო ნაწარმოებები „პირველი სხივისა“ და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა. მაშინ, როდესაც ბეჭდური მედიის საშუალებები თითზე ჩამოსათვლელი იყო, ახალგაზრდა მწერლებისთვის ეს დიდი სტიმული და წარმატების საწინდარი გახლდათ.

რედაქციის კარი მათთვის ყოველთვის ღია იყო — გაზეთის მესვეურები კარგად აცნობიერებდნენ, რომ ამ ახალგაზრდებმა საკმაოდ მძიმე მისია აიღეს თავიანთ თავზე — ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ტრადიციების გაგრძელება, ამიტომ ხშირად თვალსაც ხუჭავდნენ გაუწაფავ და გაურითმავ სტრიქონებზე.

„თბილისის უნივერსიტეტის“ ფურცლებზე სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა მიხეილ ქვლივიძის, ვახუშტი კოტეტიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ოთარ და თამაზ ჭილაძეების, ტარიელ ჭანტურიას, გრიგოლ აბაშიძის, ნოდარ დუმბაძის, ნოდარ შამანაძის, დალილა ბედიანიძის, გივი ალხაზიშვილის, მაკა ჯოხაძის, ზაურ ბოლქვაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ვახტანგ ჯავახაძის, ჯემალ აჯიაშვილის, გიორგი წიბახაშვილის, არჩილ სულაკაურის, თემურ ჩალაბაშვილის, ნაირა გელაშვილის, ნომადი ბართაიას, ჯანსუღ ნიქაბაძის, შოთა ჟორჟოლიანის და სხვათა ნაწარმოებები.

კომუნისტური იდეოლოგიით თავმოხვეულ ახალგაზრდებს ხშირად „ეპარებოდათ“ სტრიქონებში სიმართლე, რასაც ვერც გაზეთის რედაქტორები „ამჩნევდნენ“. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული, ამიტომ დღეს შეიძლება ითქვას, რომ მათ ერთად გაიარეს რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა...

გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის” 85 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში სწორედ ამ შემოქმედთა მოგონებებს გთავაზობთ... დღემდე ყველას ახსოვს უნივერსიტეტის გაზეთის დამსახურება და როლი მათ წარმოჩენაში...

ეს იყო მეორე „მწერალთა კავშირი“

ინტერვიუ პოეტ ტარიელ ჭანტურიასთან



— უნივერსიტეტის გაზეთთან სტუდენტობისას აქტიურად თანამშრომლობდით... რას გაიხსენებთ?

— კარგია, რომ გაზეთის იუბილე გაგახსენდათ... ეს ნიშნავს, რომ იმ ადამიანებსაც იხსენებთ, ვინც თანამშრომლობდა ამ გაზეთთან.

85 წლის იუბილე მნიშვნელოვანი თარიღია და მეც, 80 წლის კაცს, სურვილი მიჩნდება, ამ ასაკს მივაღწიო.

უნივერსიტეტში 1951 წელს ჩავაბარე. ლანჩხუთის რაიონში, სუფსის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, რაც იმას გულისხმობდა, რომ უგამოცდოდ შემეძლო ნებისმიერ ფაკულტეტზე საბუთების შეტანა. თავდაპირველად სწავლის გაგრძელება ფიზიკის ფაკულტეტზე მინდოდა. უნივერსიტეტში განცხადების დასაწერად რომ მივედი, მდივანს ეძინა, გვერდით კი საოცარი ჟრიამული ისმოდა — მაშინ გავიგე, რომ უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მიმართულება დაარსებულა და სწორედ იქ იყო იმხელა რიგი. ფიზიკის ფაკულტეტზე შესატანი განცხადება ისე დავხიე, რომ მდივანს არ გამოუღვიძებია და იმ „რიგში“ ჩავდექი, საიდანაც ჟრიამული ისმოდა. ასე აღმოვჩნდი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

ჩემს კურსზე ყველა წერდა: ოთარ ჭილაძე, გივი გეგეჭკორი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახაძე, რეზო ინანიშვილი, თამაზ ბიბილური...

დღეს პრესამ „წალეკა“ ქვეყანა, თორემ მაშინ ისეთი ასპარეზი, ახალგაზრდა მწერალს თავი რომ გამოეჩინა, ნაკლებად იყო. ამიტომ ეს მისია, ძირითადად, უნივერსიტეტის გაზეთს და უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახს „პირველ სხივს“ ჰქონდა აღებული. ფაქტობრივად, აქ იყო მეორე ახალგაზრდა „მწერალთა კავშირი“. ასე რომ, გაზეთს ძალიან დიდი საქმე აქვს გაკეთებული ქართველი მწერლების ასპარეზზე გამოყვანის თვალსაზრისით.

— გაზეთის ხელმძღვანელობისგან ხელშეწყობა თუ გქონდათ?

— „თბილისის უნივერსიტეტს“ შესანიშნავი ადამიანები ედგნენ სათავეში: ზაურ ბოლქვაძე, ზაალ ჟვანია, გივი შეყილაძე... რედაქტორები თავიანთ უპირველეს ამოცანად მიიჩნევდნენ ახალგაზრდა, დამწყები მწერლებისათვის ხელი შეეწყოთ. გაზეთში, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის ამბებიც იბეჭდებოდა, მაგრამ იგი ლიტერატურული წრის გაზეთიც იყო, რომელმაც ახალგაზრდა მწერლების ასპარეზზე გამოსვლას დიდი სამსახური გაუწია.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ცენზურის გამო რამე არ დაებეჭდათ თქვენთვის?

— მაშინ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ლიტერატურულ წრეს ბესო ჟღენტი ხელმძღვანელობდა — კომუნისტური იდეოლოგიის ნამდვილი ადვოკატი. შემთხვევით თუ გამოეპარებოდა მის თვალს რამე, თორემ „ფეთქებადი“ აზრი — მეტაფორულიც კი, იბლოკებოდა. ჩვენი თაობა ცეკას, კაგებეს და ტეკას ყურადღების ცენტრში იყო. მახსოვს, რა რეზონანსი მოჰყვა ჩემს ლექსს „წვიმა“.

ლექსს ასეთი შინაარსით ვამთავრებდი: იმ წელს, მარტში, ნამდვილი ცრემლის წვიმა მოსულა. ცვიოდა თურმე ციდან ცრემლები: მოხუცის, ბავშვის, კაცის, ქალის... და წვიმდა თურმე კოკისპირულად... წვიმდა და წვიმდა... ეს ლექსი „მნათობში“ დაიბეჭდა. ჟურნალის განხილვას ვასილ მჟავანაძეც ესწრებოდა, რომელმაც იკითხა: — ეს რა წვიმაა, კაცო, მაინცდამაინც საქართველოში და, მაინცდამაინც, მარტში რომ მოვიდაო?! (შეფიქრიანდა, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიაზე ხომ არ ვწერდი). მნათობში ეს ლექსი ოთარ ჭილაძემ გაუშვა, რომელიც იმ დროს პოეზიის განყოფილების გამგე იყო. ელგუჯა მაღრაძეს შეეშინდა და წამოიძახა: ალბათ, ვიეტნამი იგულისხმაო! მჟავანაძემ ირონიულად ჩაილაპარაკა: მეც ასე ვიფიქრე, ვიეტნამზე ხომ არ არისთქო! - ასე ჩათავდა ეს საქმე.

ერთხელ, როდესაც მე და ოთარ ჭილაძე გაგვაკრიტიკეს, ოთარმა დამამშვიდა: რას წუხხარ, 100 კაცით მეტი მკითხველი გვეყოლებაო. რა თქმა უნდა, პრობლემები იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ვწერდით...

სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებს არ უნდა გავცდენოდით, თუმცა, 60-იანელები მაინც ვახერხებდით — საზღვრები გადაგველახა და ჩვენი სათქმელი გვეთქვა. ამ გაზეთის საშუალებითაც ხერხდებოდა რაღაცების თქმა.

— შეგიძლიათ გაიხსენოთ რომელიმე ლექსი, რომელიც უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა?

— ზაურ ბოლქვაძის ერთი ლექსი მახსენდება:

„მე პოეტი ვარ, მიწა ვარ,
ცა ვარ,
მე პოეტი ვარ, სივრცე ვარ,
დრო ვარ,
მომენატრება სიკვდილი —
წავალ,
მომენატრება სიცოცხლე —
მოვალ!“

ახლა ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ზაურს სიცოცხლე მოენატრა და მოვიდა....

— თუმცა, დამეთანხმებით, რომ გაზეთში კომუნისტური სულისკვეთების ლექსებიც იბეჭდებოდა...

— მაგას ჩვენ „პარავოზს“ ვეძახდით. კომუნისტური რეჟიმი და იდეოლოგია იყო.. ამიტომ რამის გამოქვეყნება თუ გინდოდა, სტალინზე ან ლენინზე დაწერილი ლექსი უნდა წაგემძღვარებინა წინ. ამით იმას ამტკიცებდი, რომ სანდო კაცი იყავი... ამ ხერხს ბევრი იყენებდა და, შემდეგ უკვე, ახერხებდა ხოლმე რაღაცების გახურებასაც თავისთვის... (იცინის).

— რას უსურვებთ უნივერსიტეტს, რომელსაც დაარსებიდან 95 წელი შეუსრულდა?

— ჩვენი დროის უნივერსიტეტისთვის „ტაძარი“ — ზედგამოჭრილი სახელია. ეს მართლაც, წმიდათაწმინდა ადგილი იყო. ეზოში შესულს ქუდი უკვე მოხდილი გვქონდა. სხვა სამყარო იყო. გული მწყდება, რომ ახლა ყველა „ხის ძირში“ აშენებულ სასწავლებელს უნივერსიტეტს არქმევენ და ჩვენს უნივერსიტეტსაც თითქოს ის ადგილი აღარ უჭირავს, რაც მას ეკუთვნის. თითქოს მისი ფუნქცია რაღაცით შემცირდა. ეს გულსატკენია, რადგან უნივერსიტეტი ისეთივე გამორჩეული სასწავლებელი უნდა იყოს, როგორც სორბონა, კემბრიჯი და სხვა ცნობილი უნივერსიტეტებია. კარგი იქნება, უნივერსიტეტს თავისი სახელი და დიდება დაუბრუნდეს.

გაზეთი უნივერსიტეტის ცხოვრების სარკე იყო, რომელიც რეალობას აირეკლავდა

ინტერვიუ პოეტ თემურ ჩალაბაშვილთან

— ბატონო თემურ, როგორც ახალგაზრდა პოეტმა, როდის „აღმოაჩინეთ“ უნივერსიტეტის გაზეთი?

— ჩემთვის გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ახლობელი ჯერ კიდევ აბიტურიენტობის პერიოდში გახდა, როდესაც სტაჟისთვის უნივერსიტეტის სტამბაში დავიწყე მუშაობა (მაშინ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე 2 წლის სტაჟი იყო საჭირო). გაზეთი სწორედ ამ სტამბაში იბეჭდებოდა, რომლის იმჟამინდელი ხელმძღვანელი ვახტანგ ხორბალაძე, მე, როგორც ახალგაზრდა პოეტს და აბიტურიენტს, ყველანაირად ხელს მიწყობდა. ბედნიერი ვიყავი, რადგან ჩვენ დიდ მეცნიერებთან: აკაკი შანიძესთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან, გიორგი ახვლედიანთან, არნოლდ ჩიქობავასთან და სხვებთან ურთიერთობის საშუალება მქონდა. ხშირად მაგზავნიდნენ სტამბიდან რედაქციაში, სადაც მათი ხელნაწერები მიმქონდა. ხანდახან მათთან სახლშიც მიწევდა მისვლა, ამას დიდი ხალისით ვაკეთებდი.

— რა როლს ასრულებდა გაზეთი თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში?

— როდესაც სასურველ ფაკულტეტზე მოვხვდი, საოცრად კარგი შემოქმედებითი გარემო დამხვდა. როგორც ახალგაზრდა, დამწყებ პოეტს, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გაზეთთან დაკავშირებით დაუვიწყარი მოგონებები შემომრჩა. მაშინ „თბილისის უნივერსიტეტი“ ძალიან პოპულარული გაზეთი იყო. ეს იყო უნივერსიტეტის ცხოვრების სარკე, რომელიც იმდროინდელ რეალობას აირეკლავდა. უნივერსიტეტში ლიტერატურის წრე მუშაობდა, სადაც ჩვენს



ნაწარმოებებს ვკითხულობდით და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით. ჩვენი შემოქმედების პოპულარიზაციაში გაზეთი დიდ როლს ასრულებდა და მეც, ლექსების „მჯღაბნელი“ კაცი, სად უნდა წავსულიყავი, თუ არა უნივერსიტეტის გაზეთში?

მინდა, განსაკუთრებით თბილად და მადლიერებით გავიხსენო გაზეთის იმდროინდელი რედაქტორები: ზაალ ჟვანია და გივი შეყილაძე, ასევე, სტამბის დირექტორი ვახტანგ ხორბალაძე, რომელიც წიგნის გამოცემასაც მპირდებოდა, მეუბნებოდა, ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენს თანამშრომელს წიგნს გამო-

მე-20 გვერდზე

„მწვანე აუდიტორია“ უნივერსიტეტის ბაღში

მეცხრამეტე გვერდიდან

ვუცემო. სიამოვნებით ვთანამშრომლობდი ბატონ რეზო სირაძესთან. ეს ადამიანები ყველანაირად გვიწყობდნენ ხელს, რომ ჩვენი შესაძლებლობების რეალიზება მოგვეხერხებინა.

— თქვენთან ერთად კიდევ ვისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა გაზეთში?

— ყველა იმ სტუდენტის ნაწარმოებები, ვინც კი ლიტერატურულ წრეში იყო გაერთიანებული. გაზეთში თავიანთი შემოქმედების გამოქვეყნება „არ ერცხვინებოდათ“ ცნობილ მწერლებს და შემოქმედებსაც, მათ შორის მიხეილ ქურდიანს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ იმთავითვე ფართო თვალსაწიერის ადამიანი იყო, პოეზიას არ გაჰყვა. მეუბნებოდა, ვწერ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ლექსს კიდევ „სხვა რაღაც“ უნდაო. 93-ე აუდიტორიაში ხშირად იმართებოდა პოეზიის საღამოები — ჩვენ გამოუსწორებელი რომანტიკოსები ვიყავით... ვკამათობდით სხვადასხვა საკითხებზე... ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი ტარიელ კვანჭილაშვილი იყო. იგი საუკეთესო ნიმუშების შერჩევაში გვეხმარებოდა, რომელიც შემდეგ გაზეთში იბეჭდებოდა.

გაზეთში ქვეყნდებოდა ჩემი თაობის ახალგაზრდა პოეტების: შერმადინ ქალდანის, ავთანდილ გაფრინდაშვილის, ბუხუტი კაპანაძის და სხვათა ნაწარმოებები. მართალია, ბევრი სახელი დავიწყებას მიეცა, მაგრამ მათ მაინც დატოვეს კვალი ქართულ მწერლობაში და თავიანთი სათქმელი თქვეს.

სხვათა შორის, უნივერსიტეტის გაზეთში მასალის გამოქვეყნება ხანდახან უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რესპუბლიკურ პრესაში დაბეჭდვა, რადგანაც აქ სხვა თვალი გვიყურებდა, სხვა დონის ხალხი მოღვაწეობდა, ამიტომ ამაყი ვიყავი, როდესაც ჩემი ლექსები იბეჭდებოდა.

— როგორც თქვენ ახსენეთ, დიდ მეცნიერებთანაც გქონდათ ურთიერთობა....

— დღესაც ცხადად მახსოვს ის შთაბეჭდილება, როდესაც გავიგე, რომ ჩემი ლექსები გიორგი ახვლედიანმა მოიწონა. ერთხელ კიბეებზე მძიმედ ამოდიოდა, მე დახმარება შევთავაზე, რაზედაც უარი მითხრა — ჯერ არ დავბერებულვარო. მიუხედავად ამისა, შორიახლო მივყვებოდი... თავის კაბინეტთან რომ მივედით, გამომხედა და შემიპატიჟა. საუბარში გაირკვა, რომ ჩემი სახელი და გვარი მისთვის ნაცნობი იყო — გაზეთში წაუკითხავს ჩემი ლექსები, მათ შორის, ერთი ლექსიც გაიხსენა:

„მე დიდთოვლობას ამოვალ
მთაში,
კარგო, მომინდი უცნაურ
ჟინით,
გაგეჯიბრები ლექსების
თქმაში,
და ამოგიტან ზაფხულს
ხურჯინით.
მაგრამ ვაი, თუ აღარ
გახსოვარ
და მკერდის სითბოს სულ
სხვას ჰპირდები,
მე დიდთოვლობას ამოვალ
მთაში,
გეწყინები თუ გაგიკვირდები...“

მან წითელი ფანქრით დაწერა ქაღალდზე ჩემი სახელი და გვარი. ამ ფურცელს დღესაც მოწიწებით ვინახავ.

„თქვენ ალბათ პოეტი გახდებით“, — მითხრა მაშინ ბატონმა გიორგიმ. ეს სიტყვები ჩემთვის დიდი სტიმული იყო. ის, რომ ამხელა მეცნიერმა ჩემი პატარა და უმწეო ლექსი დაიმახსოვრა, ამ გაზეთის დამსახურება გახლდათ.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის, საამაყო იყო ისიც, რომ ჩვენთან ერთად იბეჭდებოდა უკვე ცნობილი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებიც: ტაბუ მებურიშვილის, ტარიელ ჭანტურიას, შოთა ნიშნიანიძისა და სხვათა შემოქმედება. ეს ჩვენთვის დიდი პატივი და სტიმული იყო.

გაზეთს მართლაც დიდი როლი ჰქონდა, იქ იბეჭდებოდა მასალები არა მარტო უნივერსიტეტის ცხოვრებაზე, არამედ რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ამბებიც — ამიტომ ყველას ძალიან გვიყვარდა უნივერსიტეტის გაზეთი.

ნაირა გელაშვილის „გახსნილი ფრონტი“ უნივერსიტეტის გაზეთში

ინტერვიუ მწერალ ნაირა გელაშვილთან

— ქალბატონო ნაირა, 1989-1991 წლებში, უნივერსიტეტის გაზეთში თქვენი ერთი მნიშვნელოვანი სტატია დაიბეჭდა, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. როგორ მოხვდა ეს სტატია გაზეთის ფურცლებზე?

— 1988 წელს გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ჩემთან ინტერვიუ, რომელსაც ახალგაზრდა ჟურნალისტი მალხაზ რაზმაძე უძღვებოდა. ეს იყო პირველი ინტერვიუ, პირველი ხმამაღალი განაცხადი, სადაც მხილებული იყო საბჭოთა რეჟიმი (რადგან მანამდე იყო ცენზურა და არსად არაფერი იბეჭდებოდა). ინტერვიუ ძალიან კრიტიკული იყო, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, თუ რას წარმოადგენდა კომკავშირი, რა იყო საბჭოთა რეჟიმი, რატომ არ უნდა იდგეს ქალაქში სერგო ორჯონიკიძის ძეგლი და ა.შ. საზოგადოებაში ამ სტატიამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, კომკავშირის ცეკაში კი საგანგებო სხდომა გაიმართა — დაიბარეს გაზეთის მუშაკები და ყველა მოხსნეს, მათ შორის მალხაზ რაზმაძეც, რაც ძალიან განვიცადე.

დავწერე სტატია, სადაც შევეცადე, რომ ყველაფერზე პასუხი გამეცა, მაგრამ ვერც ერთმა გაზეთმა ვეღარ გაბედა დაბეჭდვა. ბოლოს უნივერსიტეტის გაზეთმა აიღო თავის თავზე ეს მისია. შეგახსენებთ, რომ ეს მაშინ დიდი გმირობის ტოლფასი იყო, რადგან პასუხი ასჯერ უფრო მწვავე, კრიტიკული, მძაფრი და დაუნდობელი იყო, სადაც გაშიფრული მქონდა რამდენად მძიმე იყო კომუნისტური რეჟიმის დროს ჩვენი ცხოვრება.

სტატიას, სახელწოდებით: „გახსნილი ფრონტი“, დიდი რეზონანსი მოჰყვა. გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. ხელისუფლების მხრიდან კი კვლავ უკმაყოფილო რეაქცია წამოვიდა. ამიტომ დღესაც მადლობელი ვარ უნივერსიტეტის გაზეთის, რომ იმ დროს ჩემი სტატია დაბეჭდა. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამაში, გარკვეულწილად, იმ სტუდენტების დამსახურებაც არის, რომლებიც მაშინ აქტიურად იყვნენ ჩართულები ეროვნულ მოძრაობაში. მათ შორის იყვნენ: დათო ტურაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, თედო ისაკაძე და სხვები. (ეს წერილი შესულია ჩემს კრებულში „ტრაგიკული გრადაცია“, რომელშიც პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილებია თავმოყრილი).

ის ფაქტი, რომ ასე აქტიურად ჩაერთო უნივერსიტეტის გაზეთი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეში, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს სხვებისთვისაც კარგი მაგალითი გახდა.

— რას უსურვებდით 85 წლის იუბილის წლისთავზე უნივერსიტეტის გაზეთს?

— იუბილესთან დაკავშირებით მინდა, გაზეთს წარმატება ვუსურვო. ჩემი აზრით, გაზეთი დღესაც უნდა იყოს სტუდენტობის მუხტის გამომხატველი. სტუდენტი არ უნდა შეეგუოს უსამართლობას. უფროსმა თაობამ ძალიან ბევრი გადაიტანა, მაგრამ არ შეგუებია არც ერთ უმსგავსობას — ეს იყო 90 წლების აგრესიული ნაციონალიზმი, საშინელი კორუფცია, არასწორად წარმართული შიდა პოლიტიკა აფხაზებთან და ოსებთან, კონფლიქტები თუ სხვა ბევრი რამ. ამგვარი უსამართლობების მიმართ სტუდენტს მეტი მგრძნობელობა უნდა ჰქონდეს. ახალგაზრდა არ უნდა იყოს კონფორმისტი. ის, რაც ოქტომბრის არჩევნების დროს ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ყველასათვის მოულოდნელი იყო — ჩვენმა სტუდენტებმა, რომლებზეც ყველას ხელი გვქონდა ჩაქნეული, თავისი სამართლიანი პროტესტი გამოხატეს უსამართლობის წინააღმდეგ. ვუსურვებ მათ, რომ ასე გააგრძელონ — ეს ყველაფერი კი უნივერსიტეტის გაზეთმა უნდა ასახოს.

არასდროს შეგვიქმნია კონიუნქტურული ლიტერატურა

ინტერვიუ პოეტ გივი ალხაზიშვილთან

— ბატონო გივი, თქვენი თაობის ადამიანები ბევრს საუბრობენ უნივერსიტეტის გაზეთის მნიშვნელობაზე, თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?

— უდავოდ მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის გაზეთი ყველა თაობისთვის. 1961 წელს ჩავირიცხე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც, ტრადიციულად, მომავალი მწერლების უმეტესობა სწავლობდა. ლექსებს მანამდეც ვწერდი და ვბეჭდავდი კიდეც გაზეთებში „ნორჩი ლენინელი“ და „ქუთაისი“. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის გაზეთთან განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა.

ჩემი სტუდენტობის პერიოდში გაზეთის რედაქტორი ირაკლი ვეშაპიძე იყო. მეგობრებმა მირჩიეს, რომ მასთან მიმეტანა ჩემი ლექსები. 17 წლის ბიჭი ვიყავი და ძალიან მოკრძალებულად მივედი რედაქციაში. გაზეთის რედაქტორის მოადგილე ზაურ ბოლქვაძე იყო. პირველად მან წაიკითხა ლექსები, მოეწონა და ირაკლისთან რეკომენდაცია გამიწია. ბედნიერი ვიყავი, როდესაც ლექსები დაიბეჭდა. ზაური ხშირად შემწყნარებელი იყო ჩვენი შემოქმედების მიმართ, შენიშვნებსაც გვაძლევდა, მისი დღესაც მადლობელი ვარ. შემდგომში ჩვენი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა. ექსპრომტებსაც მიძღვნიდა.

— რამდენად პოპულარული იყო გაზეთი სტუდენტებში?

— მაშინ გაზეთი იყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ურთიერთობის გაღრმავების და თავის დამკვიდრების ერთერთი საშუალება. მთელი უნივერსიტეტი კითხულობდა გაზეთს. ჩემი სტუდენტობის დროს ლიტერატურას დიდი ყურადღება ექცეოდა, გაზეთი კი აქტიური მონაწილე იყო ლიტერატურული პროცესის — ცალკე იყო ლიტერატურული გვერდები, სადაც სტუდენტების შემოქმედება იბეჭდებოდა, თუმცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც კურსდამთავრებულები კვლავ მიდიოდნენ თავიანთი ნაწარმოებების დასაბეჭდად.



— კომუნისტური რეჟიმის დროს თქვენი სათქმელის ღიად გამოხატვას როგორ ახერხებდით?

— საბჭოთა იდეოლოგია პირადად არასდროს მხიბლავდა, თავიდანვე ანტიკომუნისტურად ვიყავი განწყობილი. ჩემზე გავლენა მოახდინეს იმ ადამიანებმა, რომლებთანაც ურთიერთობა მქონდა. 60-იან წლებში ხშირად ვიკრიბებოდით უნივერსიტეტის ბაღში მე და ჩემი მეგობრები: ჯემალ აჯიაშვილი, ნომადი ბართაია, ჯარჯი ფხოველი, თედო ბექიშვილი, ედუარდ ფალიანი, ომარ გოგიჩაიშვილი, იური ბაქანიძე, სოსო პაიჭაძე და სხვები. ბევრი, სამწუხაროდ, ცოცხალი არ არის. უნივერსიტეტის ბაღში პირველივე სკამთან იყო ჩვენი შეკრების ადგილი, ხის ძირში — ეს იყო „მწვანე აუდიტორია“, სადაც არანაკლებ ცოდნას ვიღებდით. აქ ხშირად მოდიოდნენ შოთა ჩანტლაძე, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია. ყველას გამოკვეთილად ანტიკომუნისტური აზროვნება გვქონდა, ფობიად გვექცა საბჭოთა რეჟიმის სიძულვილი, ამიტომ არასდროს შეგვიქმნია კონიუნქტურული ლიტერატურა.

იმ სურნელს ვერაფერი შეედრება

ინტერვიუ პოეტ ნომადი ბართაიასთან

— როგორ გაიხსენებთ გაზეთში თქვენს მოღვაწეობას?

— გასახსენებელი ბევრი მაქვს, მაგრამ განსაკუთრებით მის ფურცლებზე ჩემი პირველი გამოჩენა მახსოვს. თბილისში მარტვილის რაიონის სოფელ ლეხაინდრადან ჩამოვედი. მაშინ უნივერსიტეტი ჩემს წარმოსახვაში მიწაზე არ იდგა, ის ცაში იყო, სადღაც... შესაბამისად, ჩემი პროფესორ-მასწავლებლებიც ზეციურ არსებებად მიმაჩნდა. ამ ფონზე, რა წარმოდგენაც მქონდა უნივერსიტეტის გაზეთზე, ადვილი მისახვედრია.

მაშინ უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორი იყო ირაკლი ვეშაპიძე, მოადგილე — ზაურ ბოლქვაძე. გაზეთს ახალბედა ავტორებისთვის ლიტერატურული გვერდი ჰქონდა შემოღებული, რომელსაც ზაური უძღვებოდა. იგი ლიტერატურულ შეხვედრებზე გავიცანი (მაშინ უნივერსიტეტში ასეთი შეხვედრები ხშირად იმართებოდა). იგი ცხოვრებაშიც ისეთივე თბილი და სიყვარულით სავსე იყო, როგორც მისი ლექსებია. სწორედ ზაურმა შემომთავაზა ჩემი ლექსების დაბეჭდვა უნივერსიტეტის გაზეთში.

— რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის უნივერსიტეტის გაზეთში თქვენი ლექსების დაბეჭდვა?

— ჩემთვის ეს შემოთავაზება მოულოდნელი იყო, ნაადრევად ვთვლიდი ჩემი ლექსების დაბეჭდვას, მაგრამ ცდუნება დიდი აღმოჩნდა და შევუდექი საკუთარი ნაღვაწის გადაწერას. ვინ იცის, რამდენჯერ გადავწერე ისინი ქალაქის მაღაზიებში სპეციალურად შერჩეულ ქაღალდის ფურცლებზე. მეგონა, ქაღალდის ხარისხი წყვეტდა ჩემს ბედს.



კარგა ხანს მაინც ვერ ვბედავდი რედაქციის კარის შეღებას. როგორც იქნა, მივიტანე ჩემი ლექსები და იმ დღიდან დაიწყო ჩემი წამებაც. გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ, პარასკეობით და მეც, პარასკევიდან პარასკევამდე გაზეთზე ფიქრით ვაღამებდი და ვათენებდი. ასე გავიდა ერთი თვე, ორი... მესამე თვე კი გაუსაძლისი გახდა. პარასკევის წინა ღამეებს თეთრად ვათენებდი, თვალს თუ მივლულავდი, წინ უნივერსიტეტის გაზეთი ამიფრიალდებოდა....

როგორც იქნა დაადგა საშველი მის გამოსვლას, მაგრამ ამ დროს სემესტრი მი-

21-ე გვერდზე

„მწვანე აუდიტორია“ უნივერსიტეტის ბაღში

ოცდამეერთე გვერდიდან

ლეული იყო და სტუდენტობაც და პროფესორ-მასწავლებლებიც ქალაქიდან თითქმის გაკრეფილი იყო. მაინც არ ვუჩიოდი ბედს... ზაურს ავტორებისთვის ცარცის ფურცელზე დაებეჭდა გაზეთის გარკვეული რაოდენობა და რამდენიმე ცალი მეც მომცა. მას მერე რამდენი რამე დამიბეჭდავს გაზეთებში და რამდენი წიგნი გამომიცია, მაგრამ იმ სურნელს ვერაფერი შეედრება — გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ რომ გამოჰყვა ნახევარი საუკუნის წინ და რომელიც დღემდე მომყვება.

„თბილისის უნივერსიტეტმა“ და მის ირგვლივ შემოკრებილმა ჩემზე უფროსი თაობის ადამიანებმა, რომელთა სახელებს მხოლოდ იმიტომ არ ჩამოვთვლი, რომ ვინმე არ გამომრჩეს, დიდი როლი შეასრულეს ჩემს სულიერად ჩამოყალიბებაში.

გაზეთში უნდა ჩანდეს ქვეყნის მაჯისცემაც

ინტერვიუ მწერალ მაკა ჯოხაძესთან

— ქალბატონო მაკა, უნივერსიტეტის გაზეთში დამწყები, ახალგაზრდა მწერლები სიამოვნებით აქვეყნებდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს თქვენთვის?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის განყოფილებაზე ვსწავლობდი. მართალია, უნივერსიტეტის გაზეთში ჩემი რამდენიმე პუბლიკაცია და რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა, მაგრამ იმის გამო, რომ პარალელურად მუსიკალურ ტექნიკუმშიც ვსწავლობდი და დაკავებული ვიყავი, ისე ინტენსიურად გაზეთთან ვერ ვთანამშრომლობდი. სახლში დღესაც შენახული მაქვს გაზეთის ის ნომერი, სადაც ჩემი ესკიზებია დაბეჭდილი, რომელსაც თან ფოტოც ახლავს. მართალია, მაშინ ასპირანტი ვიყავი და ჩემი ნაწარმოებები უკვე იბეჭდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში“ და „ცისკარში“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის გაზეთში მათი გამოქვეყნება ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

— რა როლს თამაშობდა გაზეთი სტუდენტების ცხოვრებაში?

— მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გარდა შიდა საუნივერსიტეტო ცხოვრებისა, უნივერსიტეტის გაზეთში იბეჭდებოდა მასალები კულტურის, მეცნიერების სიახლეებზე, გაზეთის საშუალებით ვეცნობოდით გამორჩეულ სტუდენტებს — არა მარტო პოეტებს, არამედ ქიმიკოსებს, ფიზიკოსებს, იურისტებს და ა.შ., რაც ხელს უწყობდა სტუდენტების დაახლოებას. სამწუხაროდ, დღეს ხშირად სტუდენტები ერთმანეთს არ იცნობენ.

— თქვენ, რამდენადაც ვიცი, უნივერსიტეტის შემდეგაც გქონდათ გაზეთთან ურთიერთობა...

— გაზეთის რედაქტორი გივი შეყილაძე ყოველთვის გულღიად მთავაზობდა თანამშრომლობას. დაახლოებით 10 წლის წინაც გამიხსენა და ვრცელი ინტერვიუ დაბეჭდა ჩემთან. ამ გაზეთში თანამშრომლობა სასურველიც იყო და საპატიოც. ალბათ, ასეთი დატვირთვა რომ არ მქონოდა, უფრო აქტიურად ვითანამშრომლებდი.

— რას უსურვებთ გაზეთს და იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ გაზეთთან თანამშრომლობა?

— სტუდენტობის წლები საუკეთესოა ადამიანის ცხოვრებაში. ჩემთვისაც ასე იყო. ჩემი მშობლებისგან მესმოდა, რომ ეს იყო „ცოდნის ტაძარი“. ეს განცდა ყოველთვის თან მდევდა. მიუხედავად იმისა, ბევრი ისეთი ლექცია გვეკითხებოდა, სასურველი იყო, საერთოდ არ გვესწავლა. დღეს თავისუფლებაზე ბევრს ვსაუბრობთ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩვენი თაობა არანაკლებ თავისუფალი იყო აზრის გამოხატვის დროს. ჩემს ჯგუფში სწავლობდნენ: ბადრი ჭოხონელიძე, ლევან ბრეგაძე, ზურაბ ინაშვილი, რამაზ გიორგობიანი, ნაზი შამანაური, ლონდა ჯიქია, ვახტანგ ჩიქოვანი და სხვები. ლექტორებიც ისეთი გვყავდა, რომ არ გვეშინოდა მათთან ჩვენი აზრის გამოთქმა — ყოველთვის თავისუფლად ვსაუბრობდით, რა მოგვწონდა და რა — არა. ამას უნივერსიტეტის გაზეთიც უწყობდა ხელს. დღევანდელი გადასახედიდან უკეთესი იქნება, თუ გაზეთი უფრო მეტად კრიტიკული იქნება, ამის საშუალება ახლა უფრო არის. ჩემი სურვილია, გაზეთი იყოს თავისუფალი, უკომპლექსო და უკომპრომისო... სტუდენტობის წლები ის პერიოდია, როდესაც ცოტა რადიკალიც ხარ, მაგრამ ამავე დროს — მართალი შენს გრძნობებში. თქვენი გაზეთის საშუალებით ახალგაზრდებმა ღიად უნდა გამოხატონ თავიანთი პოზიცია. გაზეთში აუცილებლად უნდა ჩანდეს არა მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო, არამედ ქვეყნის მაჯისცემაც.

მასალა მოამზადა

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲘᲐᲦᲡᲕᲚᲔᲑᲘ

მაია თავხელიძე გაზეთის იუბილეს მოსკოვიდან ეხმიანება

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

2001 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ თაოსნობით ჩვენი თანამემამულის, მოსკოვის მე-19 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის — მაია თავხელიძის პოეტური კრებულის — „Яблоня в саду“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც გულწრფელი აღფრთოვანებით შეხვდა ქართული საზოგადოება. მაიკოს ლექსები გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტშიც“ დაიბეჭდა. „პატარა საოცრება“, — ასე შეაფასეს მაშინ 13 წლის გოგონას შემოქმედება მწერლებმა და ლიტერატორებმა.

პატარა შემოქმედის წარმატება მაშინ ყველაზე მეტად, ალბათ, მის ბაბუას, თანამედროვე მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, მსოფლიოში ცნობილ ფიზიკოსს ალბერტ თავხელიძეს გაუხარდა, რომელიც მეტად ამაყობდა შვილიშვილის ტალანტით. შვილიშვილმა სწორედ მის 70 წლის იუბილეს უძღვნა თავისი პირველი კრებული. თავად მაიკო დღესაც ემოციურად იხსენებს იმ დღეს: „არასოდეს დამავიწყდება ის აღტაცება და სიხარული, რაც განვიცადე, როდესაც კრებულის პრეზენტაციის შემდეგ დავინახე ჩემი ლექსები დაბეჭდილი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“.

კრებულის წინასიტყვაობაში ზაზა აბზიანიძე წერდა: „ძნელი სათქმელია, როგორ პროფესიას აირჩევს მომავალში მაიკო თავხელიძე — სახელოვანი პაპის ნაკვალევს გაჰყვება თუ მშობლების მაგალითისამებრ, რაიმე „სიურპრიზს“ შესთავაზებს ახლობლებს. ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება. 12 წლის მაიკო სრულიად ჩამოყალიბებული პიროვნებაა — გამოკვეთილი წარმოდგენებით კარგსა და ავზე, ღირსებასა და უღირსობაზე, თავისი ჩაფიქრებით სიკვდილ-სიცოცხლეზე, თავისი საიდუმლოებებითა და დრამებით, რომელიც ესოდენ ხშირად „უმნიშვნელოდ“ გვეჩვენება უფროსებს და რომელნიც, მერე, ათეული წლების განმავლობაში გვდევენ და სიმშვიდეს გვიკარგავენ“.

დღეს მაია თავხელიძე რუსეთის საინფორმაციო მაუწყებლის არხის „როსსია 24“ საავტორო პროგრამის „კორპორაცია მონსტროვ“-ის წამყვანია და წარმატებით მოღვაწეობს თავის სფეროში. იგი გაზეთის იუბილეს მოსკოვიდან ეხმიანება და წარმატებებს უსურვებს.

„დიდი სიხარულით ვულოცავ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთს დაარსებიდან 85 წელს. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ მუდამ ფართოდ და მკაფიოდ ასახავდა საქართველოს ცოდნის ტაძრის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებას. გაზეთის მრავალი ფურცელი დასჭირდება იმ გამოჩენილ ადამიანთა სახელების ჩამოთვლას, რომელთაც უნივერსიტეტის კედლებში გამოზრდილებმა, მთელს მსოფლიოს მოჰფინეს თავისი მიღწევები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. კიდევ ერთხელ გულწრფელი საუკეთესო სურვილებით ვულოცავ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციას და მის რედაქტორს ნინო კაკულიას ამ შესანიშნავ იუბილეს“, — გვწერს მაია თავხელიძე მოსკოვიდან და მადლობას გვითვლის, რომ უნივერსიტეტის გაზეთმაც შეუწყო ხელი მის პოპულარიზაციას.

ზურაბ ჭიაბერაშვილის პირველი მცდელობა პოეზიაში

— ბატონო ზურაბ, უნივერსიტეტის გაზეთში 1991 წელს დაგიწერიათ ლექსი „წვიმა“. თუ გახსოვთ ამის შესახებ...

— თვითონ ეს ლექსი არ მახსოვდა, თქვენ გამახსენეთ, თუმცა ფაქტი და მოვლენა, რასთან დაკავშირებითაც დავწერე ეს, ძალიან ტრაგიკული იყო. ლექსი ჩემი მეგობრების და თანაკურსელების დათო ჯორბენაძის და ზაზა როინიშვილის ხსოვნას ეძღვნება, რომლებიც 1991 წლის 19 აპრილს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ ტრაგიკულად დაიღუპნენ. ეს ლექსი რამდენიმე თვის შემდეგ დავწერე. არ მახსოვდა უნივერსიტეტის გაზეთში რომ იყო გამოქვეყნებული. სხვათა შორის, ამ ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებით გამოვიდა რამდენიმე ბუკლეტი, რომელიც დაღუპული სტუდენტების კურსელებმა გავაკეთეთ.

— საერთოდ წერდით ლექსებს?

— ისეთ ფაკულტეტებზე, როგორიც იყო ფილოლოგია, ჟურნალისტიკა, სადაც ვსწავლობდი, ბუნებრივია ბევრი ცდიდა კალამს. მაგრამ ჩემი მხრიდან ეს არ იყო რაიმე სერიოზული მცდელობა...

— უნივერსიტეტის გაზეთთან თუ თანამშრომლობდით?

— რამდენიმე წერილი შეიძლება მქონდეს გამოქვეყნებული.

— ესე იგი კალამი გიჭრიდათ?

— ასე არ ვიტყოდი, მაგრამ ისე, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ვთანამშრომლობდი, ოღონდ პოეზიის მიმართულებით — არა.

— უნივერსიტეტის გაზეთის მნიშვნელობაზე თუ შეგიძლიათ რამდენიმე სიტყვა გვითხრათ?

— ჩვენთვის, იმ პერიოდის ჟურნალისტებისთვის, გაზეთი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ყველა ნომერს ყურადღებით ვეცნობოდით. ეს, ალბათ, ტრადიციაც იყო... ჩემთვის უცნობია დღეს რამდენად აქცევენ ყურადღებას, ზოგადად, პრესას, მაგრამ ჩვენს დროს არ იყო ინტერნეტი და სოციალური ქსელები, ამიტომ გაზეთის კითხვის კულტურა მაშინ საკმაოდ მაღალი იყო. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის გაზეთი გახლდათ ერთერთი მნიშვნელოვანი ფორუმი აზრთა გაცვლა-გამოცვლის და, ვფიქრობ, იგი დღესაც მნიშვნელოვანია.

— თქვენი აზრით, გაზეთი ცენზურას რამდენად განიცდიდა მაშინ?

— არა მგონია, რომ რაიმე ცენზურა იყო. ჩემი სტუდენტობის პერიოდი დაემთხვა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებს და რაიმე შეზღუდვა ამ თვალსაზრისით ნამდვილად არ მახსოვს. გაზეთს სწორედ იმისთვის ვკითხულობდით, რომ ძალიან საინტერესო მასალები იბეჭდებოდა იმ ცხოვრების შესახებ, რაც მაშინ ქვეყანაში დუღდა.

როგორც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, მინდა თქვენს გაზეთს 85 წლის იუბილე მოვულოცო და წარმატებები ვუსურვო.

უნივერსიტეტის გაზეთს „დემოკრატიულ მედია-კუნძულად“ მივიჩნევდით

ინტერვიუ პოლიტიკოსთან დავით ბერძენიშვილთან

— ბატონო დავით, თქვენ თსუ დაამთავრეთ. თუ გქონდათ შეხება თსუ-ის გაზეთთან და რით დაგამახსოვრდათ იგი?

— 1979 წელს გავხდი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი და წლების განმავლობაში ყველაზე დიდ დროს უნივერსიტეტის ბაღში ვატარებდი. დღისით ვსწავლობდი, ღამით რესპუბლიკური პარტიის არალეგალურ ჟურნალ „სამრეკლოს“ ვბეჭდავდი და მერე ვავრცელებდი. დღემდე კარგი დამოკიდებულება მაქვს უკვე ასაკოვან ჩემს ლექტორებთან, პროფესორებთან... ზოგი მათგანი აღარ არის უკვე ცოცხალი.

როდესაც 1983 წლის ივნისში უშიშროების კომიტეტმა დამაპატიმრა, ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ — საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ დაწერა განცხადება, სადაც იმაზე მეტად მაქო, ვიდრე ვიმსახურე და კგბ-ს ეს არ მოეწონა. მერე ჩემს დეკანს, ბატონ ნოდარ ასათიანს სთხოვეს დახასიათების დაწერა. მანაც ქალბატონი მარიამის სიტყვები დაიმოწმა და მსგავსი შინაარსის დახასიათება დაწერა... მოკლედ, ვერ მოიგო მაშინ უშიშროების კომიტეტმა ჩემს პროფესურასთან ბრძოლა.

უნივერსიტეტში სხვა გარემო იყო... საბჭოთა პერიოდში, ძირითადად, უნივერსიტეტში იყო აკუმულირებული თავისუფალი აზრი. 1978 წელს, ჯერ კიდევ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი (სკოლის დამთავრების შემდეგ იქ ვსწავლობდი წელიწადნახევარი, მერე გადავედი უნივერსიტეტში) და 14 აპრილს გეპეიში არ მივსულვარ, უნივერსიტეტის ეზოში ვიდექი, რადგან დემონსტრაციის ეპიცენტრი სწორედ იქ იყო. ჩვენი მეგობრები სხვა ინსტიტუტებიდან უნივერსიტეტის ბაღში იკრიბებოდნენ. მახსოვს, ყოველი მომდევნო 14 აპრილი იყო აღნიშვნის წელი და მთელი უნივერსიტეტის პროფკავშირების ფულს ჩვენ გვახარჯავდნენ, რომ თბილისში არ ვყოფილიყავით — ხან სამარყანდში გვიშვებდნენ, ხან ჟინვალში ექსპედიციაზე და ხანაც — წყნეთში.

მახსოვს, უკვე ნასამართლევმა, პატიაშვილის მმართველობის საწყის ეტაპზე დავიცავი დიპლომი. მაშინ საქართველოში ჯერ კიდევ არ ქროდა „პერესტროიკის“ და „გლასნოსტის“ სიო, მაგრამ მარიამ ლორთქიფანიძემ და მთელმა კათედრამ მომცეს საშუალება, 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის თემაზე დამეცვა დიპლომი. შემდეგ ჩემი დიპლომის ფრაგმენტები დაიბეჭდა.

უნივერსიტეტი ჩემი სტუდენტობის დროსაც ავანგარდში იყო და მომდევნო თაობის დროსაც. უკვე 80-იანი წლების ბოლოს სწორედ უნივერსიტეტში გაიშალა ახალი ტალღა — დათო ტურაშვილის, ფიქრია ჩიხრაძის, თედო ისაკაძის და ბევრი სხვა ადამიანის ირგვლივ იკრიბებოდა „სახეები“. სწორედ ეს ხალხი იყო, რომელიც გაზეთის გამოცემაში აქტიურად იყო ჩართული. მაშინ თავისუფალი მედია, ფაქტობრივად, არ არსებობდა. იყო მხოლოდ უნივერსიტეტის გაზეთი და „სტუდენტური ფურცელი“, რომელთანაც მეც ვთანამშრომლობდი. მახსოვს, საკმაოდ ვრცელი სტატია გამოვაქვეყნე აჭარის ავტონომიის წინამძღვრებზე, ანუ რა ვითარება იყო 1918-1920 წლებში ავტონომიასთან მიმართებაში? რა იდეები იყო ბათუმის ოლქის ავტონომიურობასთან დაკავშირებით, ანუ როგორი ავტონომია უნდა გვქონოდა ჩვენ. ახლაც რომ ვიხსენებ, რასაც ვწერდი, არ მრცხვენია, რადგან მგონია, რომ კარგად ვწერდი.

— თუ გზღუდავდათ ვინმე – გეწერათ თავისუფლად გაზეთში?

— წერილი დავწერე და ერთი სიტყვაც არ შემიცვლია, რადგან უნივერსიტეტში და მის გაზეთში თავისუფლების სიო უკვე ძალუმად ქროდა. ეს იყო 1989-1990 წლები. ამ ტიპის სტატიები არ იბეჭდებოდა ოფიციალურ საბჭოთა პრესაში, მაგრამ პატარ-პატარა დემოკრატიულ მედია-კუნძულებში მისი დაბეჭდვა უკვე შეიძლებოდა. უნივერსიტეტის გაზეთი, ამ მხრივ, რამდენიმე თვის, შეიძლება ერთი წლის განმავლობაშიც, ლამის ერთადერთი ასეთი მედია-კუნძული იყო ქვეყანაში. იყო არაფორმალური პრესა; იყო ოფიციალური საბჭოთა მედია და იყო რამდენიმე „დემოკრატიული მედია-კუნძული“, რომელიც უფრო კვალიფიციური გახლდათ, ვიდრე არაფორმალური პრესა და უფრო წესიერი, ვიდრე ოფიციალური მედია.

— და ასეთ „დემოკრატიულ კუნძულად“ თვლით იმ პერიოდის უნივერსიტეტის გაზეთს?

— კი, ეს ასე იყო. საკმაოდ პრეტენზიული ვიყავი შერჩევაში, თუ სად დავბეჭდავდი წერილს და ჩავთვალე, რომ უნივერსიტეტის გაზეთში ეს შეიძლებოდა, რადგან მასში აღარ იგრძნობოდა საბჭოთა პროპაგანდა. ეს უკვე თავისუფალი გაზეთი იყო. 80-იანი წლების ბოლოს უნივერსიტეტის გაზეთზე დიდი მოთხოვნილება იყო მთელ საზოგადოებაში.

— ჩვენ გვინდა ქვეყანაში ცვლილებებს ჩვენი ინიციატივაც დავუკავშიროთ და აღსდგეს ის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის სტუდენტები თავისუფლად გამოხატავდნენ მოსაზრებას ყველა სფეროში, პოლიტიკა იქნება ის თუ სოციალური სფერო. გარდა სამეცნიერო ტიპის სტატიებისა, უნივერსიტეტის გაზეთის საშუალებით სტუდენტები უნდა ეხმიანებოდნენ დღევანდელობას. როგორ ფიქრობთ, რამდენად საჭიროა ეს ფუნქცია აღიდგინოს უნივერსიტეტის გაზეთმა, რათა სტუდენტებმა იგრძნონ მასთან კავშირი?

— გაზეთის პრობლემა ცალკე ვერ გადაიჭრება. უნივერსიტეტის ავტონომიურობა უნდა აღდგეს. ახლა ჩვენ პოსტსაბჭოთა საქართველოში აღარ ვცხოვრობთ. როცა ვამბობთ, რომ ავტონომიურობა უნდა აღდგეს, ვგულისხმობთ, რომ უნივერსიტეტს ის რექტორი უნდა ჰყავდეს, ვისაც უნივერსიტეტი პოლიტიკური წნეხის გარეშე აირჩევს. „ნაცმოძრაობის“ კონტროლირებადი სტუდენტური თვითმმართველობა „ოცნების“ კონტროლირებადი თვითმმართველობით არ უნდა ჩანაცვლდეს.

რეალურად, როგორც კი დავინახავთ, რომ უნივერსიტეტში თავისუფლების ხარისხი გაიზარდა, მაშინ გაზეთის თავისუფლების ხარისხიც მეტი იქნება და გაზეთი თავად განსაზღვრავს, რომ ყველა საჭირბოროტო საკითხზე წეროს. იმედი მაქვს, რომ ეს რეალიზებული იქნება. მაშინ ჩავთვლი, რომ ჩემი ყოფნა ხელისუფლებაში სწორი არჩევანია. დღეს არის პირველი შემთხვევა, როცა ვხელისუფლობთ და, ბუნებრივია, მინდა, ჩემი არჩევანი გამართლდეს. იმედი მაქვს, რომ ნდობა თუნდაც პრემიერ-მინისტრისადმი, ბიძინა ივანიშვილისადმი, რეალიზებული იქნება უკვე განათლების სფეროშიც და, თავისთავად, უნივერსიტეტთან მიმართებაშიც.

მოამზადა **ნინო კაკულია**

თან პრესა და თან პრესი...

ინტერვიუ პოლიტიკოსთან ფიქრია ჩიხრაძესთან

მაია ტორაძე

— როგორ გაჩნდა „სტუდენტური ფურცელი“ უნივერსიტეტის გაზეთში იმ ცენზურის პირობებში, რაც მაშინ უნივერსიტეტში იყო?

— „სტუდენტური ფურცელი“ გაჩნდა სტუდენტური მოძრაობის კვალდაკვალ. ეს გააჩინა რეალურმა მოთხოვნებმა. ჩვენი მოძრაობა, რომელსაც შემდგომ პრეს-კლუბელების მოძრაობა და უნივერსიტეტის მოძრაობა ერქვა, დაიწყო ორი მოვლენით — ეს იყო სტუდენტური მოძრაობის მობილიზება ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის წინააღმდეგ და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად დაწყებული კამპანია. ამ საკითხებში ძალიან მომზადებულნი ვიყავით და ბუნებრივად გაჩნდა სურვილი, რომ ჩვენი შეგროვებული მასალა გამოგვეყენებინა. დავწერეთ წერილი ტრანსკავკასიური რკინიგზის თაობაზე, რომელსაც მაშინდელმა აქტიურმა ახალგაზრდებმა მოვაწერეთ ხელი. ეს იყო კვალიფიციური და დასაბუთებული წერილი, რომელიც ვერსად ვერ გამოვაქვეყნეთ. მაშინ არსებობდა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ და, ბუნებრივია, მივედით ,,ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში, რადგან ვთვლიდით, რომ ამ გაზეთს აქტუალურ პრობლემაზე ახალგაზრდების წერილი უნდა დაებეჭდა. ეს პროცესი გაიწელა დაახლოებით თვეზე მეტი. რედაქციაში გვეუბნებოდნენ, რომ წერილს ვერ დაგიბეჭდავთო, ჩვენ კი ოფიციალურ პასუხს ვითხოვდით. ამ პროცესმა ისეთი ხასიათი შეიძინა, რომ მივხვდით — სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო ჩვენი ნააზრევის ხალხამდე მიტანა. დიდი დავიდარაბის შემდეგ, როცა მიხვდნენ, რომ ჩვენ არ ვაპირებდით ხელის ჩაქნევას, ჩვენი წერილი დაიბეჭდა, თუმცა მას სარედაქციო მინაწერი გაუკეთდა თითქმის იმხელა, რამხელაც ჩვენი წერილი იყო. ამ მინაწერში გააცამტვერეს ჩვენი ნააზრევი. მინაწერში ნათქვამი იყო, რომ ახალგაზრდებს ტვინს ურევენ, აბრიყვებენ, იყენებენ რაღაც მიზნებისთვის და ა.შ. ამან საზოგადოებაში დიდი პროტესტი გააჩინა და ბევრი მხარდამჭერიც გამოგვიჩნდა.

ზოგადად, ეს პროცესი დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის წინააღმდეგ ჩვენ უკვე რამდენიმე ხმაურიანი შეხვედრა მოვაწყვეთ უნივერსიტეტში, ვმონაწილეობდით მწერალთა კავშირში გამართულ შეხვედრაშიც. რეზონანსი დიდი იყო და უკვე პროტესტის ტალღაც აგორდა.

შემდეგ ჩვენთან შესახვედრად უნივერსიტეტში მაშინდელი ცეკას მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი მოვიდა. ამ შეხვედრის ჩანაფიქრი იყო ჩვენი შემადგენლობის დატუქსვა. მაშინ დისიდენტობა საგინებელ სიტყვად ითვლებოდა და ჩვენთვის უნდა დაესაბუთებინათ, რომ დისიდენტების გავლენის ქვეშ ვიყავით მოქცეულნი. გადაჭედილი იყო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი. წინასწარ იყო დადგმული — ვინ გამოვიდოდა სიტყვით. ხუმრობა ხომ არ იყო — ცეკას მდივანი ესწრებოდა შეხვედრას. მახსოვს, ჩვენ მეორე რიგში ვისხედით. სიტყვით გამოვედით მე, დათო ტურაშვილი და თედო ისაკაძე და სწორედ მაშინ შემოტრიალდა სერიოზულად სიტუაცია. ეს ყველაფერი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და, უცებ, მთელი საქართველო ხედავს, რომ უნივერსიტეტში ცეკას მდივანს ,,პატარა ბავშვები” თამამად ელაპარაკებიან მისთვის არასასიამოვნო თემებზე. ამან მოახდინა ისეთი ეფექტი, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. ჩვენ ეს დაგეგმილი არ გვქონია და, მით უმეტეს, მათ, ვინც ამას პირდაპირ ეთერში გადასცემდა... უეცრად ჩვენ გავხდით საოცრად პოპულარულები მთელ საქართველოში და ჩვენ შესახებ უკვე ლეგენდები და მითები დადიოდა. ამან კი იმუშავა იმაზე, რომ დიდი და ძლიერი სტუდენტური მოძრაობა ჩამოყალიბდა.

სწორედ ამ შეხვედრის შემდგომ გაჩნდა იდეა — უნივერსიტეტის გაზეთში ჩაგვედო ფურცელი, სადაც დავბეჭდავდით ჩვენს წერილებს. სხვათა შორის, ვერ მივაკვლიეთ, პირველს ვის გაუჩნდა ეს იდეა, მაგრამ იდეა ავიტაცეთ. მაშინ უკვე საკმაოდ დიდი იყო სტუდენტური მოძრაობის გავლენა და ამაზე დათანხმებაც იოლად მოხდა, ოღონდ ზედამხედველად დაგვინიშნეს უნივერსიტეტის პარტიული იდეოლოგიური მდივანი, ბატონი ვახტანგ გოგუაძე. გაზეთის რედაქტორი კი ბატონი გივი შეყილაძე იყო.

სულ გამოვიდა (თუ არ ვცდები) 15 ნომერი. ეს იყო ჩანართი, რომელსაც ერქვა „სტუდენტური ფურცელი“ და ამის რედაქტორები ვიყავით ჩვენ — უნივერსიტეტის პრეს-კლუბის წევრები. პრეს-კლუბის სახელი ამ ფურცელთან დაკავშირებით გაჩნდა, რადგან იდეა ასეთი იყო: თან პრესა და თან პრესი — ზეწოლა, პროტესტი მაშინ არსებული სიტუაციის მიმართ. პრეს-კლუბი არ იყო ფორმალური ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას არც ბეჭედი ჰქონია და არც თავმჯდომარე ან პრეზიდენტი ჰყოლია. არ მაგონდება მაშინ მეტნაკლებად საინტერესო ადამიანი ქართულ საზოგადოებაში, ვისაც უნივერსიტეტის პრეს-კლუბთან ურთიერთობის სურვილი არ გასჩენოდა. ესენი იყვნენ: აკაკი ბაქრაძე, ნაირა გელაშვილი, ზაალ ქიქოძე და სხვები, მათ შორის, იგივე დისიდენტური მოძრაობის წარმომადგენლები: მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, ირაკლი წერეთელი.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, თუ არ ვცდები, ოთხშაბათობით გამოდიოდა და იმ დღეს, როდესაც „სტუდენტური ფურცელი“ იყო მასში ჩადებული, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში და ყველა იმ წერტილში, სადაც ეს გაზეთი იყიდებოდა, დიდი რიგები იდგა... გაზეთი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა.

— თქვენი „სტუდენტური ფურცელი“ ქვეყნის პრობლემატიკას ეხებოდა და იმას ბეჭდავდა, რაც სტუდენტებს აღელვებდათ. დღეს კი სხვაგვარი დაკვეთაა — გაზეთი არ უნდა გასცდეს უნივერსიტეტის ფარგლებს...

— პოლიტიკა არ არის ისეთ რამ, რაც შეიძლება უნივერსიტეტს არ ეხებოდეს. შეიძლება არ იყოს საჭირო, რომ პარტიული სტრუქტურები ყალიბდებოდეს უნივერსიტეტში, მაგრამ ის, რომ სტუდენტობას მის ასაკში ჰქონდეს აქტიური პოზიცია და, მათ შორის, პოლიტიკური, არ არის ტრაგედია. აბა, როდისღა უნდა ჰქონდეს აქტიური სამოქალაქო პოზიცია უნივერსიტეტის სტუდენტს, თუ მის ასაკში არ ექნება?

უნივერსიტეტის გაზეთში უნდა იყოს აქტიური საუბარი სტუდენტების პრობლემებზე, სტუდენტურ ცხოვრებაზე — თუ როგორ ხედავს სტუდენტობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და როგორ წარმოუდგენია საკუთარი თავი ამ პროცესებში. ვფიქრობ, დიდი შეცდომაა, თუკი ვინმე ამ მხრივ გაზეთს ზღუდავს. ამ ასაკს აუცილებლად სჭირდება გასაქანი, მათ მოსაზრებებს კი — ასპარეზი. ეს ბევრად უფრო პასუხისმგებლიანს გახდის სტუდენტურ თაობას.

პირველი ოფიციალურად ნაბეჭდი ოპოზიციური გაზეთი

გვესაუბრება პრეს-კლუბელი ნიკო ნიკოლოზიშვილი

— უნივერსიტეტის პრეს-კლუბის დამფუძნებლები უახლოესი მეგობრები — ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ვიყავით.

ჯერ კიდევ 1983 წელს უარი ვთქვით რუსეთში შრომით სემესტრზე წასვლაზე და, სანაცვლოდ, მოვითხოვეთ საქართველოში რომელიმე ეკლესიის აღდგენაში მიგვეღო მონაწილეობა. მაშინ გაგვიმართლა, რადგან „ძეგლთა დაცვის ორგანიზაციამ" საამისოდ აწყურის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი შეარჩია. მოგეხსენებათ, რომ მაშინ სწორედ სოფელ აწყურიდან იწყებოდა ჩაკეტილი ზონა, რომელიც მთელ სამხრეთ საქართველოს — სამცხე-ჯავახეთს მოიცავდა. ეს იყო ჩაკეტილი რეგიონი, რადგან აქ სსრკ-სა და ნატო-ს წევრ ქვეყანას — თურქეთს შორის ერთადერთი საზღვარი გადიოდა. ზონაში შესასვლელად სპეციალური საშვები იყო საჭირო ნებისმიერი მოქალაქისთვის, მათ შორის, იქ მცხოვრებთა ნათესავებისთვის. სასაშვო კონტროლს აწყურში მდგარი საბჭოთა მოსაზღვრეები ახორციელებდნენ. ახლა რომ ვუფიქრდები, ჩვენი „გამწესება" აწყურში იმ განზრახვით მოხდა, რომ მეტი კონტროლის ქვეშ ვყოლოდით უშიშროების სამსახურებს და ჩვენი ყოველი გადაადგილება ადვილად გაეკონტროლებინათ, რაც ჩაკეტილი ზონის პირობებში ადვილი საქმე იყო (ასე იყო ჩვენამდეც, ჯერ ასპინძის ტერასებზე, ხოლო შემდეგ, საფარის მონასტერში ჩვენი უფროსი თაობის სტუდენტების მუშაობისას). თუმცა, ამ სამსახურებმა ვერ გაითვალისწინეს ერთი რამ — მესხეთში ჩვენმა მუშაობამ, წარსულთან უშუალო შეხებამ ჩვენი თაობის ახალგაზრდებში კიდევ უფრო გაამძაფრა პატრიოტული სულისკვეთება და საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს მტკივნეულად აღვიქვამდით. გარდა ამისა, აწყურში მუშაობამ ჩვენი მეგობრობა იმდენად განამტკიცა, ისე შეგვადუღაბა ერთმანეთთან, რომ უმრავლესობა დღემდე, 30 წლის შემდეგაც კი უახლოეს მეგობრებად ვრჩებით.

ასე რომ, მომავალი პრეს-კლუბელები უკვე გამოცდილი მეგობრები ვიყავით, როდესაც 1987 წელს ტრანსსავკასიური რკინიგზის მშენებლობის საკავშირო პროექტის რეალიზების საშიშროების წინაშე დავდექით. მაშინ, თითზე ჩამოსათვლელ უფროსი თაობის მეცნიერებთან (ზ. ქიქოძე, გ. თარხან-მოურავი და სხვ.) ერთად, ჩვენი — სტუდენტების წინააღმდეგობის ძირითადი მოტივი იყო ხევსურეთში და ფშავში (ასევე ინგუშეთში) ისტორიული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის, ასევე, უნიკალური ლანდშაფტის განადგურების საფრთხე; გარდა ამისა, ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ამ პროექტს მოჰყვებოდა დემოგრაფიული სურათის შეცვლა ფშავ-ხევსურეთში არა ადგილობრივთა სასარგებლოდ. მაშინ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მდივანმა დიდ თათბირზე, რომელიც შემდეგ ტელევიზიით გადაიცა, განაცხადა, რომ ვინც ამ პროექტს ეწინააღმდეგება, იგი ხალხის მტერიაო. პასუხად ჩვენ, „აწყურელმა" ფილოლოგებმა, მეცნიერთა დასკვნებზე დაყრდნობით, დავწერეთ მოცულობით საკმაოდ დიდი და დასაბუთებული წერილი, რომელსაც ცკ-ს მდივნის სიტყვების საპასუხოდ სახელად „მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი" დავარქვით. წერილი 5 პირად დავბეჭდეთ ჩემს ახლად შეძენილ საბეჭდ მანქანაზე და ასე ვაპირებდით გავრცელებას, მაგრამ ერთი გარემოება დაემთხვა და ჩვენც ბედი ვცადეთ: იმ დროს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი უცხოეთში იყო მივლინებით და დროებით მის მოვალეობას პასუხისმგებელი მდივანი, ჩვენი ახლო მეგობარი, ასევე, უნივერსიტეტელი მამუკა ფაჩუაშვილი ასრულებდა. მამუკამ მაშინ დიდი გამბედაობა გამოიჩინა და წერილი ამ რესპუბლიკურ გაზეთში დაბეჭდა, რაზეც პასუხიც აგებინეს - რამდენიმე დღეში თანამდებობა დაატოვებინეს. წერილს იმდენად დიდი ეფექტი ჰქონდა და იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რომ ჩვენ ვიგრძენით „ახალგაზრდული კალმის" ძალა და იმ დღიდან „წერამ აგვიტანა". სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა — ჩამოგვეყალიბებინა თსუ-ის სტუდენტური პრეს-კლუბი.

ამ წერილის შემდეგ ტრანსკავკასიური რკინიგზის საწინააღმდეგოდ 3500 ხელმოწერა შევაგროვეთ, რაც მაშინ უპრეცედენტო შემთხვევა იყო. იმ დროს გავიცანით შედარებით უფროსი თაობის დისიდენტები - ჯერ თამრიკო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და ირაკლი ბათიაშვილი, შემდეგ კი — მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.

ამ ამბებს მოჰყვა დავით გარეჯის გადარჩენასთან დაკავშირებული მიტინგები, ხუდონჰესი, ჰუჯაბის მონასტერი და ეროვნული მოძრაობაც აგორდა... სწორედ მაშინ მოგვივიდა იდეა მე, თედო ისაკაძეს, ფიქრია ჩიხრაძეს, დათო ტურაშვილს, ნანა ბოკუჩავას, ბაია გრიგალაშვილს, ლელა ჯაფარიძეს (დღეს დედა მარიამი), ქეთევან გვაზავას, რომ შევსულიყავით თსუ-ის რექტორთან და მოგვეთხოვა უნივერსიტეტის გაზეთში სპეციალური სტუდენტური ჩანართის (ე.წ. „ვკლადიშის") გაკეთება. ამ დროს უკვე იმდენად ძლიერი იყო ჩვენი სტუდენტური მოძრაობა, რომ რექტორატი ამ იდეაზე უარს ვერ გვეტყოდა — პასუხისმგებლობა მაშინ პრორექტორმა ვ. გოგუაძემ აიღო.

გაზეთის სპეციალურ ჩანართს „სტუდენტური ფურცელი" ვუწოდეთ. სტატიებს ვწერდით, ძირითადად, ჩვენ თვითონ, ზოგ შემთხვევაში ვთხოვდით ჩვენს თანამოაზრე ლექტორებსაც, მაგალითად, ზ. კიკნაძეს, გ. თევზაძეს, ც. სვანიძეს. თუ არ ვცდები, სულ 12 ნომერი გამოვეცით, და მახსოვს, როგორ გამოგვქონდა ტირაჟის ნაწილი პირველი კორპუსის წინ და თითოეულ ნომერს როგორ იტაცებდა სტუდენტობა, ნაწილი კი პირველი კორპუსის ფოიეში იყიდებოდა ჩვეულებრივი წესით. შეიძლება ითქვას, რომ მაშინ ეს იყო პირველი ოფიციალურად ნაბეჭდი ოპოზიციური გაზეთი, რომელიც ყველა იმ საკითხს ეხებოდა, რომელიც მაშინ აქტუალური და საზოგადოებისთვის მტკივნეული იყო - ძეგლთა დაცვა, ბუნების დაცვა, კორუფცია უნივერსიტეტის შიგნით, პოლიტიკური და რელიგიური თემატიკა... ახლა შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მაშინ ოფიციალური გაზეთით საეკლესიო დღესასწაულების მილოცვა, ან საქართველოსთვის გაერო-ს წევრი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა წარმოუდგენელი რამ იყო. მადლობელი ვართ გაზეთის მაშინდელი რედაქტორის გივი შეყილაძის, რომელთანაც ყოველ ნომერზე, ყოველ სტატიაზე და ყოველ სიტყვაზე ჭიდაობა გვქონდა, მაგრამ საბოლოოდ ყოველთვის მეგობრულად ვშორდებოდით.

„სტუდენტური ფურცლის" გამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ

ბლიც-ინტერვიუ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორთან, პრეს-კლუბელ ირმა რატიანთან

— ქალბატონო ირმა, რას გაიხსენებთ უნივერსიტეტის გაზეთთან დაკავშირებით? 1988-1989 წლების „სტუდენტურ ფურცელში" თქვენ აქტიურად წერდით პრეს-კლუბის სახელით...

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ 80-იანი წლების ბოლოს „სტუდენტური ფურცელი" ნამდვილად იყო თავისუფალი აზრის ტრიბუნა საქართველოში. ამ ნომრების გამოსვლას ძალიან ელოდებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტებმა იცოდნენ, რომ გაზეთი უნდა გამოსულიყო და თუ რაღაც შეფერხდებოდა და ნომერი დროულად ვერ დაიბეჭდებოდა, იწყებოდა მღელვარება — სად არის „სტუდენტური ფურცელი"? რატომ არ გამოვიდა? ჩვენ ყველას ვამშვიდებდით, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სტამბაში ღამე გაგვითენებია, რათა დაბეჭდვა მოგვესწრო და არ მომხდარიყო რაიმე ექსცესი ისეთ მასალასთან დაკავშირებით, რომელიც ცოტა უფრო მეტად სკანდალური იყო, ვიდრე სხვა მასალები...

შემიძლია გითხრათ, რომ ყოველი ნომერი მოვლენა იყო. ახლაც ხშირად ვათვალიერებ ამ გაზეთებს, მაქვს სახლში და სიამოვნებით ვკითხულობ — „სტუდენტური ფურცლის" თითოეული ნომერი ძალიან აქტუალური იყო თავისი თემატიკით, ამასთან თამამიც. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ ამ ნომერში გამოქვეყნებული სტატიები ნამდვილად არ ტოვებს უმწიფარი, მოუმზადებელი, არაინტელექტუალური ახალგაზრდების მიერ დაწერილი მასალის შთაბეჭდილებას. ეს ხაზგასმით საგრძნობია და, ვფიქრობ, რომ დასაფასებელია. სტუდენტთა ის ჯგუფი, რომელიც პრეს-კლუბში მუშაობდა, საკმაოდ საინტერესო სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი იყო — მოაზროვნე, ერუდირებული, ინტელექტუალური... და ეს ეტყობა კიდეც გაზეთს.

ხედვა

ნურავინ ეხუმრება უნივერსიტეტის პატარა გაზეთს

ბლიც-ინტერვიუ ჟურნალისტთან, პროფესორ ნუგზარ რუხაძესთან

მეთორმეტე გვერდიდან

— საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, რაღაცის მოლოდინია, იცვლება ღირებულებები... თქვენ როგორ აფასებთ დღევანდელ ვითარებას?

— საქართველო არ არის რამე განყენებული ერთეული სამყაროსაგან. იგი საერთაშორისო, მძლავრი ოჯახის ერთერთი წევრია. ჩემი აზრით, საქართველო ყველაფერს აკეთებს, რასაც ერთი ქვეყანა და ერთი ხალხი უნდა აკეთებდეს, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველებს, და არა მხოლოდ ჩვენ, ყოველთვის გვახასიათებს შეცდომები ნებისმიერი მმართველობის დროს. გადის დრო, უკან მივიხედავთ და აღმოვაჩენთ, რომ ბევრი შეცდომაა დაშვებული. შემდეგ ისტორიულ ეტაპზე ვუნდებით ამ შეცდომების დიდი გაჭირვებით გასწორებას და, ამავდროულად, ახალ შეცდომებს ვუშვებთ, მერე ისევ მათი გამოსწორებისთვის ვიღწვით და ა.შ. საქართველომ რომ მიაღწიოს სანუკვარ მიზნებს, მეტი გონიერების მოკრება გვმართებს... სანამ ეს ქვეყანა სხვისი დახმარების გარეშე არ შეინახავს თავს, ჩვენ ვერ ჩავთვლით, რომ წარმატებული ხალხი ვართ.

მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტები არ არის სწორად დალაგებული. მაგალითად, თუ ავიღებთ განათლების დარგს, ჩვენ, როგორც მოაზროვნე ერი, ცოტა სახიფათო მდგომარეობაში ვართ, რადგან ყურადღება მახვილდება ისეთ რაღაცაზე, რასაც ჩვენი ნიჭიერება გვკარნახობს. ეს არის სიმღერა, ცეკვა, თამაში, გართობა... ახალგაზრდების გონება მასობრივად გადაგებულია იმაზე, რომ როგორღაც სცენაზე მოხვდეს. მესმის, რომ არტისტული ბუნება გვაქვს, მაგრამ ქართველი ახალგაზრდობის გონება თუ მხოლოდ იმისკენ იქნება მიმართული, რომ როგორმე მისი სახე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, მაშინ ცხოვრებას ჩამოვრჩებით. ახალგაზრდებში ფეხი ამოიკვეთა ფიზიკამ, ქიმიამ, ბიოლოგიამ და, საერთოდ, მეცნიერებამ. კარგი იქნება, გვქონდეს იმის საშუალება, რომ ამ საგნების მიმართ განვავითაროთ გემოვნება და მიდრეკილება.

ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, რომ მეცნიერების განვითარების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ტექნიკური განვითარება. წინათ ცნობილი იყო ჩვენი მათემატიკური სკოლა მუსხელიშვილის მეთაურობით, ფიზიკის სკოლა ვეკუას ხელმძღვანელობით. ახლაც არის მსოფლიოში გაფანტული თითო-ოროლა ქართველი ფიზიკოსი და მათემატიკოსი, მაგრამ ეს ჩვენთვის მასობრივი არ არის. რით გრგვინავდა უნივერსიტეტი? ძალიან ძლიერი სკოლები გვქონდა. გვყავდა ახვლედიანი, შანიძე, ნუცუბიძე, ჯავახიშვილი, ბერიტაშვილი და ა.შ. სად არიან ასეთი გიგანტები, ვარსკვლავები? რატომ აღარ იბადებიან ისეთები, როგორებიც ჩემ მიერ ჩამოთვლილი მეცნიერები გახლდნენ? რაშია საქმე? ერთი პერიოდი, როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა და ვცდილობდით — ქვეყანაში სულ სხვანაირი პოლიტიკური ცხოვრება შეგვექმნა, მაშინ ფეხი წამოვკარით. ფეხის წამოკვრას კისრის მოტეხვა მოჰყვა და გამოვიდა, რომ ეს ყველაფერი დავკარგეთ... მაგრამ, იმედი მაქვს, რომ ჩვენი გენი ისევ ცოცხალია. ვფიქრობ, ჩვენი ახალი მმართველობა, ჩვენი ახალი ლიდერები განათლების დარგში ზუსტად ასე ფიქრობენ და ამ მიმართულებით წაიყვანენ განათლების საქმეს.

— რას უსურვებთ უნივერსიტეტის გაზეთს, როგორც გამოცდილი ჟურნალისტი?

— ჩემი სურვილი გაზეთის მიმართ სრულიად მკაფიოა — გისურვებთ, რომ ეს გაზეთი არა მხოლოდ უნივერსიტეტის, მთლიანად საქართველოს ახალგაზრდობას დაეხმაროს წინსვლაში, ინტელექტუალურ განვითარებაში...

გაზეთს იუბილე ნამდვილად ეკუთვნის და ეს ბევრ რამეს გაუსვამს ხაზს. ჯერ ერთი, ეს არის გაზეთის პროპაგანდა, და მეორე, ეს არის პატივისცემა იმ ადამიანებისა, ვინც წლების მანძილზე მოღვაწეობდა და წერდა ამ გაზეთში.

უნივერსიტეტი ძალიან ბევრი კარგი საქმის სტიმულატორი უნდა იყოს, ხოლო უნივერსიტეტის გაზეთს შეუძლია უნივერსიტეტის, როგორც საგანმანათლებლო ერთი მნიშვნელოვანი კონგლომერატის, ისე წარმოჩენა, როგორც ეს უნივერსიტეტს შეშვენის. ამიტომ ნურავინ ეხუმრება უნივერსიტეტის პატარა გაზეთს, რადგან ამ პატარა გაზეთსაც შეუძლია დიდი საქმეების კეთება...

გაზეთით სტუდკავშირის თავმჯდომარეობისას დავინტერესდი

ინტერვიუ ფინანსთა მინისტრთან, გაზეთის რედკოლეგიის წევრთან, პროფესორ ნოდარ ხადურთან

ნინო კაკულია

— ბატონო ნოდარ, როდიდან გახსოვთ გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“?

— პირველად უნივერსიტეტის გაზეთი ჩემში „შემოვიდა“, როცა აბიტურიენტი ვიყავი — უნივერსიტეტის გაზეთში მაშინ იბეჭდებოდა მისაღები გამოცდების პროგრამები. ეს იყო 1987 წელი. შემდეგ მძიმე წლებში მოგვიწია სტუდენტობა — 1991–1996 წლები – არა შუქი, არა გათბობა, არა ტრანსპორტი... მაღლივში ვსწავლობდი, მაგრამ ამ პერიოდში აქტიური ვიყავი და სულ ვინტერესდებოდი, რა ხდებოდა უნივერსიტეტში. ამ ინფორმაციის მიღების კარგი საშუალება კი გაზეთი იყო.

შემდეგ ვიყავი სტუდკავშირის პირველი თავმჯდომარე. ეს ორგანიზაცია პირველად ეკონომიკის ფაკულტეტზე დავაარსეთ, ინიციატივა შემდეგ მთელ უნივერსიტეტს გადაედო და უნივერსიტეტის სტუდკავშირის პირველი თავმჯდომარეც გავხდი. ამდენად, ვცდილობდით, გაზეთი ყოფილიყო ჩვენი ერთერთი იარაღი ინფორმაციის მისაღებად და გასავრცელებლად. ამიტომ გაზეთის როლი კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენთვის.

მას შემდეგ, რაც პროფესორი გავხდი, უნივერსიტეტის გაზეთის რედკოლეგიის წევრი ვარ, რითაც ვამაყობ და საკონკურსო საბუთებში ყოველთვის მივუთითებ, რომ ვარ უნივერსიტეტის გაზეთის რედკოლეგიის წევრი. თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემს მოსაზრებებს ხშირად ვუზიარებდი მკითხველს. გაზეთში ჩემი საინტერესო ფოტოებიც დაიბეჭდა, რაც შემდეგ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა აიტაცა და ზოგს ლექსიც კი აქვს დაწერილი ამ ფოტოებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, გაზეთთან საინტერესო თანამშრომლობა შედგა.

— იყო მოსაზრება გაზეთის ელექტრონულ ვერსიად გადაკეთებისა. როგორ ფიქრობთ, რამდენად აუცილებელია გაზეთის ბეჭდური სახით არსებობა?

— ტექნიკასთან საკმაოდ ახლოს ვარ. ერთერთი პირველი ვიყავი საქართველოში, რომელსაც ჰქონდა ელექტრონული წიგნი, მაგრამ ვერ ვიგუე. ჩემთვის წიგნი, გაზეთი მაინც ფურცელთან არის გაიგივებული და ამ ფურცელს, კითხვისას, სულ სხვა ხიბლი აქვს. ვფიქრობ, გაზეთის გამოცემა ისეთი თანხა არ ჯდება, რომ უნივერსიტეტმა უარი თქვას მის ბეჭდვით ორგანოზე. ეს არ უშლის ხელს, რომ პარალელურად ელექტრონული ვერსიაც არსებობდეს.

— როგორც მინისტრი, გააგრძელებთ თუ არა რედკოლეგიის წევრად გაზეთთან თანამშრომლობას?

— რა თქმა უნდა. საერთოდ მეკრძალება სხვაგან ანაზღაურებად სამსახურში მუშაობა, მაგრამ, „სამწუხაროდ“, თქვენ მე ამაში ფულს არ მიხდით. დიდი სიამოვნებით დავრჩები უნივერსიტეტის გაზეთში და უნივერსიტეტში პროფესორად. ყოველთვის ვამბობ, რომ არ არსებობს იმაზე დიდი თანამდებობა, რაც უნივერსიტეტში მაქვს.

ხმაური მოჰყვა სტატიას — „ჰალსტუხიანთა დამარცხება“

ინტერვიუ ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის მრჩეველთან ნათია ჩიქოვანთან

— რა გაკავშირებთ უნივერსიტეტის გაზეთთან?

— უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციაში პირველად ფეხი 1993 წელს შევდგი, დაახლოებით ორი ათეული წლის წინ. მოგეხსენებათ, 1993-1996 წლები საქართველოს ისტორიაში მძიმე წლები იყო, მაგრამ ამ წლებში გაზეთის გამოსვლა, პრაქტიკულად, არ შეჩერებულა. გაზეთში იწერებოდა ოფიციალური შეხვედრების, სტუდენტური ცხოვრების შესახებ და იმ ბევრი ღონისძიების თაობაზე, რომელიც მაშინ ტარდებოდა. ვერ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტში ცხოვრება დუღდა, მაგრამ სტუდენტური ცხოვრება მაინც აქტიურად მიდიოდა. „სტუდენტური დღეები“ პირველად 1995 წელს დაიწყო, რომელიც აქტიურად შუქდებოდა უნივერსიტეტის გაზეთში. მახსენდება ჩემი ერთერთი სტატია — „ჰალსტუხიანთა დამარცხება“, რომელიც სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის თავმჯდომარის არჩევნებთან დაკავშირებით გამოვაქვეყნე. ერთ მხარეს იდგნენ სტუდენტები: ნოდარ ხადური, ირაკლი გოგავა, ხოლო მერე მხარეს — გიორგი მამაცაშვილი თავისი პოზიციით. იყო სერიოზული „დაჯახება“... მაგრამ ჩემი სტატიის მიმართ პროტესტი არავის გამოუთქვამს. წერილი ყოველგვარი ჩასწორების გარეშე დაიბეჭდა და მას დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა..

გარდა ამისა, რექტორთან და რექტორატთან ძალიან ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა. მაშინ როინ მეტრეველი იყო რექტორი. ვესწრებოდი ოფიციალურ შეხვედრებს, ვაშუქებდი სტუდენტურ მოძრაობებს... სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის პრეს-სამსახურის უფროსი ვიყავი და ამის კეთება კიდეც მევალებოდა. გაზეთის რედაქტორი, ბატონი გივი შეყილაძეც ტკბილად და კარგად მახსენდება.

— ჰყავდა თუ არა უნივერსიტეტის გაზეთს ბევრი მკითხველი?

— უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შესასვლელში დახლი იდგა, სადაც ჩვენი გაზეთი იყიდებოდა. მაშინ ქვეყანაში გაჭირვება იყო, სტუდენტებიც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, სტიპენდიაც ძალიან მცირე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, გაზეთი მაინც იყიდებოდა. მის ფურცლებზე საინტერესო მასალები იბეჭდებოდა, იყო ინტერვიუები გამოჩენილ მეცნიერებთან, რომელთაგან ბევრი ცოცხალი აღარც არის.

თაობები

გაზეთის რედაქციაში პრაქტიკას ჟურნალისტების პირველი თაობა გადიოდა

ბლიც-ინტერვიუ პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძესთან

— ბატონო ზურაბ, თქვენ აქტიურად თანამშრომლობდით უნივერსიტეტის გაზეთთან. როდიდან გახსოვთ ეს გაზეთი?

— უნივერსიტეტს გაზეთი მეორე მსოფლიო ომამდეც ჰქონია. არ ვიცი, როდის დაარსდა უნივერსიტეტის გაზეთი ან ვინ იყო მისი პირველი რედაქტორი, მაგრამ მახსოვს, რომ გაზეთის გამოშვება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ჩემს დროს სტუდენტები კედლის გაზეთს უშვებდნენ და ესეც კი დიდ ამბად ითვლებოდა.

უნივერსიტეტის გაზეთის გამოცემა, რომელსაც „ბოლშევიკური კადრებისათვის“ ერქვა, ომის დროს შეწყდა, რადგან მისი თავი აღარავის ჰქონდა — არც ტექნიკა იყო და არც ქაღალდი... ამ მიზეზით მაშინ ყველა გამოცემა დახურეს.

— უნივერსიტეტის გაზეთთან როდიდან გაქვთ შეხება?

— 1944 წელს შემოვედი უნივერსიტეტში. იმ პერიოდში არ არსებობდა რაიმე ბეჭდური გამოცემა. მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ პრესას თავისი როლი შეესრულებინა. ამ პერიოდში უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა ნიკო კეცხოველი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. 1952 წელს მისი მეცადინობით გაზეთი აღდგა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც უნივერსიტეტი დავამთავრე. გაზეთს რედაქტორობდა ომგამოვლილი კაცი — ტარიელ კვანჭილაშვილი. მახსოვს, ტარიელი ძალიან ემადლიერებოდა არნოლდ ჩიქობავას. გაზეთს დაარქვეს „ახალგაზრდა სტალინელი“. როდესაც სარედაქციო კოლეგია შეიქმნა, ტარიელმა მოინდომა და ამ საქმეში სტუდენტობა ჩააბა. უკვე არსებობდა ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომელიც 1947 წელს დაარსდა. გაზეთმა ამ წრესთანაც მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. ლიტერატურული წრის შეკრებებზე განხილული და შერჩეული ნაშრომები უკვე გაზეთში იბეჭდებოდა. გაზეთის წარმატება დაკავშირებულია სწორედ ამ ლიტერატურულ წრესთან. მიმაჩნია, ეს წრე რომ არ ყოფილიყო, გაზეთს ისეთი დიდი ავტორიტეტი და სახელი არ ექნებოდა. 1946 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის გამოჩნდა ანა კალანდაძე. მოაწყვეს მისი ლექსების განხილვა და შემდეგ ეს გაზეთშიც დაიბეჭდა.

გაზეთი 4 გვერდიანი იყო და კვირაში ერთხელ გამოდიოდა. მისმა დაარსებამ ძალიან შეგვიწყო ხელი, რომ ახალგაზრდა თაობის პროდუქცია დაბეჭდილიყო.

— რამდენად მოგწონდათ გაზეთის სახელწოდება — „ახალგაზრდა სტალინელი“?

— ეს სახელი ძალიან მოგვწონდა, მით უმეტეს, უნივერსიტეტი მაშინ სტალინის სახელობის იყო.

გაზეთში იბეჭდებოდა წერილები სამეცნიერო კონფერენციებზე, სტუდენტურ ცხოვრებაზე, ფრიადოსან სტუდენტებზე... აქ გადიოდა პრაქტიკას ჟურნალისტების პირველი თაობა (ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის განყოფილება 1944-1945 წელს შეიქმნა). მაშინ ამას დავით გამეზარდაშვილი უწევდა ხელმძღვანელობას.

გაზეთში თანამშრომლობდნენ ვახტანგ ჯავახაძე, ტარიელ ჭანტურია, ნოდარ ტაბიძე (მას ყველა იცნობდა იმის გამო, რომ გალაკტიონის ძმიშვილი იყო), თამაზ ჭილაძე, თამაზ ჩხენკელი, გიგლა ხუხაშვილი, მორის ფოცხიშვილი და სხვები.

— თქვენ წერდით გაზეთში?

— ვწერდი, მაგრამ არ ვიყავი აქტიური. ჩემი ფუნქცია ძალიან უმნიშვნელო იყო — ტექნიკური საქმეები მქონდა მონდობილი.

— თუ იყავით გაზეთის აქტიური მკითხველი?

— გაზეთს ვიტაცებდით, რადგან მასზე მოთხოვნილება დიდი იყო. ნომერი როგორც კი გამოვიდოდა, ახალგაზრდობა დაესეოდა ხოლმე. ასე რომ, ეს გაზეთი დიდ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი და უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

უნივერსიტეტის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოსული მარკა

თაობები

გამოსავალი ქვეტექსტებით საუბარი იყო

ბლიც-ინტერვიუ ცნობილ ჟურნალისტთან, პროფესორ ნოდარ ტაბიძესთან



მაია ტორაძე

— ბატონო ნოდარ, როდიდან გახსოვთ უნივერსიტეტის გაზეთი?

— ეს იყო 50-იანი წლების დასაწყისი. ჩვენ ლექციებს გვიკითხავდა ბატონი ტარიელ კვანჭილაშვილი, რომელიც ამ გაზეთის („ახალგაზრდა სტალინელი“) პირველი რედაქტორი იყო. მან დაგვმოძღვრა — მოდით, შტატგარეშე თანამშრომლებად იმუშავეთო და ჩვენც თავით გადავეშვით ამ მღვრიე მდინარეში... გულწრფელად მოგახსენებთ, 24 წიგნის ავტორი ვარ, ორ პერიოდულ გამოცემას ახლაც ვრედაქტორობ, უამრავი გამოცემის რედკოლეგიის წევრი ვარ, მაგრამ ისეთი ბედნიერება არასდროს განმიცდია, როგორიც ამ გაზეთში მუშაობის ჟამს განვიცადე. ახლაც მახსოვს — ო, ჰენრის ერთი პატარა ნოველა ვთარგმნე, რომელიც გაზეთში დაიბეჭდა და ეს ბიჭებმა საგანგებოდ აღვნიშნეთ. მაშინ, მოგეხსენებათ, გაზეთის რედაქცია პირველ კორპუსში იყო. ჩემი ცხოვრების ნახევარი, ფაქტობრივად, ამ გაზეთში გავატარე.

— ვისთან გიწევდათ ურთიერთობა ამ გაზეთში თანამშრომლობისას?

— გაზეთს ორი თანამშრომელი ჰყავდა: რედაქტორი — ბატონი ტარიელი და ერთიც ძალიან კარგი ყმაწვილი, ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. ჩვენ, როგორც წესი, რედაქციაში ყოველ დილით მივდიოდით და თუ დავალებას მოგვცემდნენ, სიამოვნებით ვასრულებდით. მაშინ ადვილი იყო კონტაქტის დამყარება. როგორც კი იტყოდი — უნივერსიტეტის გაზეთიდან ვარო, გზა ხსნილი გქონდა.

— როგორც ჟურნალისტს, პროტესტი თუ გიჩნდებოდათ, როდესაც ცენზორი თქვენს სტატიებს „კრეჭდა“?

— გულახდილად გეტყვით, ოღონდ ჩვენი წერილები დაბეჭდილიყო და, თუ იქიდან ერთ-ორ ფრაზას ამოგვიღებდნენ, დიდ მნიშვნელობას ამას არ ვანიჭებდით. მერე უკვე სულ სხვაგვარად წარიმართა ყველაფერი.

ახლა თქვენ გაქვთ უფლება — ცენტრალური კომიტეტის მდივნიდან დაწყებული ყველა ლანძღოთ, მაგრამ მაშინ ეს წარმოუდგენელი იყო. კრიტიკა დასაშვები იყო, მაგრამ ზომიერ ფარგლებში. ჩვენ უმძიმესი წლები განვლეთ. ეს თქვენთვის უცხოა, მაგრამ ვინც ეს პერიოდი გადავიტანეთ, ვიცოდით — რა უნდა გვეთქვა და რა — არა... გზაც შევარჩიე — ქვეტექსტით საუბარი. ვერ დაგიბარებდნენ და ვერ გეტყოდნენ: უნდა დატოვო პარტიის მანდატი. არადა, განათლებული მკითხველი ქვეტექსტს კარგად კითხულობს.

— არასდროს გაგჩენიათ სურვილი — დაგეწერათ სტატია: რატომ გააძევეს უნივერსიტეტიდან ივანე ჯავახიშვილი?

— რა თქმა უნდა, შემაძრწუნებელია, როდესაც უნივერსიტეტის დამაარსებელს უნივერსიტეტიდან აძევებენ, მაგრამ ეს საკითხი არ წამოჭრილა, რადგან იგი ისევ აღადგინეს უნივერსიტეტში.

— უნივერსიტეტის გაზეთის დაარსების პერიოდში — 30-იან წლებში, გაზეთში სალანძღავი სიტყვები იბეჭდებოდა — „მავნებლები“, „დავარტყათ თავში“ — ასეთი ფრაზებით ამკობდნენ ხოლმე მათ, ვინც ბოლშევიკებს ებრძოდა. რას იტყოდით იმ წლების გაზეთზე?

— მეც ვიცნობ იმ სტატიებს, რომელშიც მსგავსი სიტყვები იბეჭდებოდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან გაძევებას მოჰყვა პარტიული მუშაკების წარმოჩენა და შემდეგ ათასი უბედურება.

1937 წელს ტიციანი რომ დაატიმრეს (გამომძიებელი ვიღაც რეგვენი დიდჩინოსანი იყო), ტიციანს ეკითხება — კიდევ ვინ იყო თქვენს ანტისაბჭოურ გაერთიანებაშიო? ტიციანი არ კარგავს იუმორს, აწევს თავს და იტყვის — გიორგი სააკაძე... და ეს კრეტინი ორდერს გამოწერს — დააპატიმრეთ გიორგი სააკაძეო.

ახლა კიდევ ერთ რამეს გავიხსენებ: კორნელი კეკელიძე (ჩემი ბაბუა) წარადგინეს სტალინურ პრემიაზე. ბერიამ გადახედა ამ სიას და თქვა: — ისღა მაკლია, მღვდლებს მივცე სტალინური პრემიაო... შემდეგში კორნელი იგონებდა: — კიდევ კარგი, რომ არ წარმადგინეს, თორემ სტალინი გაიხსენებდა სემინარიაში ერთხელ როგორ ვცემეო.

აი, რა დრო იყო. ამიტომ, გასაკვირი არაფერია... მაშინ გაზეთმა რამდენადმე დაკარგა თავისი სახე.

თუმცა, უკვე 50-იან წლებში ასეთი რამ არასდროს მომხდარა — შედარებით აკადემიზმი მეფობდა.

გაზეთში ყველაფერია იმ უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც დღემდე ერის სინდისი და ნამუსია

ბლიც-ინტერვიუ დამსახურებულ ჟურნალისტთან არმაზ სანებლიძესთან

— ბატონო არმაზ, რამდენადაც ვიცი, თქვენ წერდით უნივერსიტეტის გაზეთში. მოგვიყევით, რაც უნივერსიტეტის გაზეთზე გახსოვთ...

— რომ გითხრათ, რომელი წლები იყო, არ შეგეშინდებათ? წელს შესრულდა 60 წელი მას შემდეგ, რაც პირველად გამოვაქვეყნე ჩემი რეპორტაჟი უნივერსიტეტის იმდროინდელ გაზეთში „ახალგაზრდა სტალინელი“. აი, ეგეთი „ძველი“ ვარ. საოცარი ხალხი მუშაობდა მაშინ უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის გაზეთში. მაგალითად, ნოდარ დუმბაძე უნივერსიტეტის იუმორისტულ კედლის გაზეთს „ჭინჭარს“ რედაქტორობდა, რომლის შემდეგაც მოვიდა რეზო ესაძე, ცნობილი რეჟისორი.

რაც შეეხება გაზეთის რედაქტორებს, გეტყვით, რომ ბრწყინვალე ადამიანები მუშაობდნენ. მე ირაკლი ვეშაპიძის დროს მივედი. დაწერდი რამეს, მიიტანდი, წაიკითხავდა, გაასწორებდა, შენიშვნებს მოგცემდა და დაბეჭდავდა. ეს იმხელა სტიმული იყო ჩვენთვის, პატარა ბიჭებისთვის, რომ ლაპარაკიც კი მიჭირს.

შემდეგ რედაქტორად მოვიდა ცნობილი ქართველი პოეტი ზაურ ბოლქვაძე. იმ დროს უკვე უნივერსიტეტთან შეხება არ მქონდა, მაგრამ ვიცი, როგორ აკეთებდა გაზეთს და რა დიდ სიყვარულს დებდა მასში. ამ სიყვარულითვე პასუხობდა მას კორესპონდენტთა ამქარი — მომავალი ჟურნალისტები, რომლებიც ამ გაზეთში აქვეყნებდნენ თავიანთ წერილებს. ამ გაზეთში, ასევე, ბრწყინვალე მწერლებიც წერდნენ: ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი... სხვა ახალგაზრდა პოეტები... მათ შემოქმედებას დაამატეთ „პირველი სხივი“ — სამოციანელთა ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც უნივერსიტეტში გამოდიოდა და იოლად წარმოიდგენთ იმ სიტუაციას, რაც ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი ატმოსფეროს დამყარებას უწყობდა ხელს.

უპირველეს ყოვლისა, დავასახელებდი რეზო გაბრიაძეს — ცნობილ კინოსცენარისტს და არაჩვეულებრივ მხატვარს, რომელიც უნივერსიტეტის გაზეთში ხატავდა. რეზო ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და მერე გადმოვიდა ჟურნალისტიკაზე. ნიშნებს იმიტომ უწერდნენ, რომ არაჩვეულებრივად ნიჭიერი კაცი იყო.

— გაზეთს „ახალგაზრდა სტალინელი“ რომ ერქვა, დისკომფორტს არ გიქმნიდათ?

— არა. წარმოგიდგენიათ ეს რომელი წლებია? როცა უნივერსიტეტიც სტალინის სახელს ატარებდა... ამას არც არავინ აქცევდა დიდ ყურადღებას. არ მახსოვს, რომ გაზეთში ყოფილიყო რაღაც კომკავშირის ან პარტიის ქება-დიდება, რაც იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც რედაქტორებად მუშაობდნენ.

— როგორც ვიცი, „უე“ ყველა გაზეთს ეწერა და გაზეთი ძალიან მკაცრ ცენზურას გადიოდა. მაშინ ვერ გრძნობდით ამ ცენზურას?

— კი, ამბობენ, რომ იყო ცენზორი. ეს ცენზორი ჩვენ თვალით არ გვინახავს და დიდი კონტროლი არც გვიგრძნია... იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ვწერდით „დიდება პარტიას“... არა, უბრალოდ, უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ეროვნულობის კერა და აქ სიტყვას ცუდად ვერავინ მოაბრუნებდა.

— იყო თუ არა მაშინ პრესტიჟული უნივერსიტეტის გაზეთში წერა?

— კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე ჩემი მასწავლებლები იყვნენ. წარმოიდგინეთ, ეს ხალხი რომ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა და იმ გაზეთს კითხულობდა, რომელშიც ჩვენ — პატარა ბიჭები ვწერდით, ეს იყო უდიდესი პრესტიჟი და დაფასება. ამიტომ ჰქონდა უნივერსიტეტის გაზეთს სახელიც და ავტორიტეტიც.

ეს გაზეთი არის უნივერსიტეტის მემატიანე. მასში ყველაფერია იმ უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც დღემდე ერის სინდისი და ნამუსია.

რედაქციაში ძალიან ხშირად შემოდიოდა აკაკი შანიძე

ბლიც-ინტერვიუ ჟურნალისტ კაატა ნაცვლიშვილთან



— ბატონო პაატა, თქვენ აქტიურად წერდით თბილისის უნივერსიტეტის გაზეთში. რა გახსენდებათ იმ პერიოდიდან?

— მე ვმუშაობდი ამ გაზეთში გივი შეყილაძესთან, ზალიკო ჟვანიასთან და გვანჯი მანიასთან ერთად. ჩემს დროს რედაქტორი იყო ზალიკო ჟვანია.

— გაიხსენეთ, ვის ხვდებოდით რედაქციაში?

— ჩვენთან მოდიოდა ყველა, ვინც უნივერსიტეტში მუშაობდა. მაგალითად, აკაკი შანიძე შემოდიოდა ძალიან ხშირად. მან რამდენჯერმე მოიტანა რედაქციაში წერილი და ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა, რაც მის გაფორმებას სჭირდებოდა. იმ დროისთვის საკმაოდ ხანდაზმული გახლდათ, ამიტომ არ ვაწუხებდით. იგი ისედაც ხშირად მოდიოდა რედაქციაში ბატონ ზაალთან. სხვათა შორის, რედაქციაში სურათიც ეკიდა, ზაალის გარდაცვალების მერეც, რომელზეც აღბეჭდილი იყო ბატონი აკაკისა და ზალიკოს მუშაობა გაზეთზე. იმ სურათის გადაღების მომსწრე არა, მაგრამ მსგავსი ეპიზოდების თვითმხილველი ვარ.

ასევე, გვაკითხავდა უნივერსიტეტის რექტორი. რედაქცია ის ადგილი იყო, სადაც პროფესორები და მასწავლებლები უფრო კარგად ისვენებდნენ, ვიდრე საპროფესოროში. გარდა ამისა, მომსწრე ვარ, როგორ მუშაობდნენ თავიანთ წერილებზე ცნობილი მეცნიერები: აკაკი ურუშაძე, ოთარ ბაქანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე და სხვანი... რედაქციაში ბევრი საუკეთესო დიალოგის მომსწრეც ვყოფილვარ.

რედაქციას მაშინ ბევრი საინტერესო შეხვედრები ჰქონდა, რომლებიც ხან აღიბეჭდებოდა გაზეთის ფურცლებზე, ხან — არა. მაგალითად, იყო ძალიან საინტერესო მოგზაურობა, რომელიც რედაქციამ მოაწყო. ეს იყო თედორე ბერის ნაკვალევზე მოგზაურობა. ამაში მთელი რედაქცია მონაწილეობდა: ბატონი ზაალი, ნოდარ ასათიანი, გრივერ ფარულავა, რეზო სირაძე... ბევრმა მეცნიერმა ჩვენთან ერთად ცხენებით მთელი თრიალეთის ქედი მოიარა. ეს იყო საოცრად საინტერესო ექსპედიცია. რედაქციის ინიციატივით ველოსიპედებითაც მოვიარეთ კახეთი.

უნივერსიტეტში მშვიდი გარემო იყო მაშინ. შფოთვა მერე დაიწყო, როდესაც უნივერსიტეტი აღელდა და როდესაც ეროვნული მოძრაობის დროს ერთერთი მოწინავე გახდა.

— ხომ არ გახსენდებათ, რომელიმე თქვენს სტატიას თუ მოყვა რეზონანსი?

— გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გადამიყვანეს სამუშაოდ, რადგან მოეწონათ ჩემი წერილები გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“. ეს იყო რეზონანსი, რაც იშვიათად ხდებოდა. მაშინ 22 წლის ვიყავი.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის, რომ ბატონი ზაალის ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლამ ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული. ამის შესახებ დავწერე კიდეც ერთერთ ჩემს წიგნში. ბატონი ზაალის გახსენებას მუდამ ახლავს ტკივილი, რადგან იგი ისე ადრე წავიდა, რომ ვერ მოვახერხე მისთვის მადლობა მეთქვა, ან გამომეხატა ჩემი ის დამოკიდებულება, რომელიც დღეს მინდა გამოვხატო. მინდა, მას ვუთხრა დიდი მადლობა იმისთვის, რაც მასწავლა. ბევრი ის ჟურნალისტური საიდუმლო, რომელიც ბატონმა ზაალმა გამიმხილა, მერე და მერე დიდად გამომადგა ჩემს საქმიანობაში.

რედაქცია იყო ერთგვარი შტაბი, სადაც მრავალი იდეა განხორციელებულა

ბლიც-ინტერვიუ ჟურნალისტ გვანჯი მანიასთან

— რა გაკავშირებთ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“?

— უნივერსიტეტის გაზეთი 1960 წლიდან მახსოვს, როდესაც თსუ-ში ჩავირიცხე. ერთხელ I კორპუსის სამკითხველოში ვმეცადინეობდი და ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ფაქტმა — წიგნები არის დაგლეჯილი, დაჯღაბნილი. ვერ მოვითმინე და მეგობართან ერთად დავწერე წერილი, მაგრამ გვერიდებოდა რედაქციაში შესვლა. წერილი ზაურ ბოლქვაძეს გადავეცით, რომელიც მაშინ რედაქციაში მუშაობდა. წერილი გამოქვეყნდა, ოღონდ მისი გვარით, ვინც სტატია რედაქციაში მიიტანა.

გახლდით ალპინისტიც, ვმონაწილეობდი ალპინიადებში, შედეგებს შოთა მირიანაშვილიც მაწვდიდა და ვწერდი ამის შესახებ. მერე ვიყავით ველო-მოგზაურები, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილი მოვიარეთ და ჩვენი თავგადასავალი უნივერსიტეტის გაზეთში აისახა. ფაქტობრივად, 5 წლის განმავლობაში, 1960 წლიდან უნივერსიტეტის გაზეთთან ვთანამშრომლობდი. უნივერსიტეტის გაზეთში, როგორც შტატიანმა თანამშრომელმა, კი 10 წელი ვიმუშავე — 1968 წლის მაისიდან 1979 წლამდე. სულ უნივერსიტეტის გაზეთთან 15 წელი მაკავშირებს. მაშინ რედაქტორი ზაალ ჟვანია იყო. არსებობს ასეთი წიგნი „XIX საუკუნის ცნობილი რედაქტორები“, სადაც მოხსენიებულია ილია ჭავჭავაძე, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი. ჩვენი ილია ჭავჭავაძე და სერგი მესხიც ზაალ ჟვანია იყო — კეთილშობილი კაცი, ჯენტლმენი, დარბაისელი, თავისი საქმის პროფესიონალი და მრავალი ახალგაზრდის დამკვალიანებელი. რედაქცია იყო ცოცხალი ორგანიზმი, ერთგვარი შტაბი, სადაც მრავალი საინტერესო იდეა ჩამოყალიბებულა და განხორციელებულა. მოდიოდნენ არაჩვეულებრივი ადამიანები, მაგალითად კულტურის ყოფილი მინისტრი თენგიზ ბუაჩიძე, რეზო სირაძე, გრივერ ფარულავა, ლეო მენაბდე. უნივერსიტეტში არ არსებობდა საკითხი, პრობლემა, რომელიც უნივერსიტეტის გაზეთში არ ასახულიყო. პარალელურად ვთანამშრომლობდი სხვადასხვა გაზეთებთან. რაც კარგი და საინტერესო ხდებოდა უნივერსიტეტში, ამის შესახებ სხვაგან ვწერდი, რათა უნივერსიტეტს სახელი შემატებოდა.

— პირადად უნივერსიტეტის რექტორისგან თუ მიგიღიათ რაიმე დავალება, რაზეც გაზეთში უნდა დაგეწერათ?

— მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა. 1978 წელს, როდესაც ქართული ენის საკითხი წყდებოდა, რექტორმა დავით ჩხიკვიშვილმა დაგვიბარა და გვითხრა, რომ უნივერსიტეტის გაზეთის პირველ გვერდზე დაგვეწერა წერილი — ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ქართული ენის საკითხის განხილვა დაამთავრა”. უნდოდათ, რომ სტუდენტები დემონსტრაციაზე არ გასულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთში წერილი დაიბეჭდა, სტუდენტები მაინც ახმაურდნენ და რექტორიც იძულებული გახდა — წინ გაძღოლოდა ამ დემონსტრაციას.

უნივერსიტეტის გაზეთის კორესპონდენტები

„თბილისის უნივერსიტეტი“ საქართველოში ერთერთი უძველესი გაზეთია, რომელსაც არა მარტო უნივერსიტეტის, ხშირად მთელი ქვეყნის მემატიანესაც უწოდებენ. ამ მატეანეს კი ძალიან ბევრი ადამიანი წერდა – სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერები, კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრები. 2005 წლამდე გაზეთის რედაქცია რედაქტორისგან და ერთი ან ორი კორესპონდენტისგან შედგებოდა. ხშირ შემთხვევაში საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლები სტატიების წერას თავის ძირითად პროფესიას უთავსებდნენ. ასე გამოიყურება იმ ადამიანების სია, რომლებიც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ თანამშრომლობდნენ:

ლ. დოღონაძე; სიზმარა ცხადიძე; არჩილ ჯანაშვილი; შ. ბერაძე — დოც.; რ. გოგოხია — ეკონომიური ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი; ვ. გოგოლაშვილი — სტუდენტი; რ. ჟორდანია; ა. ხარაძე — პროფ.; ა. ბასილაია –სტუდენტი; ი. ბერიძე — სტუდენტი;. არჩილ ჯანაშვილი — დოც; ჰ. გურგენიძე; თ. მაჭარაძე — სტუდენტი; ზ. აბაშიძე, ვ. კახნიაშვილი — სტუდენტები; ს. თათევოსიანი; ს. ბოიაჩხიანი; ნ. ციციშვილი — პროფ.; გ. ოდიშარია — ფიზიკის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი; ზ. კორაშვილი; გ. ახვლედიანი — პროფ; ვ. გაბუნია — სტუდენტი;. გ. კიკანაძე — დოც; ნ. ბუაძე — სტუდენტი; რ. ჩაჩუა, ნათელა გურაშვილი, გ. გურგენიძე — სტუდენტები; ნ. შველიძე — პროფკომის თავმჯდომარე; ჰ. გურგენიძე — სპეც. კორესპონდენტი; გ. შეთეკაური — საკუთარი კორესპონდენტი; ნოდარ ტაბიძე; ალექსანდრე შენგელია; ტ. კასრაძე; ჯუმბერ თითმერია; ჩ. ბენიძე; ზ. გაბუნია; გრ. ჩიჩუა; ლამარა წულუკიძე — სტუდენტი; ქრ. ჯაყელი; გ. ზარდალიშვილი; არჩილ ჯანაშვილი; ბერდია ბერიაშვილი; დალი კოკაია, ა. შანიძე — პროფესორი; ს. აბულაძე; შ. ბერაძე; ომარ ჩიტაია; შ. ლომთაძე — სტუდენტი; ს. კილაძე — სტუდენტი; ო. საღარეიშვილი; რ. ჟორდანია; რ. სირაძე, გ. გაჩეჩილაძე, ზ. გაბუნია, ი. ქავთარაძე — სტუდენტები; ა. ალექსიძე; ჰ. გურგენიძე — სპეც. კორესპონდენტი; გრ. ზარდალიშვილი, ზურაბ ჩხენკელი, ვ. პარკაძე, გ. გამსახურდია, მ. ჭელიძე — დოცენტები; დ. ჯაბიძე — საბჭოთა კავშირის გმირი; გედევან ხელაია; ომარ კეკელია — სტუდენტი; ლ. ჭეიშვილი; ნ. ბაჟუნაიშვილი; არჩ. ჯანაშვილი — დოცენტი; ი. ბოცვაძე — დოცენტი; ვლადიმერ გოგოლაშვილი; როლანდ ბერაძე; ანგი არსენიშვილი; ზაქარია შველიძე — დოც.; ლ. დოღონაძე — ლაბორანტი; შოთა ქისტაური; ნ. იაშვილი; ნ. მარტოლეკი, მ. შალამბერიძე — სტუდენტები; ჰ. მელაძე; ხუტა ახალაია — გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორი; ო. საღარეიშვილი; ნარგიზა მგელაძე — სტუდენტი; ზაქარია შველიძე — დოც.; კ. ისმაგულოვი; დ. ტიამალო; გ. ხორნაული — სტუდენტი; გივი თვაური — სტუდენტი; გ. მელქაძე — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის №35/30-082 შემნახველი სალაროს კონტროლიორი; ნ. ლომოური; ს. ჟღენტი — პროფ. ლამარა წულუკიძე; თამარ ხუროშვილი; ა. პოლიშჩუკი; კაროი კელემენი — უნგრელი ფიზიოლოგი; ი. ვაშაყმაძე; ზ. მეძველია; რევაზ სვანიძე — სტუდენტი. გ. მალანია — სტამბის მუშა; შოთა კონსტანტინიდი — სტუდენტი; ა. აბესაძე; ლ. ზურაბიშვილი; ე. ჯაველიძე; ვ. ლომსაძე; მზია ქუმსიაშვილი, ლიანა კუკავა, რ. სვანიძე — სტუდენტები; გივი მაჭავარიანი; ფიქრია მაკალათია — სტუდენტი; ბაქარ გიგინეიშვილი — ასპირანტი; ა. ინწკირველი — დოცენტი; ალბერტ აბესაძე, ირაკლი კენჭოშვილი, გენო აბულაძე, თამარ გვერდწითელი — სტუდენტები; გ. ბანძელაძე — პროფესორი; ნ. კორძაია-სამადაშვილი — პროფბიუროს თავმჯდომარე; მარიკა სილაგაძე — სტუდენტი; ლ. ნათაძე დოცენტი. (1957 წელი).

ლ. ლაშქარაძე — პრორექტორი; თ. წერეთელი — პროფესორი; მანანა ავალიშვილი; ვაჟა კუხიანიძე; რ. მიშველაძე — ასპირანტი; შოთა ქველიაშვილი — სპორტის დამსახურებული ოსტატი; შოთა იამანიძე — სპორტის ოსტატი; ლ. სულაძე; ომარ შურღაია; ჯემალ მესხიშვილი; ეთ. გელაშვილი; მ. ხუხუნაიშვილი, თამარ ბაღაშვილი, ნანა ზედგინიძე; ზაურ ბოლქვაძე; ლ. ჯიბლაძე — სტუდენტები; გ. ბერკაციშვილი — მეთოდისტი; ზურაბ ჩხენკელი; გივი შეყილაძე; ვ. ადვაძე — დოცენტი; ომარ შურღაია — სპეციალური კორესპონდენტი; ბუდუ დეკანოიძე — სპეციალური კორესპონდენტი; ბ. შარიქაძე — სტუდენტი; დოცენტი გ. ფუთურიძე — აღმოსავლეთმცდონეობის ფაკულტეტის დეკანი; თამაზ ფიფია; ნ. ფირცხალავა — დოცენტი; გ. წიბახაშვილი დოცენტი; მანანა კუნჭულია — სტუდენტი; ვიოლეტა ცისკარიძე — დოცენტი; ვ. გარსევანიშვილი; ვახტანგ იმნაიშვილი; თინა მგელაძე –მასწავლებელი; ივანე მჭედლიშვილი — სამამულო ომის მონაწილე; რ. ენუქაშვილი — სტუდენტი; ზურაბ ბერკაცაშვილი; ტარიელ კვანჭილაშვილი; ვიქტორ ვერეში — ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო სტუდენტური რაზმების მეთაური; შოთა მესხია; ნოდარ ასათიანი — დოცენტი; შოთა ბადრიძე –ასპირანტი; გვანჯი მანია — სტუდენტი; მარგო ოქიტაშვილი; ზ. გამსახურდია — სტუდენტი; ვ. ბურჭულაძე; მარიკა; ქსენია ლაბაძე — კედლის გაზეთის „საბჭოთა ქიმიკოსი“ რედაქტორი; აკაკი ურუშაძე — დოქტორი; ნანა გოგსაძე — სტუდენტი; ლეილა ხმელიძე; ქ. ლაბაძე; კოტე ჭრელაშვილი; გ. აბაშიძე — სტუდქალაქის მმართველი; გურამ ცერცვაძე — სტუდენტი; ნუგზარ ფოფხაძე — თსუ სტუდენტთა კლუბის გამგეობის თავმჯდომარე.

ს. ჭარხალაშვილი — დოცენტი; ალ. ბარამიძე — აკადემიკოსი; ქსენია ლაბაძე — ასისტენტი; ჯემალ გორგილაძე — სტუდენტი; ა. ოდიშერიძე; ვ. მეტრეველი; ც. სეხნიაშვილი — ლაბორანტი; ზ. ხვედელიძე; თინა შიოშვილი — სტუდენტი; ნანა სირბილაძე; ნ. ტაბატაძე; მ. ხუნდაძე; თ. ფერაძე; ნანა ჯერენაშვილი; ვ. ა. უდოდი და გ. ვ. პასტუშენკო — კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლები; რ. ძოწენიძე; სპირიდონ კიკაჩეიშვილი; ი. კაკაბაძე; ა. ზურაბაული; პ. ჭრელაშვილი; მ. ჭელიძე დოცენტი, ო. გაბიძაშვილი დოცენტი; რ. კალანდაძე; გ. ციციშვილი — ასპირანტი; ი. მახარაძე; ლ. ხარბედია — სტუდენტი; აკაკი ურუშაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; მ. მირიანაშვილი — პროფესორი; რევაზ გაჩეჩილაძე; თამაზ ქვარიანი — ასპირანტი; სოლომონ ხუციშვილი; თ. ფოფხაძე; ნ. კიკნაველიძე; ნანა სურგულაძე; ს. ფარულავა — სტუდენტი; შალვა წიკლაური; ზაურ წულაია; სპირიდონ კიკაჩეიშვილი — პენსიონერი; ი. ბუაჩიძე პროფესორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი; კ. ლოლაძე; ნუგზარ ველიაშვილი სტუდენტი; ნ. პაიჭაძე; მერი ჭელიძე; ბ. ტყეშელაშვილი — გუდაუთის სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკის უფროსი; ვილემ ალტუა — ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ლია მაღულარია. თამაზ ქვარიანი. . (1965 -1966 წლები)

***მოამზადა* ნატო ოგოლაძემ**

იქნებ, მისი პატარა ქალიშვილისადმი ყურადღებაა ის მადლობა, რაც მისთვის უნდა გვეთქვა

ნინო კაკულია

საიუბილეოდ გვინდა, უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციის სახელით ყველას რაიმე სახსოვარი დავუტოვოთ, ვინც კი გაზეთთან თანამშრომლობდა და ვინც გაზეთს კეთილმოსურნეობდა... სამწუხაროდ, ამას ვერ ვახერხებთ იმ კაცის მისამართით, რომელიც უნივერსიტეტის გაზეთის განსაკუთრებული გულშემატკივარი იყო... ლექციებს შორის, როგორც კი დროს მოიხელთებდა, რედაქციაში შემოირბენდა, ჯერ კომპლიმენტებით შეგვამკობდა ყველა ქალბატონს, შემდეგ ჩამოჯდებოდა ცოტა ხნით და გაზეთის ახალ ნომერს გადაათვალიერებდა ინტერესით... პარალელურ რეჟიმში რედაქციის ყველა თანამშრომელს თავის მოსაზრებას უმხელდა დაბეჭდილ სტატიებთან დაკავშირებით ისე, რომ ერთი სიტყვაც კი გაზეთში წაუკითხავი არ დარჩებოდა... ყველა კითხვაზე პასუხი ჰქონდა... ინტერნეტში რაიმე ინფორმაციის მოძიება აღარ იყო საჭირო, თუკი გვერდით გეჯდა — ყველაფერი იცოდა... და რაც იცოდა, ცდილობდა შენთვის გაეზიარებინა... სიყვარულით გამოგვემშვიდობებოდა ხოლმე და წავიდოდა... მისი ლოდინის სურვილს გიჩენდა, ისეთი საინტერესო იყო მასთან ყოფნა, საუბარი, სიცილიც კი, რაც მისგან მოსმენილ უამრავ სახალისო

ელენე ქურდიანი

მოგონებას ახლდა ხოლმე ხშირად — ეს ადამიანი მიხეილ ქურდიანი იყო. მის არ ყოფნას რედაქცია განსაკუთრებული ტკივილით გრძნობს, რადგან ჩვენზე ამაგიც დიდი ჰქონდა. დიდაჭარას ისე არ მოივლიდა, ჩვენ რომ არ წავეყვანეთ და იმ დიდი საქმის თანამონაწილეებად არ ვექციეთ, რის კეთებასაც დიდაჭარაში საგანგებოდ მოწყობილი კონფერენციებით ცდილობდა. მოულოდნელი იყო მისი დაკარგვა... ბოლოს, შემთხვევით ქუჩაში გადავეყარეთ და საუბრისას ერთი ინატრა — ნეტავ, ელენიკოს გათხოვებას მომასწროო... ამას მის პატარა, წლინახევრის ქალიშვილზე ამბობდა... მეტჯერ აღარ გვინახავს... მისი გარდაცვალების შემდეგ ბევრჯერ მიფიქრია — ურთიერთობა მის ოჯახთან მაინც გაგვება, მით უფრო, რომ სოფოს — მის მეუღლეს, დიდაჭარაში ერთად მგზავრობის დროს დავუახლოვდი... პირველ რიგში კი ელენე გვახსოვს... ელენე, რომლის დაქალებასაც იგი ნატრობდა... იქნებ, მისი პატარა ქალიშვილისადმი ყურადღებაა ის მადლობა დღეს, რაც მისთვის უნდა გვეთქვა. მეტს, სამწუხაროდ, ვერაფერს ვუძღვნით...

* * *

ადამიანები შთაბეჭდილებებს მაშინ უფრო ვუზიარებთ ერთმანეთს, როცა ყელზე „ბურთი“ მოგვადგება ცრემლების გადმოსაყრელად. სწორედ მიხეილ ქურდიანის მოულოდნელმა გარდაცვალებამ გააცოცხლა ჩვენს წინ ის ფაქტები, როცა ორატორობის ნიჭით შემკული კაცი აუდიტორიას მთლიანად იპყრობდა. გვახსოვს, როგორ აღაფრთოვანა „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში გამართული ლექციის კითხვისას მიხეილ ქურდიანმა საშუალო სკოლის ათასამდე მოსწავლე და პედაგოგი. ამის დასამოწმებლად რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის ქართულის მასწავლებლის წერილს ვაქვეყნებთ, რომელიც ქალბატონმა თინათინ რიჟამაძემ რედაქციაში მოგვაწოდა: „დაუვიწყარია ის პირველი ლექცია, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორმა, ენათმეცნიერმა, აწ განსვენებულმა ბატონ მიხეილ ქურდიანმა წაიკითხა: „ადამიანი, როგორც ენობრივი არსება“. არაჩვეულებრივი თხრობა, დახვეწილი ინტელექტი და ღრმა პროფესიონალიზმი დაეხმარა მას, ბავშვებისათვის გასაგებად აეხსნა, რომ ადამიანი ენობრივი არსებაა და იგი მისი ენით აგებულ სამყაროში ცხოვრობს. მან, ასევე, ვრცლად ისაუბრა, რას ნიშნავს სახელმწიფოებრიობა. ამ ლექციის მოსმენის შემდეგ ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ „ნორჩთა სკოლის“ მუშაობაში. ისინი უკვე სისტემატურად ესწრებიან თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში გამართულ ლექციებს. ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, როგორია პირველი შთაბეჭდილება... მათი პირველი შეხვედრა უნივერსიტეტთან სწორედ მიხეილ ქურდიანის ლექციის მოსმენა იყო. ლექციიდან გამოსული ბავშვები ერთმანეთს თავიანთ აზრებს უზიარებდნენ და, შემდეგ, სკოლასაც სწრაფად მოედო მათი ეს შთაბეჭდილება... გთხოვთ, გადასცეთ თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელს ჩვენი სკოლის სახელით მადლობა, რომელსაც ამ წერილში ჩვენი მოგონებით გამოვხატავთ“, — წერს ქ. რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის პედაგოგი თინა რიჟამაძე.

„შემთხვევით“ არაფერი ხდება...

შურთხია ბეროშვილი

გაზეთ „თბილისი უნივერსიტეტის“ საიუბილეო ბანერსა და აფიშაზე დათო „შემთხვევით“ მოხვდა, ასე თავად თვლის, თუმცა, მან ეს არც ისე „შემთხვევით“ დაიმსახურა.

დავით გიორგობიანი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. უნივერსიტეტში მოხვედრამდე დათომ ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა წარმატებით დაამთავრა, თუმცა პროფესიის არჩევაზე ბევრი იფიქრა. ერთი პერიოდი უნდოდა, რომ ფეხბურთელი გამხდარიყო, რადგან სპორტის ამ სახეობაში საკმაოდ კარგი წარმატებები ჰქონდა, მაგრამ ბოლოს სწავლა არჩია. „სკოლაში კარგად ვსწავლობდი. სხვადასხვა ასაკში გატაცება მეცვლებოდა: ხან ქართული მეტად მიყვარდა, ხან — მათემატიკა, ყველაზე მეტად კი ფეხბურთის თამაში მომწონდა. ბოლოს იურისტობა გადავწყვიტე. ვფიქრობ, არჩევანში არ შევმცდარვარ — ეს ძალიან საინტერესო პროფესიაა, რაშიც სწავლის პერიოდში უფრო მეტად დავრწმუნდი. ალბათ, მომავალში სამოქალაქო სამართალზე შევაჩერებ არჩევანს, რადგან ვთვლი, რომ ეს სფერო დღეს აქტუალურია. ისიც ვიცი, რომ კონკურენციას უნდა გავუძლო, მაგრამ ამ გამოწვევისთვისაც მზად ვარ“, — ამბობს დათო.

თავისუფალი დრო ცოტა აქვს, მაგრამ მაინც ახერხებს მეგობრებთან გართობას. ყველაზე მეტად კითხვა და მუსიკის მოსმენა უყვარს, თავადაც უკრავს ფორტეპიანოზე, ძირითადად, ჯაზს და კლასიკას.

სამომავლოდ სწავლის გაგრძელებას უცხოეთში აპირებს... უკვე კარგად ფლობს ფრანგულ, რუსულ და ინგლისურ ენებს, ამიტომ არჩევანს ამერიკის, ან საფრანგეთის რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტზე შეაჩერებს, თუმცა ზუსტად იცის, რომ ბოლოს საქართველოში აუცილებლად დაბრუნდება...



დათო დიდი მეცნიერის, გიორგი ჯიბლაძის შვილთაშვილია და ამით ძალიან ამაყობს: „ვიცი, რომ სახელოვანი ბაბუა მყავდა. სამწუხაროდ, ვერ მოვესწარი, მაგრამ მასზე იმდენს მიყვებიან, რომ უნახავად მიყვარს. განსაკუთრებით ბებიას მონაყოლმა ამბებმა მოახდინეს ჩემზე გავლენა. თურმე ბაბუა, გარდა იმისა, რომ დიდი მეცნიერი იყო, უკომპრომისო ადამიანიც ყოფილა. საბჭოთა კავშირის დროს იგი განათლების მინისტრად მუშაობდა. ისიც ვიცი, რომ იგი თავგანწირვით იბრძოდა ქართული ენის დასაცავად, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მინდოდეს — ჩემს დიდ ბაბუას ვგავდე და მასავით ვასახელო ჩემი ქვეყანა“, — ამბობს დათო. „თბილისის უნივერსიტეტი“ მისი საყვარელი გაზეთია, ამიტომ ძალიან ეამაყება, რომ საიუბილეო ბანერზე მოხვდა.... შეიძლება ითქვას, რომ „შემთხვევით“ არაფერი ხდება...

ადამიანი იუმორზე „აცრილი“ არ უნდა იყოს

ზაალ სულაკაურის ჩვეული ხელწერა



ადამიანებს ის სულ „სხვანაირად“ ხედავს და... სხვანაირად ხატავს. მიუხედავად იმისა, რომ — „ცხვირი ჰგავს? — არა! თვალები? — არა! შუბლი? — არა! მაინც, როგორც თვითონ ამბობს, „ერთი-ერთში არტყამს!“... მსგავსება აშკარაა, ვინც არ უნდა იყოს — მეცნიერი თუ პროფესორი, მსახიობი თუ პოეტი, უყურებ და ღიმილს ვერ იკავებ...

დიდი ხანია, მისი კარიკატურები ერთგვარ ბრენდად იქცა. მისთვის, როგორც მხატვრისთვის, ყველა ადამიანი საინტერესოა და როდესაც „განგებ დამახინჯებული პიროვნების სასაცილო გამოსახულებას“ ხატავს, ზალიკო მათ ხასიათის განსაკუთრებულ შტრიხებს ამატებს.

შურთხია ბეროშვილი

ზალიკო სულაკაურის პირველი გამოფენა უნივერსიტეტში გაიმართა, პირველი ინტერვიუც აქ შედგა: გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ ჯერ კიდევ უცნობი მხატვრის ინტერვიუ დაიბეჭდა. მხატვარი დღესაც სიამოვნებით იხსენებს თავის პირველ წარმატებას. „ხატვაზე ჯერ პიონერთა სასახლეში დავდიოდი, შემდეგ უნივერსიტეტში. ის წლები კარგად მახსენდება, რადგან ძალიან ბედნიერი ვიყავი. დედა პროფესიით ფიზიკოსია და უნივერსიტეტში მუშაობდა, ამიტომ უნივერსიტეტის თანამშრომელთა შვილების გამოფენაზე ჩემი ნახატებიც მოხვდა. მაშინ პირველად გამიცნო ფართო საზოგადოებამ, რომელმაც კარგად მიიღო ჩემი შემოქმედება და სულ მალე პერსონალური გამოფენაც შედგა, რომელსაც კვლავ უნივერსიტეტმა უმასპინძლა. არასდროს დამავიწყდება ინტერვიუც, რომელიც 1988 წელს უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა. სხვათა შორის, ინტერვიუს თან ახლდა ფოტო, სადაც ჩემ ძმასთან ერთად ვარ გადაღებული. სტატიის სათაური იყო: „გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს“, არადა, დეიდაშვილებსაც კი არ ვგავართ — ჩვენ შორის ისეთი განსხვავებაა, მაგრამ, ალბათ, ესეც ხუმრობა იყო, რომელიც მოუხდა კიდეც ჩემი, როგორც კარიკატურისტის, ინტერვიუს“, — ღიმილით იხსენებს ზალიკო.

ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობით ბავშვობიდან იყო „განებივრებული“. იმ სახლში გაიზარდა, რომელიც 70-იან წლებში უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის აშენდა. გარდა ამისა, ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მამას მეგობრები, საზოგადოებისათვის ცნობადი სახეები. „რა გარემოში იზრდები, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაშიც გამიმართლა. კომაროვის სკოლას სახელი რომ გადაარქვეს და გეგელიას სახელობის უწოდეს, ის გეგელია ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. ამდენ პროფესორებში მარტო მამაჩემი იყო „კინოშნიკი“. ოჯახში ხშირად სტუმრობდნენ ჰამლეტ გონაშვილი, ნოდარ დუმბაძე და სხვა ხელოვანები, ასევე თსუ-ის პროფესორები. მათთან ურთიერთობა დიდი ბედნიერება იყო“.

დღეს უკვე ცნობილი კარიკატურისტის „კოლექცია“ მრავალფეროვანია, მათ შორის, რა თქმა უნდა, თსუ–ის პროფესორებიც არიან. „ძალიან ბევრი პროფესიის ადამიანი მყავს დახატული, რა თქმა უნდა, თსუ-ის თანამშრომლები, მათ შორის რექტორები: როინ მეტრეველი, გიორგი ხუბუა და სხვები. ზუსტად არ მახსოვს, დავხატე თუ არა ახლანდელი რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი... ყველას უხარია თავისი კარიკატურის ნახვა და იუმორიც ჰყოფნით, არ სწყინთ. სხვათაშორის, გიორგი ხუბუა ორ ფურცელზე დავხატე — ერთ ფურცელზე მარტო ცხვირია, მეორეზე — თავად ბატონი გიორგი. რა თქმა უნდა, არ სწყენია... იღიმოდა... ვფიქრობ, ადამიანი იუმორზე „აცრილი“ არ უნდა იყოს“, — ასე თვლის კარიკატურისტი, რომელსაც მიაჩნია, რომ ვინც იუმორს იტანს, ის კარგი ადამიანია.

თუმცა, უკმაყოფილო „კლიენტებიც“ ჰყოლია, რომლებსაც უთქვამთ, ეს მე არ მგავს, ასეთი არ ვარო. ამ დროს მხატვარს კვლავ იუმორი ეხმარება. წუნიებს ისეთ კატეგორიად მიიჩნევს, რომელთაც საკუთარი თავი ზედმეტად უყვართ... ამიტომ „უბრალო“ ადამიანების ხატვა ურჩევნია.

და ბოლოს, როდესაც უკვე ცნობილმა კარიკატურისტმა გაიგო, რომ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ 85 წელი უსრულდება, ცოტა არ იყოს გაიკვირვა და ჩვენს კითხვაზე — რას უსურვებდა „იუბილარს“, იუმორით გვიპასუხა: „რა ამბავია 85 წელი? დააკელით ცოტა. ლუდია? სიძველით რომ შეფასდეს?! — რაც უფრო დიდი წლის ხარ, მით უფრო ლუდივით ძლიერი თუ კონიაკივით მაგარი ხარ... ბევრი გაზეთი შემიძლია გავიხსენო, რომლებთანაც პირადად ვთანამშრომლობდი. ისინი სოკოებივით უცბად ამოდიან და უცბადვე ქრებიან, ხოლო რადგან უნივერსიტეტის გაზეთმა ამდენ ხანს იარსება, ვფიქრობ, უნივერსიტეტივით სქელი და ძლიერი საძირკველი აქვს. რა უნდა ვუსურვო? რა უნდა ვუთხრა ისეთი? — სათქმელი უკვე ნათქვამია“.

* * *

ზაალ სულაკაურის „არაჩვეულებრივ გამოფენას“ უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიკატურებიც შეემატა. მხატვარი მაშინვე დაგვთანხმდა, როგორც კი ჩვენი სტუდენტების გაშარჟება ვთხოვეთ. მისი ნამუშევარი გაზეთის ნომრის ბოლო გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ... მთავარია მის მიერ შესრულებულ კარიკატურებში მხოლოდ მან ამოიცნოს საკუთარი თავი, ვინც დახატულია...

„სტუდენტურ ფურცელს“ ახალი სტუდენტური ჩანართი ცვლის

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია სტუდენტებს ჩანართის გაკეთებას სთავაზობს. ჩანართი გავრცელდება უნივერსიტეტის გაზეთთან ერთად. სტუდენტები დამოუკიდებლად იმუშავებენ საგაზეთო ჩანართის მასალებზე, რომლებიც ძვეყანაში მიმდინარე პროცესებისა თუ უნივერსიტეტში გატარებული რეფორმების მიმართ ახალგაზრდული ხედვის ამსახველი იქნება.

ჩანართის რედაქტორები და ავტორები პერმანენტულად შეიცვლებიან. ამჯერად მისი რედაქტორია თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ლოლაშვილი, რომელმაც სტუდენტთა ჯგუფთან ერთად უკვე გამოსცა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სპეც-ნომერი მიმდინარე წლის თებერვალში.

„თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია იმედოვნებს, რომ სტუდენტური ჩანართი იქნება გაგრძელება იმ „სტუდენტური ფურცლისა“, რომელმაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მოახერხა და თავის გარშემო შემოიკრიბა უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდი ნაწილი. ახალი საგაზეთო ჩანართის სახელწოდება უნივერსიტეტის გაზეთის 85 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე გახდება ცნობილი, რაც, ალბათ, დღევანდელი თაობის პათოსს კარგად წარმოაჩენს.

იცან თავი შენი

კურდღელი თუ ვირი?



ნიკო კეცხოველის შეფასების კრიტერიუმი

უნივერსიტეტის პროფკომის სხდომებს თურმე ხშირად ესწრებოდა ნიკო კეცხოველი. თუ სხდომა ისე წარიმართებოდა, რომ მას მოეწონებოდა, ქაღალდზე კურდღელს ხატავდა, თუ არა და ვირს. სხდომის დამთავრებისას ან დამთავრებისთანავე ამ ფურცელს მაგიდაზე ტოვებდა და ისე მიდიოდა. ამით იგი ყველაფერს ამბობდა.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62